ვალიტრა მედია

ლომი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

29 ნოემბერი სამშაბათი 2011
№281 (13578) ფასი 80 თეთრი

ფაჩულია გალს გალა-თამაშში ემშვიდობება

რა მალე მორჩა თურქეთი: ისევ NBA

12



დღეს ჩვენი არმია

გერმანიაში იბრძოლებს

ახალ ამერიკელთან ერთად



12

გოტინგენი თბილისში 6-ქულიანი სხვაობით დავამარცხეთ

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

2

ზესტაფონის პასუხი დინამოს:

გიპასუხოთ ფედერაციამ!

დილას პაპრონი ეყოლებაო... ემანდ, ზოგ-ზოგმა იფრთხილოს

შსს

3

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სიტუაცია

ზესტაფონის პასუხი: გიპასუხოთ ფედერაციამ!

"ლელოს" გუშინდელი ნომრის ერთ-ერთი უმთავრესი თემა დიდთოვლობის გამო ჩაშლილი ტური იყო – ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში კვირას გასამართი ექვსი მატჩიდან მხოლოდ ერთი ჩატარდა, თუმცა აჟიოტაჟი მხოლოდ "ზესტაფონი"-"დინამოს" შეხვედრის გადადებას მოჰყვა.

გუშინ დედაქალაქელთა ოფიციალური განცხადება და "დინამოს" პრესსამსახურის უფროსის, **გიგა გვენცაძის** კომენტარი შემოგთავაზეთ. მატჩის ჩასატარებლად "ზესტაფონს" ქმედითი ღონისძიებები არ განუხორციელებია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი შექმნილი მდგომარეობის გასაცნობად ზესტაფონში არ ჩასულა, მატჩის გადადება "ზესტაფონს" უფრო აძლევდა ხელსო – ასეთი იყო "დინამოს" "გზავნილების" შინაარსი. ასევე გამოთქმულია იმედი, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მომხდარს გულისყურით მოეკიდება და "ზესტაფონის" მიმართ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებს.

"დინამოს" განცხადების შესახებ გუშინწინ ღამით შევიტყვეთ და ამიტომ გუშინდელ ნომერში "ზესტაფონის" ოფიციალური პოზიცია ვერ შემოგთავაზეთ, ამიტომაც საქართველოს მოქმედი ჩემპიონების მოსაზრებას ახლა გაგაცნობთ.

სერგო ფუტკარაძე, "ზესტაფონის" პრესსამსახურის უფროსი:

"მოედნის თოვლისგან გაწმენდას კვირას, დილის 8 საათზე შევუდექით და რამდენიმე ათეული ადამიანი შუადღემდე მუშაობდა. შემდეგ კი აღმოვჩნდით იმ ფაქტის წინაშე, რომ სამუშაოების გაგრძელების შემთხვევაში მოედანი სერიოზულად დაზიანდებოდა. ამის შესახებ ვაცნობეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, მალე კი იქიდან მივიღეთ შეტყობინება, რომ მატჩი გადადებულია.

არავის გასჩენია პროტესტი იმის თაობაზე, რომ გასულ ტურში ოთხი სხვა შეხვედრაც გადაიდო – ამაში ხომ გასაკვირი არაფერია. იმასაც დავძენ, რომ ზესტაფონში გაცილებით დიდი თოვლი მოვიდა, ვიდრე ქუთაისში.

უცნაურია, რატომ აპელირებს "დინამო" "ზესტაფონზე", როცა გადაწყვეტილება ფედერაციამ მიიღო – კლუბს ვინ ეკითხება, გადაიდება თუ არა შეხვედრა? გაკვირვებას იწვევს ერთიც: თბილისელთა განცხადებები გვაფიქრებინებს, რომ "დინამოს" მატჩის ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებში ჩატარება უნდოდა. თოვლიან ამინდში კი ორი გამორჩეული ქართული კლუბის დაპირისპირება ყოველგვარ ფასს დაკარგავდა. წესით, ორივეს სურვილი უნდა იყოს, ერთმანეთს ხარისხიან მინდორზე შეეებრძოლოთ და ღირსეულმა გაიმარჯვოს".

ლევან ჯანეზაშვილი

● ზესტაფონი

ჩემპიონს მეკარე უბრუნდება

თვეზე მეტია, „ზესტაფონს" პირველი მეკარე **რონი კვასხვაძე** ვერ ეხმარება. იგი 22 ოქტომბერს ცხინვალის „სპარტაკთან" დაპირისპირებისას დაშავდა. რონიმა თითი შორეული დარტყმის მოგერიებისას მოიტეხა და მეორე ტაიმის შუაში შესაცვლელი შეიქნა.

იმერლებს მის გარეშე მოუხდათ რამდენიმე პრინციპული თამაშის ჩატარება, მაგრამ უკვე რამდენიმე დღეა, 23 წლის მეკარემ ვარჯიში განაახლა და მომდევნო ტურიდან გუნდის დახმარებას შეძლებს.

ამ ტურში, 4 დეკემბერს, „ზესტაფონი" მარტვილში „მერანის" წინააღმდეგ ითამაშებს.

მაგდა კლდიაშვილი

რონი კვასხვაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

● უეფას კოეფიციენტების რეიტინგი

მანჩესტერიდან ფაეტანოამდე

ზაფხულმა დაგვაწინაურა

ზესტაფონი-შტურმი

დინამო-აეკ

უეფას კოეფიციენტების რეიტინგსა და ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის (IFFHS) საკლუბო რეიტინგს შორის სხვაობა ის არის, რომ მეორეში დაკავებულ პოზიციას პრაქტიკული მნიშვნელობა არ გააჩნია, პირველი კი ბევრ რამეს განაპირობებს – ამა თუ იმ ქვეყნისა და კლუბის მდგომარეობას ევროტურნირებზე, უფრო კონკრეტულად კი, ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის ეტაპებზე განთესვასა და, შესაბამისად, ძლიერ თუ შედარებით სუსტ მეტოქესთან შეხვედრას.

ზაფხულში, როცა ჩვენი კლუბები ევროთასებზე ასპარეზობდნენ, ხშირად გაცნობდით უეფას კოეფიციენტების რეიტინგში ქართული კლუბების მდგომარეობას, რაც მათ მიერ ევროასპარეზზე მიღნეული შედეგებიდან გამომდინარე სისტემატურად იცვლებოდა.

უკვე კარგა ხანია, ევროტურნირები საქართველოს წარმომადგენელთა გარეშე გრძელდება, მაგრამ რეიტინგში ქართული კლუბების პოზიციას მათი უშუალო კონკურენტების ასპარეზობაც განაპირობებს. იმასაც შეგახსენებთ, რომ მიმდინარე ევროსეზონში ქართული კლუბების მიერ დაგროვებული ჯამური ქულები საქართველოსთვის სარეკორდოა.

ქვეყნების რეიტინგში ჩვენს მეზობლებს რომ გადავხედოთ, მათგან ევროარენაზე მხოლოდ ორი კლუბია შემორჩენილი – ირლანდიური "შემროკ როვერსი" და სლოვაკური "სლოვანი". ჩვენდა საბედნიეროდ, ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ორივე ნარუმატებლად გამოდის - "შემროკმა" ოთხივე მატჩი წააგო, "სლოვანის" ანგარიშზე კი ერთადერთი ქულაა. თუ მათ საკუთარ მონაგარს მეტი ვეღარაფერი შემატეს, ჩვენი კლუბებისთვის უმჯობესი იქნება.

დღეისთვის დაზუსტებით ვერავინ იტყვის, რომელი ქართული კლუბი რომელი ეტაპიდან ჩაერთვება საგაისო ევროთასებზე, თუმცა დიდი ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ:

- ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ჩემპიონი განთესილი მხოლოდ "დინამოსა" (დაახლოებით 90 პროცენტით) და "ზესტაფონის" (დაახლოებით 80 პროცენტით) ჩემპიონობის შემთხვევაში იქნება. თუ საქართველოში სხვამ იჩემპიონა, ჩემპიონთა ლიგის მეორე რაუნდში ეს კლუბი განუთესავი იქნება;

- ევროპის ლიგის პირველ ეტაპზე ერთი ან ორი ქართული კლუბი ითამაშებს და დიდი ალბათობით, ორივეს განთესავენ;

- ევროპის ლიგის მეორე ეტაპზე საქართველოს თასის მფლობელი იასპარეზებს და მისი განთესვა-განუთესავობა ამ კლუბის „ვინაობაზე" იქნება დამოკიდებული – თუ საქართველოს თასის მფლობელის ან ფინალისტის (ეს იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ჩემპიონმა თასიც მოიპოვა) სტატუსით ევროპის ლიგის მეორე რაუნდში "დინამო", "ზესტაფონი" ან "მეტალურგი" ითამაშებენ, ქართული კლუბი განითესება;

- თასის მფლობელის გარდა, საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი პრიზიორი (თუ ამ სტატუსით ევროპის ლიგაზე "დინამო", "ზესტაფონი" ან "მეტალურგი" გავლენ) პირდაპირ მეორე ეტაპზე განითესება, შესაბამისად, პირველ ეტაპზე მხოლოდ ჩვენი ერთი კლუბი იასპარეზებს;

- ჩემპიონთა ლიგის მესამე ეტაპზე ქართული კლუბი განუთესავია, ევროპის ლიგის მესამე რაუნდში კი განთესვის მხოლოდ მცირე შანსი არსებობს.

რაც შეეხება ქართული კლუბების ამჟამინდელ მდგომარეობას უეფას კოეფიციენტების რეიტინგში, 396-გუნდიან ჩამონათვალში ისინი არიან შეტანილნი, რომლებმაც ბოლო ხუთი სეზონის განმავლობაში ევროთასებზე მხოლოდ ერთხელ იასპარეზეს – გამონაკლისია მხოლოდ თბილისის "ამერი", რომელიც, სამწუხაროდ, აღარ არსებობს და დედაქალაქური "ლოკომოტივი", რომელმაც 2008 წელს ასევე გაუქმებულ ინტერტოტოს თასზე ითამაშა, სადაც სარეიტინგო ქულები არ იწერებოდა.

შეგახსენებთ, ამა თუ იმ კლუბსა და ქვეყანას მხოლოდ ბოლო ხუთი სეზონის განმავლობაში მოპოვებული ქულები ეთვლებათ.

ამჟამინდელ რეიტინგში საქართველოს ხუთი წარმომადგენელი ჰყავს, მათი პოზიცია კი ასეთია:

210. დინამო
231. ზესტაფონი
241. მეტალურგი
276. ვიტ ჯორჯია
321. გაგრა

რაც შეეხება რეიტინგის საუკეთესო ათეულს, აქ ყველაზე მეტი, ოთხი წარმომადგენელი ინგლისს ჰყავს, ბოლო ხუთი სეზონის ჯამში კი ყველაზე მეტ სარეიტინგო ქულას თავი "მანჩესტერ იუნაიტედმა" მოუყარა.

ზეათეული ასე გამოიყურება:

1. მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)
2. ბარსელონა (ესპანეთი)
3. ჩელსი (ინგლისი)
4. ბაიერნი (გერმანია)
5. არსენალი (ინგლისი)
6. რეალი (ესპანეთი)
7. ინტერი (იტალია)
8. პორტუ (პორტუგალია)
9. ლივერპული (ინგლისი)
10. ლიონი (საფრანგეთი)

რეიტინგში ბოლოა სანმარინოული "ფაეტანო", რომელმაც პირველი და უკანასკნელი ევროქულები შარშან, "ზესტაფონთან" საშინაო მატჩში (0:0) მოიპოვა.

ლევან ჯანეზაშვილი

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ ᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲪᲮᲔᲚᲘ ᲮᲐᲖᲘ: 383-384. ᲔᲚᲤᲝᲡᲢᲐ: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გეზვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

U17, U19

დღეს ვისთან ერთად ელიტაში?

რამდენიმე დღის წინ გაცნობეთ, რომ 29 ნოემბერი უეფაში წილისყრების დღეა - 17 და 19-წლამდელებში ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდის ჯგუფების შემადგენლობაც გაირკვევა და ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის ჯგუფებიც. ასევე გაგაცანით საქართველოს ამ ორი ასაკობრივი ნაკრების პოტენციური მეტოქეებიც.

წილისყრის შედეგებს "ლელოს" ხვალინდელ ნომერში დეტალურად გაგაცნობთ და, მომავალი მეტოქეების გარდა, ტურნირების სტრუქტურასაც შევეხებით. თუ ეს საკითხი დღესვე გაირკვევა, იმასაც შეიტყობთ, შეძლო თუ არა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ რომელიმე ასაკში ელიტრაუნდის ან პირველი შესარჩევი ეტაპის თბილისში მასპინძლობის უფლების მოპოვება.

პროცედურის წინ კი, რომელიც ნიონში ხვალ დილით გაიმართება, მხოლოდ სავარაუდო საელიტრაუნდო მოწინააღმდეგეებს გაგახსენებთ.

17-წლამდელები

პირველი კალათა: საფრანგეთი, ესპანეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, დანია, სერბეთი, გერმანია;

მეორე კალათა: ინგლისი, შვედეთი, შოტლანდია, რუსეთი, პორტუგალია, ბელარუსი, ჰოლანდია (მოქმედი ჩემპიონი);

მესამე კალათა: პოლონეთი, იტალია, ბელგია, **საქართველო,** ისლანდია, თურქეთი, ირლანდია;

მეოთხე კალათა: შვეიცარია, ბულგარეთი, უკრაინა, ალბანეთი, ლუქსემბურგი, ლიტვა, უელსი.

19-წლამდელები

პირველი კალათა: ინგლისი, საფრანგეთი, ესპანეთი (მოქმედი ჩემპიონი), ბოსნია, პორტუგალია, საბერძნეთი, უნგრეთი;

მეორე კალათა: გერმანია, ხორვატია, ბელგია, უკრაინა, შვეიცარია, ჰოლანდია, დანია;

მესამე კალათა: **საქართველო**, რუმინეთი, სლოვენია, ირლანდია, სომხეთი, ჩეხეთი, თურქეთი;

მეოთხე კალათა: ავსტრია, ნორვეგია, კვიპროსი, ისრაელი, იტალია, სერბეთი, ჩერნოგორია.

ლევან ჯანეზაშვილი

გიორგი დევდარიანი შეგირდებთან

ლეგიონერები

არადა, რა შანსი იყო...

აზერბაიჯანული ამბავ-ხაბარი

აზერბაიჯანული პრემიერლიგის გასულ ტურში ბაქოს "ინტერმა" თანაქალაქელ აზალ-თან საკუთარ სტადიონზე 1:1 იკმარა. **კახა ცხადაძისა** და **გიორგი ჩიხრაძის** გუნდის შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშეს **გიორგი ლომაიამ, ვალერი აბრამიძემ** და **ილია კანდელაკმა. ბაჩანა ცხადაძე** კი, რომელიც ასევე სასტარტოში გაამწესეს, მე-80 წუთზე შეცვალეს. კანდელაკი გააფრთხილეს. აზალ-ის რიგებში მოედანზე 90 წუთი დაჰყო **ნუგზარ კვირტიამ**, რომელმაც, კანდელაკის მსგავსად, ყვითელი ბარათი მიიღო.

"თურანს" მცირე პაუზის შემდეგ დაუბრუნდნენ **ალექსანდრე გოგობერიშვილი, გიორგი ბერიაშვილი** და **ზურაბ ძმასაშვილი**. შეგახსენებთ, ქართველებმა თოვუზური კლუბი ფინანსური პრობლემების გამო ამ ცოტა ხნის წინ დატოვეს, ახლა კი, როგორც ჩანს, "თურანის" საქმე ამ მხრივ უკეთაა. "თურანმა" განჯაში "ქიაფაზთან" 1:1 ითამაშა, ჩვენმა სამივე თანამემამულემ კი მატჩი შეუცვლელად ჩაამთავრა.

აგდამის "ყარაბახი" შინ ბაქოს "ნეფთჩისთან" 1:2 დამარცხდა. "ყარაბახის" თავდამსხმელმა **გიორგი ადამიამ** სრულად ითამაშა, ქართველთა გუნდებიდან საუკეთესო სატურნირო მდგომარეობა "ინტერს" აქვს — 26 ქულით მესამე ადგილზეა და ლიდერ "ნეფთჩის" მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება. "ყარაბახი" 21 ქულით მეხუთეა, აზალ-ი 17 ქულით მერვეა, ხოლო „თურანი" 11 ქულით ბოლოსწინა, მე-11 ადგილზეა.

კახა ცხადაძე

ლევან ჯანეზაშვილი

იუბილარს ფრე არ ეწერა

ბაქოს "ინტერმა" აზალ-თან ფრით ლიდერების გასწრების რეალური შანსი გაუშვა ხელიდან.

"ინტერის" მთავარი მწვრთნელი **კახა ცხადაძე** (რომელმაც 26 ნოემბერს ამ პოსტზე აზერბაიჯანში მეასე მატჩი ჩაატარა) ამბობს, რომ გუნდმა საქმე გაირთულა: *"ამ მატჩის მოგებით ლიდერები ვხდებოდით. წამყვანი სამეულის გუნდებს შორის არც ისე დიდი სხვაობაა, ასე რომ, ახლა მოპოვებულ ქულებს, შესაძლოა, ფინალურ ეტაპზე ოქროს ფასი დაედოს".*

ცხადაძემ "ინტერი" 2009 წელს ჩაიბარა. აზერბაიჯანის უმაღლეს ლიგაში დასაქმებული სპეციალისტებიდან 100-ზე მეტ მატჩში ერთ კლუბს მხოლოდ "ყარაბახის" მწვრთნელმა **გურბან გურბანოვმა** უთავკაცა.

მერაბ მამულაშვილი

რეგიონი

დილასაც გაუთენდება

გორელებს შსს დააფინანსებს

სურვილი პირადად ვანო მერაბიშვილისგან მოდის

14 ნოემბერს **თემურ მახარაძე** უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა - გამოცდილ მწვრთნელს გორის „დილა" ჩააბარეს. ამ ამბავთან ერთად ისიც გამცნეთ, რომ შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის გარდა, „დილას" კიდევ ერთი სამთავრობო სტრუქტურაც მიხედავდა.

როცა ახალი მწვრთნელის ამბავი შევიტყვეთ, დაფინანსების თაობაზე დაზუსტებულ ინფორმაციას არ ვფლობდით, თუმცა საფუძვლიანად ვივარაუდეთ: როცა მახარაძე ამა თუ იმ კლუბში მიდის, ეს იმასაც ნიშნავს, რომ იქ, ამ შემთხვევაში „დილაში", ფინანსური რესურსიც იქნება და ამბიციაც. მახარაძე არ არის ის მწვრთნელი, დათანხმდეს მუშაობას, თუ გუნდს სავარჯიშო და მოსამზადებელი პირობები არ ექნება.

გუშინ უკვე კლუბშიც დაგვიდასტურეს, რომ "დილას" ახალი პატრონი ჰყავს: ამ დღეებში გორში შინაგან საქმეთა მინისტრი **ვანო მერაბიშვილი** ჩავიდა და ქალაქის, გუნდის ხელმძღვანელებსა და ვეტერან სპორტსმენებს შეხვდა. ლაპარაკი იყო გორის განახლებასა და ქალაქის ფუნქციის გაზრდაზე, სოფლის მეურნეობისა და სპორტის განვითარებაზე, რაც 2012 წლიდან იგეგმება. ქალაქი დამატებით ფუნქციებს შეიძენს: აშენდება იუსტიციის სახლი, აქ განთავსდება ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, ძველი გორის განახლება-გალამაზებაზე უნდა დაიხარჯოს 5 მილიონი ლარი. მოკლედ, გორი უნდა გამოცოცხლდეს და გამშვენიერდეს, ჩაოხრებული სტადიონითა და უხეირო გუნდით კი საერთო სურათი ნახდება.

"დილას" დაფინანსება ყოველთვის გამგებლისა და გუბერნატორის შეხედულებაზე იყო დამოკიდებული. აქ ის დროც ახსოვთ, როდესაც ცენტრალური სტადიონიდან ფეხბურთელების გაყრა მოინდომეს.

გორი ფეხბურთისკენ ყოფილმა გუბერნატორმა **ზურაბ არსოშვილმა** შემოატრიალა და "დილას" ნორმალური პირობებიც შეუქმნა, მაგრამ თანამდებობიდან მისი გათავისუფლების შემდეგ კვლავ გაურკვევლობა და ტრადიციული კითხვა გაჩნდა: დაგვაფინანსებენ თუ არა? პრობლემა არც ახალ გუბერნატორ **გიორგი ტატიშვილს** შეუქმნია, ისიც ფეხბურთის დაფინანსების მომხრეა.

ზემონახსენებ შეხვედრაზე ვანო მერაბიშვილმა თქვა, რომ ამიერიდან "დილას" შინაგან საქმეთა სამინისტრო დააფინანსებს. გორელებს ეს ამბავი ახარებთ და მადაზეც მოვიდნენ. ლაპარაკია არა მხოლოდ გუნდის დაფინანსებაზე, არამედ გორის ცენტრალური სტადიონის გენერალურ რეკონსტრუქციაზე. მთავრობისა და ფეხბურთის ფედერაციის ერთობლივი პროექტით, მალე ახალ საფარს ჩამოიტანენ და დააგებენ, გორელები მშობლიურ არენას მეორე ეტაპიდან დაუბრუნდებიან.

ამას გარდა, სტადიონზე აპირებენ მიშენებას, სადაც განთავსდება ახალი გასახდელები, საშხაპეები, მსაჯთა და დელეგატთა ოთახები, ძველი გასახდელები კი მასაჟის ოთახს და ფიტნეს-დარბაზს დაეთმობა. გაფართოვდება პრესლოჟა, აშენდება კომენტატორებისა და ოპერატორების სამუშაო ოთახები, მედიაკაფე.

გუნდის ხელმძღვანელებს ფეხბურთის ფედერაცია ევროპიდან ახალი განათების სისტემის ჩამოტანასა და დამონტაჟებას ჰპირდება. ინდივიდუალური სკამების დამატების შემდეგ თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონის ტევადობა 5 ათას ადგილამდე გაიზრდება. აწ დანგრეული ტრიბუნების ქვეშ საბჭოთა პერიოდში სასტუმრო იყო, რომელიც ახლა გავერანებულია. ახალი დამფინანსებლით შეგულიანებულ "დილაში" მის აღდგენაზეც ფიქრობენ. გათვლა პრაგმატულია – მატჩამდე ერთი შეკრების მოწყობა გუნდს 1600 ლარამდე უჯდება, საკუთარი სასტუმრო კი ხარჯებს შეამცირებს. რამდენიმე დღეში გუნდს 55-ადგილიანი გერმანული ავტობუსიც ეყოლება.

გორელები იმედოვნებენ, რომ სტადიონის განახლება თებერვლამდე დასრულდება, კარგი განათებით, მინდვრით, კეთილმოწყობილი მედიალოჟითა და ტრიბუნებით სტადიონი უეფას სტანდარტებს დააკმაყოფილებს და საერთაშორისო შეხვედრებს უმასპინძლებს, მათ შორის, ახალგაზდრული ნაკრების თამაშებსაც.

ამას გარდა, გორის გამგებელი **დავით ხმიადაშვილი** საფეხბურთო სკოლას ხელოვნურსაფრიანი მოედნის მოწყობას დაჰპირდა.

მერაბ მამულაშვილი

გაგრა

რას ამბობთ, კოკა ჩვენიაო...

ზედიზედ მეორე შეხვედრაა (მარტვილის "მერანთან" სათასო მეოთხედფინალსა და ზუგდიდის "ბაიასთან" ჩემპიონატის მე-15 ტურში), მეკარე **კოკა სეფიაშვილი** "გაგრას" არც ძირითად შემადგენობაში ჩანს და არც სათადარიგოებში.

ამ მეკარის საიმედო თამაშმა მნიშვნელოვნად განაპირობა ის, რომ პირველი ლიგის გამარჯვებული "გაგრა" საქართველოს თასის მფლობელი გახდა – რომ არა 26 წლის სეფიაშვილის საოცარი თამაში, გუნდი ფინალში ქუთაისის "ტორპედოს" შეტევებს ვერ გაუმკლავდებოდა.

კოკა ჩემპიონატშიც საკმაოდ დამაჯერებლად თამაშობდა და **თემურ ქეცბაიამ** ეროვნულ ნაკრებში ორჯერ გამოიძახა.

ახლა კი მთავარი: გავრცელდა ხმები, თითქოს სეფიაშვილს მთავარ მწვრთნელ **ზვიად ჯელაძესთან** კონფლიქტი მოუვიდა და კლუბის დატოვებას აპირებს.

კოკა სეფიაშვილი

თავად ფეხბურთელთან დაკავშირება შეუძლებელი აღმოჩნდა, თუმცა "გაგრაში" კონფლიქტსა და მეკარის წასვლას კატეგორიულად უარყოფენ.

"მთავარ მწვრთნელს ახალგაზრდა გიორგი ბეგაშვილის გამოცდა სურდა და სეფიაშვილი ამიტომ არ თამაშობდა, თორემ მისთვის ხელი არავის უკრავს. კოკას "გაგრასთან" სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს და გაშვებას ნამდვილად არ ვუპირებთ," – გვითხრა "გაგრას" იურისტმა **მიხეილ აფხაზავამ**.

კიდევ ერთი ამბავი, რომლის შეტყობაც თავისუფალი ფეხბურთელებით დაინტერესებულ გუნდებს არ აწყენდათ: გუნდში აღარ ირიცხება ცენტრალური მცველი **დავით გიგაური**. 24 წლის ფეხბურთელი ტრავმირებული იყო, მაგრამ მკურნალობა დაასრულა და იმედოვნებს, რომ მეორე წრეში მოედანს სხვა გუნდის ფორმით დაუბრუნდება.

მერაბ მამულაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი

ტურის მიმოხილვის ნაცვლად

დათოვლილი ჯური

ზესტაფონის პრეზიდენტი ილია კოკაია (მარცხნივ) და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაია გაგრა-ბაიას მატჩს დაესწრნენ

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ვერც ვიხსენებთ ისეთ შემთხვევას, ყოველი ტურის შემდეგ „ლელოს“ ტრადიციული რუბრიკა „ტურის მიმოხილვა“ (პლუს, „ტურის სიმბოლური ნაკრები“) რომ არ შეგვეთავაზებინა ჩვენი მკითხველისათვის. თუმცა, უკაცრავად, ვცდებით — რამდენჯერმე, მართლაც შეგნებულად გვითქვამს უარი ამ ტრადიციულ რუბრიკაზე; ოღონდ, ასეთი რამ თუ მომხდარა, წინა თუ იმისწინა სეზონის მიწურულს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამა თუ იმ ტურის ერთი-ორი (ხანდახან, უფრო მეტიც) მატჩი, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ სპორტულ პაექრობაში მიმდინარეობდა ხოლმე. მართალია, ამით დანარჩენი მატჩების (პატიოსანი თამაშის პრინციპით რომ მიმდინარეობდა) მონაწილე მწვრთნელ-ფეხბურთელებს ვუკარგავდით გარჯა-დამსახურებას, მაგრამ საეჭვო შეხვედრების მიმართ საკუთარი დამოკიდებულებაც გვინდოდა გამოგვეხატა. მოკლედ, თავს ვერაფრით მოვიტყუებდით...

და აი, პირველად ამ სეზონში, არც „ტურის მიმოხილვა“ გვაქვს და არც „ტურის სიმბოლური ნაკრები“; ანდა, როგორ უნდა ყოფილიყო, როცა ტურის ექვსი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი ჩატარდა...

XV ტურის ერთადერთი მატჩი თბილისში გაიმართა: გაგრა-ბაია 0:1

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

...ჰო, ნოემბრისთვის აშკარად უჩვეულო დიდთოვლობამ საქართველოს ჩემპიონატში სერიოზული კორექტივები შეიტანა და XV ტურის ერთდროულად ხუთი მატჩი გადაიდო. როგორც გუშინ გვაცნობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო განყოფილების უფროსმა **ნოდარ კაკულიამ,** ეს ხუთივე შეხვედრა („ზესტაფონი“ — „დინამო“, „ტორპედო“ — მერანი“, „სპარტაკი“ — „მეტალურგი“, „დილა“ — „კოლხეთი“, „ვიტ ჯორჯია“ — „სიონი“), დიდი ალბათობით, 14 დეკემბერს ჩატარდება. არადა, თავდაპირველად იმაზეც იყო საუბარი, რომ ამ ხუთიდან ორი მატჩი („სპარტაკი“ — „მეტალურგი“, „ვიტ ჯორჯია“ — სიონი“) ამ კვირაში, კერძოდ 30 ნოემბერს ჩატარებულიყო; თუმცა, მოგეხსენებათ, რომ ამ ბოლო დროს ქართველი სინოპტიკოსები ამინდის უტყუარზე უტყუარ პროგნოზს (თანაც, გრძელვადიანს) აკეთებენ და დღეს თუ ხვალ რომც არ მოთოვოს, ცოტა არ იყოს, ძნელი წარმოსადგენია ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრის „ბასასა“ და მცხეთის სტადიონები (ანუ, სადაც უნდა ჩატარებულიყო ზემოთნახსენები ორი მატჩი) საფეხბურთოდ „ვარგის“ მდგომარეობაში ყოფილიყო. თუმცა, დღეიდანვე რომ დარი დამდგარიყო და „ბასაზე“ თუ „მცხეთა-პარკზე“ თოვლი გამდნარიყო, მაინც „უხერხული სიტუაცია“ შეიქნებოდა; ანუ უმაღლესი ლიგის გუნდები არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ: „სპარტაკს“, „მეტალურგს“, „ვიტ ჯორჯიასა“ თუ „სიონს“ მომდევნო ტურამდე მოსამზადებლად 3 დღეღა რჩებოდათ, დანარჩენებს კი — მთელი კვირა. მოკლედ, ბუნებას წინ ვერ აღვუდგებით და თითქმის ყველა გუნდისათვის მეტ-ნაკლებად ეჭიანური გადაწყვეტილება მიღებულია: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, XV ტურის გამოტოვებული ხუთივე მატჩი წლეულსვე, 14 დეკემბერს ჩატარდება. ისე, ჩვენს ფეხბურთელებს წინასაახალწლოდ გრაფიკი ექნებათ, თქვენი მოწონებული: 15 დღის განმავლობაში ხუთ-ხუთი ოფიციალური მატჩის ჩატარებას ეხუმრებით? ოღონდ, აუცილებლად უნდა დავაზუსტოთ და ვთქვათ, რომ ასეთი გრაფიკით ასპარეზობა მხოლოდ ექვს გუნდს მოუწევს — „ზესტაფონს“, „ტორპედოს“, „მერანს“, „მეტალურგს“, „ვიტ ჯორჯიასა“ და „დილას“ - ანუ იმათ, გასულ ტურშიც რომ ვერ ითამაშეს და თასის საპასუხო მეოთხედფინალებიც რომ აქვთ ჩასატარებელი.

ოპტიმისტური პროგნოზი

2011 წლის ბოლომდე სამი ტურია დარჩენილი, დავუმატოთ ამას 14 დეკემბერს ჩასატარებელი ის ხუთი გამოტოვებული მატჩი, პლუს 7 დეკემბერს დანიშნული სათასო პაექრობები, — ჰოდა, ვთქვათ და, თოვლი კიდევ წამოვიდა, მაშინ რაღა უნდა ვქნათ? იმასაც შეგახსენებთ, რომ მომავალი წლიდან ჩემპიონატი 14 თებერვალს უნდა განახლდეს და იმ დროსაც შემჭიდროებული კალენდარია: პირველი ეტაპის „დამამთავრებელი“ 4 ტურის მატჩები გუნდებმა 18 დღის განმავლობაში უნდა ჩაატარონ! მერე ხომ ახალი ტურნირი იწყება — რვა გუნდმა ორი წრედ უნდა ითამაშოს. აი, ასეა — სხვა გზა არ დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ ვისურვოთ დეკემბერიც და თებერვალიც მეტ-ნაკლებად თბილი და, რაც მთავარია, უნალექო ყოფილიყოს! საპირისპირო შემთხვევაში, მართლაც ძნელი წარმოსადგენია, თუ რა „სახე“ ექნება უმაღლესი ლიგის კალენდარს: სად გინდა ამდენი „თავისუფალი“ თუ სარეზერვო დღე მოძებნო? მოკლედ, გვინდა თუ არა, კვლავაც იმ მარადიულ, უფრო ზუსტად, ქართული ფეხბურთის ქრონიკულ პრობლემას მივადექით, — ჩვენი საფეხბურთო მეურნეობის (გნებავთ, ინფრასტრუქტურის) მოუწესრიგებლობა რომ ჰქვია. რა თქმა უნდა, ზედმეტი ხარჯის გაღება არავის უნდა და, წესით, ჩვენი კლუბების ხელმძღვანელებიც არ უნდა გავამტყუნოთ, თოვლის საწმენდი სპეციალური ტექნიკის არშეძენის გამო: ბოლო წლებში, რამდენიც გინდათ, იმდენი ჩემპიონატი ჩაგვიტარებია, თოვლი საერთოდ რომ არ წამოსულა (ერთადერთი გამონაკლისი 2010 წლის დასაწყისში იყო, როცა თებერვალში მოთოვა და რამდენიმე მატჩიც გადაიდო). მოკლედ, მოსალოდნელი ერთეული შემთხვევების გამო, ბუნებრივი თუ ხელოვნური საფარის გასაწმენდი სპეცტექნიკის შეძენასაც ვერავის დავავალდებულებთ; ხოლო, რაც შეეხება მამაპაური ნიჩბებით თოვლის ახვეტას, ამ შემთხვევაში კი მოედნის საფრის (ბუნებრივისაც და ხელოვნურისაც) დაზიანების საფრთხე მატულობს. მოკლედ, ისღა დაგვრჩენია, გამოდარებას დაველოდოთ და ჯერ წელინადი, შემდეგ კი, საერთოდ, სეზონი როგორმე ჩავამთავროთ...

გია ტუხაშვილი

● ლეგიონერი

აუ, რა ცივა...

შესვენება, დასვენება და რევიშვილიც კრასნოდარში

თოვლისა და საშინელი ყინვის მიუხედავად, რუსული პრემიერლიგის ბოლო ტურში "ტომმა" "კრასნოდარს" უმასპინძლა. შეხვედრა 0:0 დასრულდა, რითაც სტუმრები უკმაყოფილონი დარჩნენ, პერმიელიგის აუტსაიდერი "ტომისთვის" კი ეს ერთი ქულაც წარმატება იყო.

ოთარ მარცვალაძე სტუმართაგან ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო და მათი ექვსი მომენტიდან სამში მონაწილეობდა. კარგად ითამაშა "კრასნოდარის" კაპიტანმა **ალეკო ამისულაშვილმაც**, რომელმაც "ტომის" სახიფათო შეტევა ბოლო მომენტში განმუხტა, თორემ მასპინძელთა თავდამსხმელი მეკარესთან პირისპირ გადიოდა.

ამ შეხვედრის შემდეგ რუსეთის პრემიერლიგაში შესვენება გამოცხადდა, ქართველი ფეხბურთელებიც იანვრის დასაწყისამდე დაისვენებენ, შემდეგ მოსამზადებელ შეკრებათა ხანგრძლივი პერიოდია, 3 ან 4 მარტს კი პრემიერლიგის სეზონს „კრასნოდარი "როსტოვთან" საშინაო შეხვედრით განაახლებს.

შეგახსენებთ, რომ გუნდს მესამე ეტაპისთვის საქართველოს ნაკრების მეკარე **ნუკრი რევიშვილიც** შეუერთდება, რომლის ტრანსფერი მახაჩყალის "ანჟიდან" გამოისყიდეს.

მერაბ მამულაშვილი

ოთარ მარცვალაძე

● I ლიგა, A ზონა

XV ტური

მესხეთი (ახალციხე) – დინამო (თბ)	0:2
კოლხეთი (ხობი) – სტუ (თბილისი)	5:2
ჭიათურა – ჩხერიმელა (ხარაგ.)	
ლოკომოტივი (თბ.)-სამგრედია	გადაიდო
მეშახტე (ტყიბ.)-მერცხალი (ოზურ.)	

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბათუმი	15	12	2	1	26-7	38
2. მერცხალი	14	9	2	3	19-12	29
3. ჭიათურა	14	8	3	3	21-11	27
4. ჩხერიმელა	14	6	3	5	18-21	21
5. სტუ	15	6	2	7	30-37	20
6. ლოკომოტივი	14	4	4	6	23-22	16
7. კოლხეთი (ხ)	15	4	4	7	16-18	16
8. მესხეთი	14	4	2	8	12-17	14
9. მეშახტე	13	2	3	8	12-19	9
10. სამგრედია	14	1	5	8	10-23	8

მოგვიანებით ჯერ

3 დეკემბერი

დინამო (თბ) – ლოკომოტივი (თბილისი)
სამგრედია – კოლხეთი (ხობი)
ჩხერიმელა (ხარაგ.) – მეშახტე (ტყიბული)
მერცხალი (ოზურ.) – მესხეთი (ახალციხე)

4 დეკემბერი

სტუ (თბილისი) – ჭიათურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალია. სერია A. XIII ტურის შეჯამება

ცენტრალური მაჯრი ჩრდილში

და გმირი ქვესკნელიდან

ტურის გმირი: ადრიანა მუტუ

ტურის სიმბოლური ნაკრები

გუფონი (იუვენტუსი) - **ბენეტია** (უდინეზე), **ლეგრუტალიე** (კატანია), **მილიაჩო** (პალერმო) - **პეპე** (იუვენტუსი), **რიგონი** (ნოვარა), **პაროლო** (ჩეზენა), **ილიჩიჩი** (პალერმო) - **იბრაჰიმოვიჩი** (მილანი), **მუტუ** (ჩეზენა), **დენისი** (ატალანტა).

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაკრები ზედმეტად შემტევი გამოგვივიდა, მაგრამ რადგან სიმბოლურ გუნდზე გვაქვს საუბარი, თავი არ შევიზღუდეთ. ნახევარდაცვაში გამწესებული **ილიჩიჩი, რიგონი** და **პეპე** რეალურად უფრო გარემარბები, შემტევები არიან და არა კლასიკური შუახაზელები - შესაბამისად, მათი ერთად ყოფნა მოედანზე რეალურ ცხოვრებაში რთულად წარმოსადგენია - მით უმეტეს, როდესაც გუნდში სამი სუფთა ფორვარდიც გვყავს გამწესებული.

თავდასხმაში **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** ვხედავთ, რომელმაც „კიევოსთან" ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა და მხოლოდ 45 წუთი ეყო იმისთვის, რომ მეტოქის კარი ორჯერ აეღო. დუბლი მიითვალა აქტივში **ადრიან მუტუმაც**, მისმა „ჩეზენამ" კი მიჯრით მეორე შეხვედრაში გაიმარჯვა და თვალებში გამოიხედა. რაც შეეხება **ხერმან დენისს**, მართალია მისიგოლი „ატალანტას" სამი ქულის მოსაპოვებლად არ ეყო, მაგრამ ეს სულაც არ აკნინებს არგენტინელის შესანიშნავ ასპარეზობას „ნაპოლის" წინააღმდეგ.

დაცვაში ყველასგან მივიწყებულ **ნიკოლა ლეგროტალიეს** ვხედავთ „კატანიადან", რომელსაც **ბენეტია** და **მილიაჩო** უმშვენებენ გვერდს, კარში კი **ჯანლუიჯი ბუფონი** გავამწესეთ, რომელსაც „ლაციოს" შემტევებმა ვერაფერი დააკლო.

ტურის გმირი

ტურის გმირად ადრიან მუტუ შევრაცხეთ, რომელმაც როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ჯენოას" ორი გოლი გაუტანა და „ჩეზენას" ზედიზედ მეორე შეხვედრაში მოაგებინა. გატანილი გოლების გარდა, მუტუ დაცვასაც აქტიურად ეხმარებოდა და მთლიანობაში, უაღრესად პროდუქტიული იყო. ერთ-ერთ იტალიურ სპორტულ გამოცემაში მუტუს "ტურის გმირი ქვესკნელიდან" უწოდეს - თუ რატომ, წესით არ უნდა იყო რთული მისახვედრი: მიუხედავად "ჩეზენას" ბოლო დროინდელი პროგრესისა, ეს გუნდი ჯერ კიდევ ცხრილის ფსკერზე, შეიძლება ითქვას, ქვესკნელში იმყოფება.

ნამატჩევს, ადრიანმა პრესას შემდეგი განუცხადა: *„პირველ რიგში, მინდა სებასტიან ფრეის მოვუბოდიშო, რომელიც წლების განმავლობაში ჩემი თანაგუნდელი გახლდათ და მასთან ახლო მეგობრობა მაკავშირებს - არ მინდოდა, რომ მისი კარი ორჯერ ამეღო, მაგრამ ამას პროფესიული მოვალეობა მავალდებულებდა. ეს რა თქმა უნდა ხუმრობით, სერიოზულად კი იმას ვიტყვი, რომ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ფეხბურთის თამაში სულ ახლახან დავიწყე. ენთუზიაზმით ვარ აღსავსე და ერთადერთი მიზანი მამოძრავებს: გადავარჩინო „ჩეზენა" სერია B-ში გავარდნისგან. დარწმუნებული ვარ, ეს ასეც იქნება".*

ტურის ფრაზა

ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსის მეკარე): *„სკუდეტო? - რა დროს სკუდეტოა, წინ შობა და ახალი წელია, კაცმა არ იცის ვინ რა წონით დავბრუნდებით გუნდებში - მოკლედ, ბევრი რამე შეიცვლება და ფავორიტიც ის გუნდი იქნება, სადაც ფეხბურთელები ფორმას ყველაზე უკეთ შეინარჩუნებენ".*

გლობალური სტატისტიკა

საუკეთესო დასწრება: X ტური, ინტერი-იუვენტუსი, 75 000 გულშემატკივარი

ყველაზე დაბალი დასწრება: II ტური, კიევო-ნოვარა, 7 000 გულშემატკივარი

ყველაზე დიდი საშინაო გამარჯვება: **მილანი-კატანია 4:0 (XI ტური), მილანი-კიევო 5:0 (XIII).**

ყველაზე დიდი საგარეო გამარჯვება: **ინტერი-ნაპოლი 0:3 (VI ტური), კალიარი-ლაციო 0:3 (X).**

ყველაზე უხვგოლიანი თამაში: **პალერმო-ინტერი 4:3 (II ტური), ლეჩე-მილანი 3:4 (VIII).**

სერიები

მოგება: **იუვენტუსი - 4 თამაში**

წაგება: **ლეჩე - 2**

წაუგებლად: **იუვენტუსი - 11**

მოუგებლად: **კალიარი - 7**

გუნდური სტატისტიკა

საუკეთესო თავდასხმა: **27 გოლი - მილანი; 19 - იუვენტუსი; 16 - ლაციო, პალერმო, ატალანტა.**

საუკეთესო დაცვა: **6 გაშვებული - უდინეზე; 7 - იუვენტუსი; 8 - ნაპოლი.**

უარესი თავდასხმა: **6 გოლი - ჩეზენა; 9 - ლეჩე; 10 - ფიორენტინა, ბოლონია, კიევო.**

უარესი დაცვა: **21 გაშვებული - ნოვარა; 20 - პარმა; 19 - ლეჩე.**

ზუსტი გადაცემები: **6811 - მილანი; 6116 - რომა; 5775 - იუვენტუსი.**

კარის მიმართულებით დარტყმები: **196 - რომა; 188 - მილანი; 179 - იუვენტუსი.**

კარში დარტყმები: **71 - მილანი; 65 - იუვენტუსი; 57 - რომა, პალერმო.**

ინდივიდუალური სტატისტიკა

ბომბარდირები: **10 - დენისი (ატალანტა); 9 - დი ნატალე (უდინეზე); 7 - ჯოვინკო (პარმა), იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 6 - კლოზე (ლაციო).**

ასისტენტები: **7 - ანტონიო კასანო (მილანი); 6 - ალბერტო აკვილანი (მილანი), მირალემ პიანიჩი (რომა); 4 - ჯიბრილ სისე (ლაციო), როდრიგო პალასიო (ჯენოა), გასტონ რამირესი (ბოლონია), ხუან მანუელ ვარგასი (ფიორენტინა).**

ზუსტი პასები: **875 - ანდრეა პირლო (იუვენტუსი); 853 - დანიელე დე როსი (რომა); 804 - კრისტიან ლედესმა (ლაციო); 751 - მიგელ ველოზო (ჯენოა); 734 - ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი).**

კარის მიმართულებით დარტყმები: **56 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 49 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 46 - სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 38 - ადრიან მუტუ (ჩეზენა), ერნანესი (ლაციო).**

კარში დარტყმები: **23 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 16 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა), ხერმან დენისი (ატალანტა). 15 - მარკო რიგონი (ნოვარა), სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 14 - ადრიან მუტუ (ჩეზენა).**

ჯარიმები: **34 - ნენე (კალიარი), სტეფანო მორონე (პარმა); 33 - ჯამპიერო პინცი (უდინეზე), პანაიოტის კონე (ბოლონია); 31 - ხერმან დენისი (ატალანტა), რაჯა ნაინგოლანი (კალიარი), ხუან კუადრადო (ლეჩე).**

ციფრები და ფაქტები: **ზლატან იბრაჰიმოვიჩი მეოთხე ფეხბურთელია, რომელიც "ინტერში", "მილანსა" და "იუვენტუსში" თამაშობდა, ამასთან სერია A-ში 100 გოლი აქვს გატანილი;**

■ ■ ■

"მილანმა" მიჯრით მეათე შეხვედრა მოუგო "კიევოს";

■ ■ ■

"იუვენტუსს" 2003 წლის შემდეგ არ წაუგია "ლაციოსთან", 10 მოგება, 4 ფრე;

■ ■ ■

კრისტიან ბროკიმ მეასე შეხვედრა ჩაატარა სერია A-ში "ლაციოს" შემადგენლობაში;

■ ■ ■

2007/2008 წლების სეზონის შემდეგ, არც ერთ გუნდს არ დაუწყია სეზონი 11 წაუგებელი შეხვედრით; ბოლოს, ასეთი შედეგი "ინტერს" და "ფიორენტინას" ჰქონდათ;

■ ■ ■

სიმონე პეპემ 25-ე გოლი გაიტანა სერია A-ში;

■ ■ ■

"სიენას" არასდროს მოუგია "ინტერისთვის" სერია A-ში, სულ კი ამ გუნდებმა 15 ურთიერთშეხვედრა გამართეს;

■ ■ ■

პირველად მიმდინარე სეზონში, "ინტერმა" მიჯრით ორი შეხვედრა მოიგო;

■ ■ ■

"უდინეზეს" ბოლო რვა საშინაო თამაშში არც ერთი არ წაუგია როგორც სერია A-ში, ისე ევროპის ლიგაზე. ამასთან, ფრიულელთა კარის აღება მხოლოდ "სიენამ" შეძლო;

■ ■ ■

ფრანჩესკო გვიდოლინმა პირველად დაამარცხა "რომა" სამწვრთნელო კარიერაში;

■ ■ ■

"ლეჩე" ერთადერთი გუნდია სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში, რომელსაც არც ერთი შეხვედრა არ მოუგია საკუთარ მოედანზე;

■ ■ ■

"ნოვარამ" 290-წუთიანი მშრალი სერია შეწყვიტა;

■ ■ ■

"პარმა" ერთადერთი გუნდია სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში, რომელსაც ფრედ არ დაუმთავრებია შეხვედრა;

■ ■ ■

ერნან კრესპომ მე-200 შეხვედრა ჩაატარა "პარმას" შემადგენლობაში;

■ ■ ■

ხერმან დენისმა მე-100 შეხვედრა ჩაატარა სერია A-ში, რაც 27-ე გატანილი გოლით აღნიშნა;

■ ■ ■

"კალიარიმ" საკუთარ მოედანზე 444-წუთიანი მშრალი სერია შეწყვიტა;

■ ■ ■

"ჩეზენამ" პირველი მატჩი მოიგო საკუთარ მოედანზე.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. იუვენტუსი	11	7	4	0	19-7	25
2. მილანი	12	7	3	2	27-14	24
3. უდინეზე	12	7	3	2	15-6	24
3. ლაციო	12	6	4	2	16-9	22
5. პალერმო	12	6	1	5	16-15	19
6. რომა	12	5	2	5	15-14	17
7. კატანია	12	4	5	3	14-18	17
8. ნაპოლი	11	4	4	3	14-8	16
9. ჯენოა	11	4	3	4	14-14	15
10. პარმა	12	5	0	7	15-20	15
11. კიევო	12	4	3	5	10-16	15
12. სიენა	12	3	5	4	14-11	14
13. ატალანტა	12	5	5	2	16-15	14
14. კალიარი	12	3	5	4	11-13	14
15. ინტერი	11	4	2	5	14-17	14
16. ფიორენტინა	12	3	4	5	10-11	13
17. ბოლონია	12	3	2	7	10-18	11
18. ნოვარა	12	2	4	6	14-21	10
19. ჩეზენა	12	2	3	7	6-13	9
20. ლეჩე	12	2	2	8	9-19	8

შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა

მომდევნო ტური

2 დეკემბერი: ჯენოა-მილანი;

3 დეკემბერი: ინტერი-უდინეზე, ნაპოლი-ლეჩე;

4 დეკემბერი: კატანია-კალიარი, კიევო-ატალანტა, ფიორენტინა-რომა, იუვენტუსი-ჩეზენა, ლაციო-ნოვარა, ბოლონია-სიენა, პარმა-პალერმო.

ლაშა წიკლაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● ტურის მატჩის გამოხმაურება

ლიდერის აღშფოთება

ეს ესაა მარიო ბალოტელი მოედნიდან გააძევეს

„მანჩესტერ სიტის“ თავკაცმა, **რობერტო მანჩინიმ** „ლივერპულის“ ჩეხი ცენტრალური მცველი, 26 წლის **მარტინ შკრტელი** და მისი თანაგუნდელები **მარიო ბალოტელის** მიმართ უპატიოსნო საქციელში დაადანაშაულა. მწვრთნელის აზრით, ისტლენდელთა 21 წლის თავდამსხმელი, რომელიც მოედანზე შესვლიდან 17 წუთში ორი ყვითლის გამო გააძევეს, ამას არ იმსახურებდა. შეგახსენებთ, რომ ბალოტელიმ პირველი გაფრთხილება **გლენ ჯონსონის** წინააღმდეგ უხეშობის გამო მიიღო, ხოლო მეორე - შკრტელთან საჰაერო დუელის დროს. სწორედ ამ ეპიზოდმა აღაშფოთა მანჩინი, რომელიც აცხადებს, რომ მსაჯ **მარტინ ატკინსონზე** ჩეხის სიმულანტობამ და მისი თანაგუნდელების რეაქციამ იმოქმედა — გარშემო მყოფი რამდენიმე ლივერპულელი მართლაც გადაჭარბებულად გამოხატავდა ემოციებს.

„ასეთი ეპიზოდები პრემიერლიგის ყოველ შეხვედრაში მრავლადაა, — თქვა მანჩინიმ, – მარიომ ხელი ანია, მკკტელი კი პატარა ბიჭივით გაგორდა და სახე ზე აიფარა ხელები. ეს ძალიან ცუდი საქციელი იყო. მსაჯს ჯარიმა უნდა დაენიშნა, მაგრამ ის რაც მოხდა, ყვითელ ბარათს ნამდვილად არ იმსახურებდა. სხვათა შორის, ატკინსონი თავიდან არც აპირებდა ბალოტელის გაფრთხილებას, მაგრამ გარშემო მყოფმა „ლივერპულის“ ფეხბურთელებმა ერთი ამბავი ატეხეს და არბიტრიც მათი გავლენის ქვეშ მოექცა. თავიდან აღშფოთდი, მაგრამ მერე გადამიარა, რადგან შეჩვეული ვარ, როდესაც მარიო რამეს აკეთებს მოწინააღმდეგეები იმწუთას პროვოკაციაზე მიდიან“.

იმავე ეპიზოდზე ლაპარაკისას „ლივერპულის“ თავკაცმა, **კენი დალგლიშმა** განაცხადა, რომ ბალოტელი თავად არის დამნაშავე:

„მე თუ მკითხავთ, ბალოტელიმ თავი გააგდებინა. ხშირად მისი ქცევა გადაჭარბებულია. სანამ რამეს იტყვი, ადამიანმა, ხანდახან სარკეში უნდა ჩაიხედო. ბალოტელი ისე იქცევა, რომ ხშირად სხვა შანსს არ ტოვებს. არ მგონია, რომ ჩემმა ბიჭებმა მსაჯზე გავლენა იქონიეს“.

როგორც ჩანს დალგლიში ზოგადად ბალოტელის პიროვნებასა და მის იმიჯს გულისხმობდა, თორემ ამ კომენტარით ძნელია მიხვდე კერძოდ რა მოხდა და რატომ იყო „სიტის“ იტალიელი თავდამსხმელი დასჯის ღირსი. ცნობისათვის: რაც „ინტერიდან ისტლენდზე გადავიდა, მარიო ბალოტელი მესამედ გააძევეს მოედნიდან.

მანჩინიმ დასძინა: *„მარიომ კარგად იცის, რომ მოწინააღმდეგეები მის პროვოცირებას ცდილობენ და, ამიტომ, გაცილებით მეტი ყურადღება მართებს. მე, მაგალითად, პირველი ყვითელი ბარათითაც უკმაყოფილო ვარ. მარიო უფრო ფრთხილად უნდა მოქცეულიყო. მოკლედ სამუშაო ბევრია, ხოლო ბალოტელის ერთ ან ორ თვეში შეცვლა შეუძლებელი, მაგრამ სხვათა მხრიდან სამართლიანობაც აუცილებელია. დღეს მარიო მეორე ყვითელ ბარათსა და გაძევებას არ იმსახურებდა. საერთოდ, ეს არის ადამიანი, რომლისგანაც არასდროს იცი, რას უნდა ელოდე. გასულ თვეში, მაგალითად, ის სანიმუშო იყო და მეტოქეებს ბევრი გოლი გაუტანა“.*

მანჩინიმ ისიც თქვა, რომ ხმები, თითქოს ბალოტელიმ „ენფილდის“ გასახდელის კარს ნიხლი დაარტყა და დააზიანა, სტადიონის სტიუარდების დაყრილია.

„მარიოს კარი რომ დაე ზიანებინა, აანა ზღაურებდა კიდეც,“ — თქვა „სიტის“ მწვრთნელმა. როგორც ჩანს, ბალოტელიმ კარს ნიხლი დაარტყა, მაგრამ ის არ დაზიანებულა.

● ჩელსი

ჯონ ტერი

ტერის ყვითელი ყვითელია

„ჩელსის“ მწვრთნელმა, **ანდრე ვილაშ-ბოაშმა** კატეგორიულად განაცხადა, რომ მისი გუნდის კაპიტანს, 30 წლის **ჯონ ტერის** „ვულვერჰემპტონთან“ შეხვედრაში ყვითელი ბარათი ძალად არ მიუღია. რად უნდოდა ტერის ყვითლის მიღება? ეჭვიანი ხალხის თქმით იმიტომ, რომ დღეს, „ქარლინგის თასზე“ „ლივერპულის“ წინააღმდეგ თამაშისთვის თავი აერიდებინა.

ეჭვი იმან გაამძაფრა, რომ ტერი უხეშობის გამო კი არ გააფრთხილეს, არამედ შეხვედრის მინურულს აუტიდან ბურთის ზოზინით ჩაწოდებისათვის. არადა, მოგეხსენებათ, „ლურჯები“ პირველი ტაიმის მერე 3:0-ს იგებდნენ და ბოლო წუთებზე დროის გაყვანა არაფრად სჭირდებოდათ. ეს, მიმდინარე სეზონში ტერის მეხუთე ყვითელი ბარათი გახლდათ.

„ტერი იმიტომ გააფრთხილეს, რომ ეშლი კოული უკეთეს პოზიციას ეძებდა, ვერ პოულობდა და ამან აუტის ჩაწოდება შეაყოვნა“.

ასე მოხდა თუ ისე, ტერი „ლივერპულთან“ სათასო შეხვედრას გამოტოვებს და „ჩელსის“ რთული დეკემბრისთვის „სუფთა“ იქნება. დასავლეთლონდონელებს ელით მატჩები „მანჩესტერ სიტისთან“, „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“ და „ნიუკასლ იუნაიტედთან“.

● შოკი



რობი სევიჯი

გარი სპიდი

რობი სევიჯი დაიბნა

უელსის ნაკრების მწვრთნელის, **გარი სპიდის** გარდაცვალებამ მთელი დიდი ბრიტანეთი დაზაფრა. 42 წლის კაცი სახლში იპოვეს მკვდარი. სავარაუდოდ, მან თავი ჩამოიხრჩო. არადა, წინადღეს, BBC-ს სტუდიაში იყო **გარი მაკალისტერთან** საფეხბურთო თოკ-შოუში მონაწილეობისთვის.

უელსური ფეხბურთის ვარსკვლავი, **რობი სევიჯი**, რომელიც დღეს 37 წლისაა და ტელემიმომხილველად მუშაობის გარდა სერიალშიც თამაშობს, სპიდის გარდაცვალების ამბავმა ისე დაზაფრა, რომ თავიდან მასთან დასრეკად ტელეფონს ეცა.

უხეშობით ცნობილი ფეხბურთელი, რომელიც ხანგრძლივი კარიერის მანძილზე „მანჩესტერ იუნაიტედით“ დაწყებული „დერბი ქაუნთით“ დამთავრებული 7 გუნდში თამაშობდა, ამბობს:

„როდესაც გარის გარდაცვალების ამბავი მითხრეს, ვერ დავიჯერე. იმწუთას ტელეფონს ვეცი და მასთან რეკვა დავიწყე, იმედი მქონდა, რომ მიპასუხებდა და გაირკვეოდა, რომ ეს ყველაფერი ჭორი და ტყუილია, მაგრამ მობილური უკვე გამოერთოთ. მე მას ვეთაყვანებოდი, გარი ჩემი კერპი იყო. მას ყველაფერი ჰქონდა, რაც ადამიანმა ცხოვრებაში შეიძლება ინატროს. მაშ, რატომ მოხდა ასეთი საშინელი რამ?“

სევიჯმა მოიგონა, როგორ შეამოწმა ერთხელ **იან რაშმა**, როდესაც ის უელსის ნაკრებში სპიდის შეგირდი იყო.

„ახალგაზრდა გახლდით. უელსის ნაკრების მწვრთნელმა ბობი გოლდმა დამავალა გარის დავკვირვებოდი და მისგან მესწავლა. თამაში რომ დამთავრდა, იან რაშმა მკითხა, აბა, რას იტყვი, როგორ მოგეწონაო. მე ვუპასუხე: გარი ზე მეკითხები? ის ისე თამაშობს, რომ მე ვერაფერს მივხვდი-მეთქი. მეგონა, კომპლიმენტი ვუთხარი, მაგრამ გავიდა ცოტა ხანი და რაშმა, რომელიც გარის გვერდით იჯდა დამიძახა.

- მოუყევი, ერთი წელან ამაზე რა მითხარი, – მითხრა რაშმა, მერე კი არ მაცადა და თვითონ უთხრა: რობი ამბობს, რომ შენი თამაშისა ვერაფერი გაიგოო.

გარიმ ამას წინათ გამახსენა ეს ისტორია....“

● მანჩესტერ იუნაიტედი

ფერგი სასჯელს გადაურჩება

მოგეხსენებათ, შაბათს, „ოლდ ტრეფორდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ნიუკასლთან“ 1:1 ითამაშა. მატჩის შემდე მანჩესტერელთა მწვრთნელმა, სერ **ალექს ფერგიუსონმა** სასტიკად გააკრიტიკა შეხვედრის მსაჯი **მაიკ ჯონსი** და თანამსაჯი **ჯონ ფლინი**. მიზეზი: მათ, 64-ე წუთზე მასპინძლების კარში შეცდომით დანიშნეს პენალტი. ეს ის თერთმეტმეტრიანი გახლდათ, რომლის წყალობითაც „კაჭკაჭებმა“ ანგარიში გაათანაბრეს.

მოგეხსენებათ, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ალექს ფერგიუსონი მსაჯს „თავს ესხმის“. „იუნაიტედის“ ლეგენდარული თავკაცი დაუჯარიმებიათ კიდეც, მაგრამ ამჯერად ფერგის კომენტარები არბიტრის პირად ღირსებას არ ეხებოდა. სხვათა შორის, შეხვედრას ჯონსი იმიტომ გაუძღვა, რომ **ფილ დოდი**, რომელიც ამ შეხვედრის მსაჯად გახლდათ დანიშნული, წინადღეს ავად გახდა.

ეპიზოდი, რომელმაც ამდენი ხმაური გამოიწვია, ასეთი იყო: „ნიუკასლის“ 24 წლის გარემარბი **ჰატემ ბენ არფა** მანჩესტერელთა საჯარიმოში შეიჭრა, საიდაც მასპინძლთა ვეტერანი მცველი, 33 წლის **რიო ფერდინანდი** გასრიალდა, ბურთს ფეხი გაჰკრა და კუთხურზე გადააგდო. ბურთისთვის ფეხის გაკვრის შემდეგ ფერდინანდი ბენ არფას, რასაკვირველია, შეეჯახა, მაგრამ, ვიმეორებთ, მცველმა ჯერ ბურთი გადააგდო კუთხურში. თავდაპირველად, არბიტრი, მაიკ ჯონსი სწორად აფასებდა სიტუაციას. მან ხელი კუთხურის ალმისკენ გაიშვირა, მაგრამ აქ საქმეში თანამსაჯი ფლინი ჩაერია და ჯონსს პენალტი დაანიშნინა. თერთმეტმეტრიანი დარტყმა **დემბა ბამ** შეასრულა და ანგარიში გაქვითა.

ფერგიუსონის კომენტარი გუშინ, ტურის მიმოხილვაში გაგაცანით და ახლა დაწვრილებით აღარ გავიმეორებთ. მოკლედ გეტყვით, რომ მისი აზრით მოედანზე მყოფთაგან არავის შეჰპარვია ეჭვი, რომ იმ ეპიზოდში კუთხური უნდა დანიშნულიყო. მსაჯიც სწორედ ამას აპირებდა, მაგრამ თანამსაჯმა გაუგონარი გადაწყვეტილება მიიღო. შემდეგ, „იუნაიტედის“ მწვრთნელმა ისურვა, რომ ასეთ შემთხვევებში მსაჯი ასისტენტს არ უჯერებდეს და დასძინა, რომ ყველაფრის თავი და თავი სისტემაა: არბიტრი პროფესიონალია, ცხოვრებაში მსაჯობით არის დაკავებული, თანამსაჯისთვის კი ეს ძირითადი პროფესია არ არის.

ამ სეზონში მოუზომავი სიტყვების გამო უკვე სამი მწვრთნელი მოხვდა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. პირველი გახლდათ „ნიუკალსის“ თავკაცი **ალან პერდიუ**, რომელმაც „სანდერლენდთან“ თამაშის წინ არბიტრ **ჰოვარდ უებს** შეუტია. შეგახსენებთ, რომ „კაჭკაჭების“ და „შავი კატების“ დაპირისპირება, ჩრდილო ინგლისში რეგიონული დერბია. მანძილი ნიუკასლსა და სანდერლენდს შორის ხომ სულ 24 კილომეტრი და 200 მეტრია. პერდიუს გაუმართლა, სიტყვიერი გაფრთხილება აკმარეს.

შემდეგი იყო „სტოკის“ თავკაცი **ტონი პულისი**. მას პერდიუსგან განსხვავებით 10 ათასი ფუნტის გადახდა მოუხდა. პულისის დანაშაული ის იყო, რომ „ქარლინგის თასზე“ „ლივერპულთან“ შეხვედრის შემდეგ მსაჯი **ლი პობერტი** გააკრიტიკა.

ჯარიმის გადახდა მოუხდა „ჩელსის“ თავკაც **ანდრე ვილაშ-ბოაშსაც**. მან „ქუინზ პარკ რეინჯერსთან“ წაგების შემდეგ **კრის ფოიზე** ცხარედ ილაპარაკა და 12 ათასით შეუმსუბუქდა ჯიბე.

თუმცა, „ნიუკასლთან“ ქულების დაკარგვას მანჩესტერულ ბანაკში ყველა მსაჯების შეცდომას როდი აბრალებს. მაგალითად, **პარტის ვეა** ასე ამბობს:

„თუ ჩემპიონობა გვინდა, მეტი გოლი უნდა გავიტანოთ. რასაკვირველია, ჩვენს კარში პენალტი არ უნდა დანიშნულიყო. მსაჯი პენალტს არ ნიშნავდა, მაგრამ თანამსაჯმა უხმო და, როდესაც არბიტრმა ჰკითხა, იყო თუ არა დარწმუნებული, რომ ფერდინანდმა თამაშის წესი დაარღვია, უპასუხა, რომ დარწმუნებული იყო. მაგრამ ამაზე ლაპარაკს სჯობს იმაზე ვილაპარაკოთ, როგორ გავიტანოთ მეტი გოლი. სეზონის დამთავრებამდე ჯერ დიდი დროა და მწამს, თუ კარგად ვითამაშებთ, კვლავ მოვიპოვებთ ინგლისის ჩემპიონის ტიტულს“.

ეპიზოდი, რომელმაც დიდი ხმაური გამოიწვია

● კოლეგიალობა

ანდრე დასაფასებელია

ვინ-ვინ და „ვულვერჰემპტონის“ თავკაცმა, **მიკ მაკარტიმ** კარგად იცის, ზეწოლა რასაც ნიშნავს. ადრინდელზე, რომ აღარაფერი ვთქვათ, რაც „მგლების“ სათავეშია, კრიტიკა არ აკლია. ამიტომაც, როდესაც ეუბნებიან, რომ „ჩელსის“ თავკაცი, **ანდრე ვილაშ-ბოაში** სამსახურში მისვლიდან ხუთ თვეში დიდ ზეწოლას განიცდის და შეიძლება გააგდონ, ირლანდიელს ეცინება.

„დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი ზეწოლის ქვეშ მყოფი „ჩელსის“ მწვრთნელი. მერწმუნეთ, ბევრ სხვა კლუბში მუშაობას ეს სჯობს. ამიტომაც, როდესაც მეუბნებიან, რომ ვილაშ-ბოაში ზეწოლას განიცდის, მეცინება. ანდრეს უდიდეს პატივს ვცემ, რადგან პორტუგალიის ჩემპიონიც გახდა და ევროლიგაც მოიგო. გარდა ამისა, მას ეყო გამბედაობა, სხვა ქვეყანაში ჩამოვიდა, ამ ქვეყნის ენაზე შესანიშნავად ლაპარაკობს და საქმეშია ჩაფლული. არადა, „ჩელსის“ მწვრთნელობა იოლი არასდროს ყოფილა. მინდა მას დიდი წარმატებები ვუსურვო. ნეტავ ყველა კრიტიკოსს დაუმტკიცოს, რომ ისინი ცდებოდნენ“.

შეგახსენებთ, რომ ვილაშ-ბოაშისა და მაკარტის გუნდები შაბათს შეხვდნენ ერთმანეთს და მატჩი „ჩელსის“ გამარჯვებით, 3:0 დამთავრდა.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა



მიკ მაკარტი

● ლიგა 1. XV ტურის გამოხმაურება

ჭრიუმფი სამხრეთულად

ტურის წინათქმაშიც ვწერდით, კვირას საღამოს მთელი საფრანგეთი ტელევიზორებს მიუჯდა, რათა საფრანგეთის უმთავრესი საფეხბურთო დაპირისპირებისთვის ედევნებინა თვალი. 42-ათასიან „სტად ველოდრომზე" 41 512 მაყურებელი მივიდა. როგორც ეს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ რამდენიმე კვირით ადრე გადაწყვიტა, დედაქალაქური კლუბის გულშემატკივრებს ბილეთები არ შეხვდათ. ასევე იქნება პარიზულ მატჩზეც - პროვანსელები 7 აპრილს "პარკ დე პრენსზე" "ვერ ეღირსებიან" მოხვედრას. მატჩს ინტრიგას ის მატებდა, რომ გუნდებს წინა ტურში თავიანთი შეხვედრები წაგებული ჰქონდათ. საინტერესო იყო, რომელს ნაუცდებოდა ფეხი კიდევ ერთხელ. შეკრებილი პუბლიკა მგზნებარე ორთაბრძოლის მოლოდინში იყო, მაგრამ მათ იმედი გაუცრუვდათ, რადგან ბრძოლა არ შედგა. "მარსელმა" მეტოქეს წარმატების კი არა ქულის მოპოვების შანსიც კი არ მისცა. **დიდიე დეშამმა** სტუმართა წინაალმდეგ გუნდი იდეალურად მომზადებული გაიყვანა და ტაქტიკაც ბრწყინვალე შეურჩია.

მასპინძლები მაქსიმალურად კონცენტრირებულები იყვნენ საკუთარ საჯარიმოსთან და ძალიან აგრესიულები **სალვატორე სირიგუს** კართან. რა თქმა უნდა, იღბალიც მათ მხარეს იყო, რადგან მათ პრაქტიკულად ყველა 100%-იანი მომენტი გამოიყენეს. ფრანგული სპორტული პრესა დიდი ხანია ალაპარაკდა "პარი სენ-ჟერმენის" სათამაშო კრიზისზე. ამის შემტევ პოტენციალს განსაკუთრებით დაეტყო **კევინ გამეიროს** ცუდი ფორმა. 25 წლის თავდამსხმელს 16 ოქტომბრის შემდეგ, უკვე რვა თამაშია, გოლი აღარ გაუტანია. პრობლემებზე ალაპარაკდა **ხავიერ პასტორეც**, ვინც განაცხადა, ჩემთვის კვირაში ორჯერ თამაში უცხოხილი იყო და ამიტომაც გადავიღალეო. მოკლედ, ეს ყველაფერი მხოლოდ შესავალი იყო და "ველოდრომზე" პიკი ვიხილეთ. მატჩი ათმა პარიზელმა ფეხბურთელმა ჩააგდო. ერთადერთი, ვისზეც ფრანგ ჟურნალისტებს ენა არ მობრუნებიათ გასაკრიტიკებლად, ეს მეკარე სირიგუა. მას თუ რომელიმე ბურთის აღების შანსი ჰქონდა, მხოლოდ თეორიული. ასეთ ბურთებს კი მეკარეები იშვიათად იღებენ ხოლმე.

ცოტა უხერხულადაც კი გვეჩვენება, ამ მატჩის შემდეგ ტურის კიდევ რომელიმე შეხვედრაზე რომ დავიწყოთ ლაპარაკი, ამიტომ პირდაპირ კომენტარებზე გადავიდეთ. მასპინძელთა თავკაცი დიდიე დეშამი მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე არაჩვეულებრივ ხასიათზე იყო. *"მარსელმა" შეხვედრაში მთელი აგრესია ჩააქსოვა, რაც ჰქონდა, რადგან ვიცოდით, რომ ამ მატჩის მოგება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის, ვიცოდით, რომ მთელი 90 წუთის განმავლობაში განსაკუთრებულად ეფექტური უნდა ვყოფილიყავით. მით უფრო ჩემპიონთა ლიგაში "ოლიმპიაკოსთან" წაგებული შეხვედრის შემდეგ და ჩვენ ეს მოვახერხეთ! დერბი - ეს არის თამაში, რომელსაც ყველა ზე ხშირად ცალკეული ფეხბურთელების ტალანტი და ინდივიდუალური ოსტატობა წყვეტს. სასიამოვნო სანახავია, როცა ხედავ, რა იოლად შეუძლია შენს გუნდს მომენტების გამოყენება. ასეთი მატჩის შემდეგ შემიძლია მეც გავიღიმო. იმედი მაქვს, ჩვენს გულშემატკივარს მოეწონა ჩვენი თამაში"*, – განაცხადა დეშამმა.

პრესკონფერენციაზე ნირწამხდარი გამოცხადდა "პარი სენ-ჟერმენის" მთავარი მწვრთნელი **ანტუან კომბუარე**. აი, რა განაცხადა მან: *"რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული ვარ. შესვენებისას გაბრაზებული ვიყავი, რადგან ნორმალურად ვთამაშობდით და ვერ გაგვქონდა. ვფიქრობდი, რომ წინ კიდევ მთელი 45 წუთი გვაქვს გასათანაბრებლად და მერე მიზნის მისაღწევად-მეთქი, მაგრამ "მარსელმა" დაამტკიცა, რომ დღეს მას მოგება ჩვენზე მეტად სურდა. არადა, მართლა მოსაგებად ჩამოვედით, რადგან ნამდვილად გვქონდა საამისო პოტენციალი. ფეხბურთელებმა ვერ გაითავისეს, რომ ასეთი მატჩები ომივითაა, წამიერი მოდუნება და წაგებული ხარ. ახლა მთავარია, რაც შეიძლება მალე მოვახერხოთ ამ მატჩის დავიწყება"*.

ისე როგორ იქნებოდა, "პარი სენ-ჟერმენის" სკამმორყეული მთავარი მწვრთნელის სამომავლო პერსპექტივებზე **ლეონარდოს** არ დალაპარაკებოდნენ... ბრაზილიელმა ფუნქციონერმა საჯაროდ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კლუბი კომბუარეს შემდგომი მუშაობის წინაალმდეგი არ არის და უახლოეს მომავალში მას სამსახურის დაკარგვის საფრთხე არ ემუქრება. *"მიუხედავად "მარსელთან" შეურაცხმყოფელი მარცხისა, ჩვენ გუნდის მთავარი მწვრთნელის მიმართ დამოკიდებულება არ შეგვიცვლია. კომბუარეს შეუძლია მშვიდად განაგრძოს მუშაობა. ჩვენს გუნდზე ძლიერ იმოქმედა სწრაფმა გოლმა. დერბიში ამას ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხოლმე. ახლა კი იმას გეტყვით, რომ უნდა დაგემშვიდობოთ, გადაღლილი ვარ. თამაშმა დიდძალი ენერგია წამართვა"*.

ტურის ნაკრები:

ლანდრო (ლილი) – **ასპილიკუეტა** (მარსელი), **ზუმა** (სენტ ეტიენი), **პულარი** (აიაჩო), **მარეკე** (ლორიანი) – **ამალფიტანო** (მარსელი), **ფერე** (რენი), **მვილა** (რენი), **ბასტოსი** (ლიონი) – **ლისანდრო ლოპესი** (ლიონი), **ჟირუ** (მონპელიე)

● ფრანგული ამბები



ჟან ტიგანა

ტრანსფერები

ბოლო 7-8 თვეა, "პარი სენ-ჟერმენზე" ალბათ იმდენივე იწერება, რამდენიც ერთად აღებული დანარჩენ ფრანგულ ფეხბურთზე და ამის მიზეზი ამ კლუბის განუზომელი სატრანსფერო მადაა. ჩვენი ფრანგი კოლეგების ცნობით, გუნდს "ნაპოლიდან" 25 წლის ურუგვაელი **ედინსონ კავანის** გადაბირება განუზრახავს და ამ მიზნით 75 მილიონი ევრო გაამზადაო. სამხრეთამერიკელით აქამდე ყველაზე მეტად დაინტერესებული "ჩელსი" იყო. დიდი ხანია ლაპარაკობენ, რომ პარიზელები იტალიიდან მარცხენა მცველს, 30 წლის **ფედერიკო ბალცარეტისაც** გადაიბირებენ. იტალიელი "პალერმოში" თამაშობს, კლუბში საიდანაც "ლურჯ-წითლებმა" **პასტორე** და **სირიგუ** გადაიბირეს.

ფრანგული გამოცემა Journal Du Dimanche-ი პორტუგალიური "აკადემიკა კოიმბრას" პრესსამსახურის განცხადებას ავრცელებს, სადაც წერია, რომ კლუბი კატეგორიულ უარს აცხადებს "მარსელს" 20 წლის ივუარელი თავდამსხმელი **იბრაჰიმ სისოკო** იმ თანხად მიჰყიდოს, რამდენის გადახდასაც ისინი აპირებენ. ლაპარაკია სულ რაღაც ნახევარ მილიონ ევროზე.

გიგანას გასართობად არ სცალია

ტრავმები

კვირას ლიგა 1-ის უმთავრეს დაპირისპირების 32-ე წუთზე "მარსელის" 24 წლის ცენტრფორვარდი **ლოიკ რემი მამადუ სახოსთან** საჰაერო ორთაბრძოლის შემდეგ მიწაზე უხერხულად დაეშვა და ფეხის ტრავმა მიიღო. მის ნაცვლად მინდორზე **ჟორდან აიუ** შევიდა. ექიმებს ტრავმის სირთულე ჯერ არ დაუდგენიათ, თუმცა წინასწარი ვარაუდით სერიოზული არაფერია. და მაინც, ლაპარაკი ფეხბურთელის გამოჯანმრთელების კონკრეტულ ვადებზე ნაადრევია.

"ევიანის" 34 წლის კარის დარაჯმა **ბერტრან ლაკემ** "რენთან" შეხვედრის მე-60 წუთზე **უგო მონტანოსთან** შეჯახებისას ბარძაყის დიდი ძვალი გაიტეხა. მის ნაცვლად მოედანზე **სტეფან ანდერსენი** გამოვიდა. ექიმების წინასწარი ვარაუდით, ბედშავ ლაკეს მკურნალობა მინიმუმ 6 თვე მოუწევს, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ის პატარა ბიჭი უკვე აღარ არის, აღნიშნულმა ტრავმამ შესაძლოა მის კარიერას სულაც წერტილი დაუსვას. კარიერის განმავლობაში მას "ნანსისა" და ბელგიური "შარლერუას" ღირსება დაუცავს.

გეგმები

ჟან ტიგანას შარშან "ბორდოში" სეზონი არ ჩაუმთავრებია. თანამდებობიდან ის თავისი ნებით აპრილის დასაწყისში გადადგა. ორიოდე კვირის წინ ღვანლმოსილ სპეციალისტს "შანხაი შენხუამ" სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა. მოლაპარაკების ადგილზე გასამართავად მუსიე ტიგანა აღნიშნულ ქალაქს ესტუმრა. 56 წლის ფრანგი აცხადებს: *"ჩინეთში გასართობად არ ჩამოვსულვარ. ამხელა გზაზე იმიტომ გამოვწიე, რომ კონტრაქტის გარდა პირობები ადგილზე შემესწავლა, ასევე დამეთვალიერებინა ქალაქი. ამ ყველაფრისთვის, პლუს, თანხმობის ან უარის სათქმელად სულ სამი დღე მაქვს. თუკი ჩინეთში ისე დავრუნდები, იმისთვის, რომ კონტრაქტის ხელი მოვაწერო და სამუშაოს შევუდგე"*.

● ევრო 2012

ევროპა და ტანგო



ბოლო რამდენიმე დღეა ევროპული სპორტული პრესა აქტიურად წერდა ევრო 2012-ის ოფიციალური ბურთისა და მისი სახელის შესახებ. გერმანელმა ჟურნალისტებმა პირველებმა მოახერხეს ინფორმაციის მოპოვება და გამოქვეყნება. მათი თქმით, "ადიდასმა" ბურთს "ტანგო 12" უწოდა. პირველად მსგავსი დასახელების ბურთი გერმანულმა ფირმამ 1978 წელს არგენტინაში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შექმნა. არგენტინა, ტანგო და **ასტორ პიაცოლა** გასაგებია. ერთს ამბობ და ენაზე შეიძლება მეორის სახელი მოგადგეს, მაგრამ... რა შუაშია ეს მშვენიერი ცეკვა უკრაინასთან ან პოლონეთთან, ვერაფერს გეტყვით.

საზოგადოების წინაშე პირველად ამ ბურთს 2 დეკემბერს კიევის საკონცერტო დარბაზ "უკრაინაში" წარადგენენ. შეგახსენებთ, რომ ამ დღეს ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის წილისყრა უნდა შედგეს.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

● დაპირისპირება

აშკარად დაუჯერებელი

კრუიფი აიაქსის წინააღმდეგ

"აიაქსში" დიდი სკანდალი მწიფდება. სამეთვალყურეო საბჭოს კომისარი **იოჰან კრუიფი** თავისი მშობლიური კლუბის წინააღმდეგ მიდის და ამჯერად ის მარტო არ არის, როგორც ეს ხშირად ხდებოდა. ამჯერად მის იდეებს და აღშფოთებას იზიარებენ სხვა ავტორიტეტული "აიაქსიდებიც". ლაპარაკია არა რიგით პერსონებზე კლუბის ადმინისტრაციიდან არამედ, **რონალდ** და **ფრანკ დე ბურებზე, დენის ბერგკამპზე, იაან სტამზე, ვიომ იონკსა** და **მარკ ოვერმარსზე**. რა გახდა ამდენი პატივცემული პერსონის გაბრაზების მიზეზი? მათი მტკიცებით, საბჭოს მიერ კლუბის საპასუხისმგებლო თანამდებობებზე **ლუის ვან გაალის, მარტინ სტრუკენბომისა** და **დანი ბლინდის** დანიშვნა ისე მოხდა, რომ მათ არაფერი იცოდნენ. იოჰანი ამტკიცებს, რომ აღნიშნული პირების კლუბში დასაქმება სულაც არ შედიოდა იმავე საბჭოს მიერ სექტემბერში დამტკიცებულ განვითარების გეგმაში. გუშინ დაპირისპირებულ მხარეთა შორის მოლაპარაკება უნდა შემდგარიყო, თუკი ისინი შეთანხმებამდე მისვლას ვერ მოახერხებდნენ, კრუიფი იმუქრებოდა, "აიაქსს" სასამართლოში ვუჩივლებო.

იოჰან კრუიფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანია. ბუნდესლიგა. XIV ტურის გამოხმაურება

მიუნხენში არ ესიამოვნათ

არადა, ბუნდესლიგა ასე უფრო საინტერესოა

ესეც ასე: ერთი შეხედვით უძლეველი „ბაიერნი“ ორგზის დაძლეული და პირველი ადგილიდან ჩამოგდებულია, მიუნხენელთა მეკარე **მანუელ ნოიერი** კი თანაგუნდელებს მისდგა. ასევე მოიქცა „კიოლნის“ ვარსკვლავი **ლუკას პოდოლსკიც** – ნოიერის დარად, მასაც მიაჩნია, რომ წარუმატებლობა მის გარდა ყველას ბრალია...

მიონხენგლადბახის „ბორუსია“ ახლა ისეთ ფორმაშია, ამ გუნდთან შეხვედრას მტერსაც არ უსურვებს კაცი – „ვერდერთან“ 5:0-ს მოსისხლე მტერ „კიოლნთან“ 3:0 მოჰყვა და ყველაზე საინტერესო ისაა, რომ მომდევნო ტურში „გლადბახი“ დორტმუნდის „ბორუსიას“ უნდა დაუპირისპირდეს. ამ უქმეებზე ორივე „ბორუსიას“ მწვრთნელები თავიანთ შეგირდებს საუკეთესო ეპითეტებით ამკობდნენ და ვნახოთ, რა იქნება მომდევნო ტურის შემდეგ. გასაკვირი კი არც დორტმუნდელთა დამრიგებლის სიამაყე ყოფილა – BVB-მაც ხომ მოსისხლე მტერი დაამარცხა, თანაც გაცილებით ძლიერი, ვიდრე „კიოლნია“ - „დორტმუნდმა“ რურის დერბიში „შალკე“ ყველა ასპექტში დაჩაგრა, რაც ანგარიშში მაინცდამაინც არ ასახულა (2:0) და ამიტომაც აღვნიშნეთ ცალკე. სამაგიეროდ, ამ ტურმა მიუნხენის „ბაიერნს“ გაუჩინა ბევრი საფიქრალი.

ლუსიენ მაქსიმალისტი

ლუსიენ ფავრი პრაგმატული კაცია – თავისი გუნდის თამაშებს ისე აანალიზებს, თითქოს ნამცხვრის რეცეპტზე ლაპარაკობდეს. მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ „კიოლნი“ 3:0 დაამარცხა და გამანადგურებელ ანგარიშს თავი რომ დავანებოთ, ფავრის გუნდი ისე თამაშობდა, როგორც ნამდვილ გრანდს შეეფერება, შვეიცარიელ მწვრთნელს კი ეიფორია ოდნავადაც არ დასტყობია: *„დამსახურებული გამარჯვება იყო, მაგრამ უკეთაც შეგვეძლო თამაში. თუმცა მე რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, რადგან ბიჭებმა ჩემი დავალებები კარგად შეასრულეს,“* - თქვა მან ასეთი ბრწყინვალე თამაშის შემდეგ.

ფანები ამ განცხადების მეორედ მოსმენაზე ფიქრობდნენ, როცა ფავრმა კიდევ უფრო საოცარი რამ თქვა: *„მეორე ტაიმის დასაწყისშივე, ძალიან სწრაფად გვინდოდა მესამე გოლის გატანა და ეს შევძელით კიდეც. ისე კი, ეს თამაში 4:0 ან 5:0 უნდა მოგვეგო.“*

ისტორიულად ძალიან დიდი, მაგრამ დღესდღეობით მაინც საკმაოდ მოკრძალებული გუნდის მწვრთნელი ასე თამამად საუბრობდეს, სადმე გინახავთ?

ბენდერი და ფანები

ჯერ **კლაას-იან ჰუნტელაარი**, მერე **ბასტიან შვაინშტაიგერი, ნევენ სუბოტიჩი** და **მიხაელ ბალაკიც** – ახლა კი, ბუნდესლიგის ლაზარეთს კიდევ ერთი ისეთი სტუმარი ჰყავს, რომელიც რეალურად ყველას ეცოდება. „დორტმუნდისა“ და გერმანიის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი **სვენ ბენდერი** ამ უქმეებზე საჯაროდ პირველად გამოჩნდა მას შემდეგ, რაც ლონდონის „არსენალის“ ფეხბურთელმა **თომას ვერმაელენმა** უმძიმესი ტრავმა მიაყენა, რის შემდეგაც სასწრაფოდ ოპერაცია გაუკეთეს და ფეხში მეტალის ორი პლატა ჩაუდგეს. წესით, ლოგინში უნდა წოლილიყო, მაგრამ სტადიონზე მისვლა და ფანებისთვის მადლობის გადახდა იმდენად უნდოდა, რომ ექიმებმა ვერ შეაკავეს. „ვესტფალენშტადიონის“ გამომცხადებლის კითხვაზე, თავს როგორ გრძნობთო, ბენდერმა უპასუხა, არცისე კარგადო, მაგრამ ქომაგებს უდიდესი თანადგომისთვის მადლობა მაინც პირადად გადაუხადა. *„სვენი ახლა საკუთარი თავის კარიკატურას ჰგავს, მაგრამ არა უშავს, გამოჯანმრთელდება და ისევ ის სვენი იქნება,“* - ეს „ბორუსიას“ თავკაც **იურგენ კლოპის** სიტყვებია.

იურგენმა ესეც დააგემოვნა

კლოპი ვახსენეთ და კლოპითვე განვაგრძოთ: მას მერე, რაც „დორტმუნდის“ თავკაცია, იურგენმა საკუთარ მოედანზე „შალკე“ პირველად დაამარცხა და ამით ძალიან ბედნიერი იყო. მართალია, „ბორუსიამ“ მოსისხლე მტერს შარშან სტუმრად 3:1 მოუგო, მაგრამ შინ იმხანად შალკელი ნოიერის გამო მხოლოდ 0:0-ს დასჯერდა, იმის წინა სეზონში კი სულაც 0:1 და 3:3 დაფიქსირდა – მოკლედ, იურგენმა ამ შაბათს პირველად გაიგო, რას ნიშნავს იყო დორტმუნდელი და დაამარცხო „შალკე“ საკუთარი პუბლიკის წინაშე.

„როგორ შევაფასებდი ამ განცდას? მაგარია, მაგარია, მაგარია!“ - თქვა კლოპმა. „შალკეს“ თავკაცი **ჰუუბ სტევენსი** კი დაღვრემილი იყო და კითხვაზე, მაინც რა ისწავლა მან ამ თამაშით, ჰოლანდიელმა მოკლედ მოჭრა: *„ბევრი რამ.“*

ეს ესაა, მანუელ ნოიერმა 28 მეტრიდან გოლი გაუშვა

შლაუდრაფის გოლი-ფანტასტიკა

როცა მეტოქე გუნდის ფეხბურთელებიც იმას ამბობენ, რომ შენ წლის ულამაზესი გოლი გაიტანე, მაშინ უკვე ცხადია, რომ მართლა საოცარი გოლი გაგიტანია: **იან შლაუდრაფმა** „ჰამბურგთან“ ანგარიში რომ გაათანაბრა, ეს არა მარტო ძალიან მნიშვნელოვანი, არამედ მართლაც ძალიან თვალსასაჩინო გოლი გახლდათ. ჰამბურგელთა მწვრთნელმა **ტორსტენ ფინკმა** კი მხოლოდ თამაშის შემდეგღა აღიარა, ამ ბრწყინვალე გოლის წინააღმდეგ ვეღარაფერს მოვიმოქმედებდითო. თუმცა არც მთლად ეგრეა საქმე – ვიცაცა შლაუდრაფისთვის დარტყმის საშუალება რომ არ მიეცა, მერე?

თავად იანმა კი ეს თქვა: *„სერჟიო პინტუმ ძალიან კარგი პასი მომცა და მეც მეტი აღარაფერი დამრჩენოდა, უნდა დამერტყა. ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც გვინდოდა და მე მიხარია, რომ ამ თამაშში ქულა მაინც გადავარჩინეთ.“*

სხვა მხრივ, „ჰანოვერისა“ და „ჰამბურგის“ მატჩი, რომელიც 1:1 დამთავრდა, სწრაფად დასავიწყებელია, რადგან შლაუდრაფის ამ ულამაზესი გოლის გარდა ხეირიანი არაფერი მომხდარა.

ისე, არც „ვერდერის“ მცველ **ნალდოს** ეფექტური გოლი უნდა დაგვავიწყდეს: „შტუტგარტს“ რომ გაუტანა, დარტყმის სიჩქარე 108 კმ/სთ იყო...

ნოიერი ხელს იშვერს

მიუნხენში გაკეთებული კომენტარები გვაფიქრებინებს, რომ ბაიერნელები ზედიზედ მეორე წაგების შემდეგ ალიბის ძებნას შეუდგნენ და რაღაც-რაღაცების ერთმანეთზე გადაბრალება დაიწყეს. კაპიტანმა **ფილიპ ლამმა** და სპორტულმა დირექტორმა **კრისტიან ნერლინგერმა** თვითკრიტიკული განცხადებები გააკეთეს და მაინცში განცდილი მარცხი (2:3) მოტივაცია-კონცენტრაციის უქონლობას დააბრალეს. ნერლინგერი სულაც უფრო შორს წავიდა და თქვა, ბუნდესლიგაში ბოლო ხუთიდან სამი თამაში წავაგეთ და ეს, რა თქმა უნდა, ნეგატიური ტენდენციაა.

მათ მანუელ ნოიერიც აჰყვა: *„მაინცი“ ქაოსურ ფეხბურთს თამაშობს და, აგვიყოლიეს. ძალიან ხარისხიანი გუნდი გვყავს, მაგრამ თუ ეს ხარისხი არ გამოვაჩინეთ, არაფერს აქვს აზრი,“* - რეკორდმაისტერის მეკარე გაბრაზებული იყო იმის გამო, რომ სამი გოლი გაუშვა.

მანუ განსაკუთრებით მაინცელთა მეორე გოლის გამო ბრაზობდა – როცა ბურთი მისი კარის ბადეში აფართხალდა, ნოიერმა თანაგუნდელებისკენ გაიშვირა ხელები და სწორედ მათ საყვედურობდა, გოლის ავტორ **კალიჯურის** ხელი რატომ არ შეუშალეთო. არადა, ეს გოლი მისი ბრალიც იყო – იმ მომენტში ნოიერი როგორც მინიმუმ, ოპტიმალურად არ გამოიყურებოდა. როცა ჟურნალისტებმა ამაზე მიუთითეს, მანუმ თავი იმართლა, დარტყმის მომენტი ვერ დავინახე, რადგან **ვან ბუიტენი** ცხვირწინ მედგაო. მართლაც, ის საკმაოდ დიდხანს და ამაოდ ცდილობდა ამ დარტყმის ამოცნობას, არადა, აუღებელი იყო თუ ასაღები, ფაქტია, რომ 28 მეტრიდან (!) დაურტყეს და ნოიერმა რეაქცია დააგვიანა. მაგრამ როცა წინ აყლაყუდა ვან ბუიტენი გიდგას, მართლა რთულია რამის დანახვა...

როგენი არა და რაფინია?

საოცარი გადაწყვეტილება მიიღო **იუპ ჰაინკესმა**: მან **არიენ რობენი** სკამზე დასვა და როგორც ამბობს, ეს იმიტომ გააკეთა, რომ **თომას მიულერს** მიანიჭა უპირატესობა. გაუგებარი თითქოს არაფერია, მაგრამ მაინც არის: ჰაინკესი **ტონი კროოსს** სასტარტო შემადგენლობის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს და თანაც, გამთამაშებლის პოზიციაზე, რის გამოც იძულებული ხდება, მიულერსა და რობენს შორის კონკურენცია გააჩაღოს. არადა, „დორტმუნდთან“ და „ვილიარეალთან“ სხვანაირად იყო – იმ მატჩებში რობენი თამაშობდა. არაამქვეყნიური არაფერი მომხდარა, „დონ იუპმა“ თავისი ვარსკვლავი დასვენა, თუმცა, როცა „მაინცი“ დანინაურდა, ჰაინკესმა მას გახურება უბრძანა.

არიენიც ხურდებოდა და ხურდებოდა. ჯერ პირველი ტაიმის მიწურულს, მერე შესვენებაზე, მეორე ტაიმიც დაიწყო და რობენი ისევ ხურდებოდა... „ბაიერნი“ კი აგებდა და მიულერი ცუდად თამაშობდა. ყველანი ფიქრობდნენ, აი, ახლა შემოუშვებს რობენს, აი, ახლა შემოუშვებსო... თავად რობენიც ასე ფიქრობდა, მაგრამ არაფერიც – ჰაინკესმა მოედანზე **რაფინია** შეუშვა. მატჩის შემდეგ რეკორდმაისტერის მწვრთნელს არაფერი უთქვამს. ინტერვიუებზე უარი ბრონქიტის გამო თქვა.

მე-14 ტურის სიმბოლური ნაკრები (3-4-3, კიკერი)

ოლივერ ბაუმანი (ფრაიბურგი, I) – **ფელიპე სანტანა** (ბორუსია დ, I), **ნალდო** (ვერდერი, II), **დანტე** (ბორუსია მ, II) – **გიოქჰან ტიორე** (ჰამბურგი, I), **რობერტ ლევანდოვსკი** (ბორუსია დ, III), **ბარონ ჰანტი** (ვერდერი, I), **ხუან არანგო** (ბორუსია მ, II) – **პიერ ლასოგა** (ჰერტა, II), **ერენ დერდიოკი** (ლევერკუზენი, I), **მაიკ ჰან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა

ბარსა არ ტყდება, წინ კლასიკოა

მაშინ, როცა კლუბის პრეზიდენტი **სანდრო როსელი** ჩინეთში „ბარსას" ბიზნესგეგმებს აწყობს, **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდი სულ უფრო შორდება მთავარ კონკურენტს - „ხეტაფესთან" სამარცხვინო წაგების შემდეგ (0:1) „სამეფო კლუბს" ჩემპიონი უკვე 6 ქულით ჩამორჩება, უკნიდან „ლამურებიც" თავს წამოადგენენ კატალონიელებს, „ბარსა" „ვალენსიას" მხოლოდ ქულითღა უსწრებს.

მოკლედ, „ელ კლასიკოს" გუნდი არასასურველ სიტუაციაში ხვდება. შეგახსენებთ, რომ წლის მთავარი დაპირისპირება 10 დეკემბერს „სანტიაგო ბერნაბეუზე" გაიმართება. „კლასიკო", თითქოს, კარს მოგვადგა, მაგრამ პეპის გუნდს მანამდე 3 თამაშის გამართვა მოუწევს! პირველი დღეს „კამპ ნოუზე" შედგება - „ბარსას" შესანიშნავი შანსი ეძლევა გულშემატკივრების თვალში რეაბილიტაციის, მეტოქე არც ისე ძლიერი „რაიო ვალეკანოა". მადრიდელები 16 ქულით მე-10 ადგილზე არიან. საიდან გაჩნდა ეს მატჩი, რომელიც წესით ესპანური პრიმერას მე-17 (ნუმერაციით, რეალურად მე-16) ტურის შეხვედრა უნდა ყოფილიყო? მოგეხსენებათ, „ბარსელონა" მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობს, ამიტომ ამ ტურის მატჩს ნაადრევად გამართავს. „რაიო ვალეკანოს" შემდეგ, შაბათს ჩემპიონი მე-4 ადგილისან „ლევანტეს" (რომელსაც მხოლოდ 2 ქულით უსწრებს) მასპინძლობს, მომდევნო სამშაბათს კი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის დასკვნითი ტურის მატჩია ბორისაუს ბატე-ს წინააღმდეგ. ყოვლად უმოტივაციო შეხვედრა, „ბარსამ" ხომ ჯგუფში პირველობა უკვე დაიბევა. „რეალთან" თამაშის წინ ასეთ გადატვირთულ გრაფიკს მხოლოდ ერთი უპირატესობა აქვს - „ბლაუგრანა" მშობლიური „კამპ ნოუდან" არსად მიდის, სამივე თამაში იქ ჩატარდება.

40 წლის პეპი ოპტიმისტია, ის კვლავაც იმ აზრზეა, რომ „ხეტაფესთან" გუნდმა კარგად ითამაშა. შეგახსენებთ, რომ ეს „ბარსელონას" პირველი მარცხი იყო სეზონში. *„ლა ლიგა ჯერ ახლა გახურდა, ჩვენ კვლავ მოვახერხებთ წინ გაჭრას, სანერვიულო არაფერია"*, - აცხადებს გვარდიოლა - *„არა მგონია, რომ „ხეტაფემ" ჩვენზე უკეთ ითამაშა, მაგრამ რადგან მეტოქე გუნდმა მოიგო, სხვა არაფერი დაგვრჩენია, მივულოცოთ ეს წარმატება. თავიდან მათ დაცვაში ბევრი ხვრელი ვიპოვეთ, მაგრამ როგორც კი ანგარიში გახსნეს, მადრიდელები დაცვაში „ჩაიკეტნენ". ასეთ შემთხვევაში კი ყოველთვის უფრო რთულია თამაში. შევეცადეთ, დანი ალვეშისა და სხვა ფლანგელების წყალობით, მათი დაცვის მორღვევას, მაგრამ ამჯერად არ გამოგვივიდა. გუნდს ვერ გავკიცხავ, პირიქით, შევაქებ კიდევაც - ბიჭებმა კარგად ითამაშეს"*.

მსაჯობაზე („ხეტაფესთან" მატჩში იყო 1-2 საკამათო ეპიზოდი) პეპს არაფერი უთქვამს, მან განაცხადა, რომ ამაზე მეტად „რაიო ვალეკანოსთან" დაპირისპირებაზე ფიქრობს. სხვათა შორის, სულ სხვას ამბობდა „ხეტაფესთან" მატჩის წინ პეპი, აღნიშნავდა, რომ ამ შეხვედრის შედეგს დიდი მნიშვნელობა ექნებოდა საშინაო მატჩებისა და „ელ კლასიკოს" წინ.

ის, რომ **ანდრეს ინიესტა** „ხეტაფესთან" არ ითამაშებდა, წინა დღეებში გაირკვა, მაგრამ **სესკ ფაბრეგასის** არყოფნა ბევრისთვის მოულოდნელი იყო. კვირას ვარჯიშზე, ერთიც და მეორეც მწყობრში იყო და ჯგუფში ვარჯიშობდა. ძირითად გუნდს სარეზერვოდან 7 ფეხბურთელი დაემატა. მათ შორის **ისააკ კვენკა** და **ჯონათან დოს სანტოსი.** პირველმა „ხეტაფესთან" მე-2 ტაიმი ითამაშა, მექსიკელმა კი სეგუნდა დივიზიონში დუბლი შეასრულა.

ამასობაში გვარდიოლას ასისტენტი **ტიტო ვილანოვა** საავადმყოფოდან გამოწერეს, მას მერე, რაც ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. კლუბმა კი წარმატებით დაასრულა მოლაპარაკებები ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების მცველ **მარტინ მონტოიასთან.** მონტოია „ბარსასთან" 2014 წლამდე გააგრძელებს ურთიერთობას. 20 წლის მონტოია, რომელსაც პირველ გუნდში დებიუტი თებერვალში ჰქონდა, სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი ხდებოდა. კონტრაქტი ოფიციალურად უახლოეს დღეებში გაფორმდება. შეგახსენებთ, რომ ახლახან „ბარსასთან" ურთიერთობა მონტოიას თანაგუნდელებმა, **რაფინიამ** და **ჯონათან დოს სანტოსმა** გააგრძელეს.

რაც შეეხება უშუალოდ „რაიო ვალეკანოსთან" დაპირისპირებას, ვფიქრობთ, **კარლეს პუიოლი** სასტარტო შემადგენლობას დაუბრუნდება და დაცვის ცენტრში **ჟერარდ პიკეს** შეუწყვილდება. ასე რომ, დაცვის მარცხენა ფრთაზე **ერიკ აბიდალი** ითამაშებს. ფაბრეგასი ალბათ ამოაგდებს სასტარტოდან **ტიაგო ალკანტარას,** რომელმაც „ხეტაფესთან" უფერულად ითამაშა. ანდრეს ინიესტა კი სათადარიგოთა სკამზე იქნება. პეპი კიდევ ერთ ცვლილებას ამზადებს - მას მერე, რაც ჩილელი **ალექსის სანჩესი** გამოჯანმრთელდა, ის ვერაფრით შევიდა ფორმაში. მწვრთნელი მას **პედროთი** ჩაანაცვლებს.

სტუმართა რიგებშიც მოსალოდნელია ცვლილებები, ვეტერანმა **რაულ ტამუდომ** უკეთ ითამაშა „ვალენსიასთან" მატჩში, ვიდრე **ანდრია დელიბაშიჩმა.** ამიტომ ტამუდო სლავს სასტარტოდან ამოაგდებს. დავის ცენტრში ბრუნდება **მიჩელ ლაბაკა** ბრუნდება, ის **ხავი არიბასის** ადგილს დაიკავებს.

ბოლოს ეს გუნდები ერთმანეთს 2003 წლის მაისში შეხვდნენ, მაშინ „ბარსამ" 3:0 მოიგო, „ელვები" კი პრიმერას კარგა ხნით დაეთხოვნენ.

ანდრეს ინიესტამ (მარცხნივ) გუნდთან ერთად ივარჯიშა

სავარაუდო შემადგენლობები

ბარსელონა (4-3-3): *ვალდესი - დანი ალვეში, პუიოლი, პიკე, აბიდალი - ჩავი, ბუსკეტსი, ფაბრეგასი - პედრო, მესი, ვილია.*

რაიო ვალეკანო (4-2-3-1): *კობენიო - ტიტო, ლაბაკა, ხორდი, კასადო - მოვილია, ფუეგო - ლ. ბანგურა, მიჩუ, პიტი - ტამუდო.*

ესპანეთი. ლა ლიგა. XIII ტური

მალაგა-ვილიარეალი 2:1

მალაგა (4-4-2): კაბალიერო - ს. სანჩესი, დემიკელისი, მატეისენი, მონრეალი - კასორლა, ტულალანი, დუდა (61. კამაჩო), ისკო - ს. ფერნანდესი (71. ბუონანოტე), რონდონი (61. ვან ნისტელროი).

ვილიარეალი (4-2-3-1): დ. ლოპესი - მარიო (85. ხოსელუ), გონსალო, მუსაჩიო, ორიოლი - ა. ლოპესი (68. სენა), ბრუნო - დე გუზმანი (53. მოისესი), ბ. ვალერო, ე. პერესი - მ. რუბენი.

გოლები: 1:0 ტულალანი (4), 1:1 მ. რუბენი (15), 2:1 ისკო (40)

გაფრთხილება: ტულალანი, კაბალიერო - ა. ლოპესი, ბრუნო, პერესი

გაძევება: ტულალანი (75)

კუთხური: 5-3; **ჯარიმა:** 11-18; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 6-10 (5-8); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

მაყურებელი: 15 800

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. რეალი	13	11	1	1	46-10	34
2. ბარსელონა	13	8	4	1	38-7	28
3. ვალენსია	13	8	3	2	21-13	27
4. ლევანტე	13	8	2	3	23-12	26
5. მალაგა	13	7	2	4	17-16	23
6. სევილია	13	5	6	2	13-10	21
7. ოსასუნა	13	4	6	3	16-25	18
8. ბილბაო	13	4	5	4	19-16	17
9. ესპანიოლი	13	5	2	6	10-15	17
10. ვალეკანო	13	4	4	5	15-15	16
11. ატლეტიკო	13	4	4	5	18-20	16
12. ვილიარეალი	13	3	5	5	11-19	14
13. ხეტაფე	13	3	4	6	14-19	13
14. ბეტისი	13	4	1	8	12-19	13
15. მალიორკა	12	3	4	5	10-17	13
16. გრანადა	12	3	3	6	5-12	12
17. სოსიედადი	13	3	3	7	12-20	12
18. სპორტინგი	13	3	3	7	12-21	12
19. სარაგოსა	13	2	4	7	12-27	10
20. რასინგი	13	1	6	6	9-20	9

ხერხემლის დეკომპრესია DRX9000™ სისტემა
მედცენტრი Shine
გაწუხებთ სპორტული დატვირთვით გამოწვეული პრობლემები?

გთავაზობთ მალთაშუა დისკის პათოლოგიების მკურნალობას ოპერაციის გარეშე
მწვავე ტკივილების მოხსნას წელისა და ქვედა კიდურების არეში
დისკოზის, რადიკულიტის, ოსტეოქონდროზის მკურნალობა
ჩაწერა წინასწარ
ტელ: 2 230 330
მის: კეკელიძის 14
www.shine.ge

რეალი

იკერ კასილიასი რეკორდსმენის პრიზით

9 კაცით 14-ის წინააღმდეგ

ჟოზე მოურინიოს გუნდი უბრალოდ შესანიშნავ ფორმაშია. მადრიდელები ეიფორიაშიც კი არიან ამის გამო. ერთადერთმა მარცხმა „ლევანტესთან" ისინი ორმაგად მოტივირებულნი გახადა და ახლა 13-მატჩიანი მოგებათა სერია „გამოაცხვეს". „რეალი" უსწორდება მეტოქეებს პირველ ტაიმში და მეორეში მათ უბრალოდ ნაწილებად შლის. თუკი ოდესმე ამ ეიფორიის შეჩერება შეიძლება, ეს 10 დეკემბერს უნდა მოხდეს, არც მანამდე და არც მერე. შეგახსენებთ, რომ 10-ში „ელ კლასიკოა".

აი, რას ამბობს 4:1 მოგებული დერბის შემდეგ ჟოზე მოურინიო: *„ჩემმა გუნდმა თავისი საქმე გააკეთა - უნდა მოეგო და გაიმარჯვა კიდევაც. მეტოქე მოგებას ყველაფერზე წასვლით აპირებდა. კიდევ კარგი, კარბონის წვივსაფრები ფეხბურთელებს კარგად იცავს. 90 წუთის განმავლობაში მხოლოდ ერთი ყვითელი ბარათი მივიღეთ და ეს ბევრზე მეტყველებს. ჩვენ შევინარჩუნეთ სიმშვიდე და კონცენტრაცია, რის ხარჯზე მოვიგეთ კიდევაც. პენალტი და წითელი ბარათი ეჭვს გარეშეა. ასეთ ეპიზოდში ჯობს გოლი გაუშვა, ვიდრე შენ კარში პენალტი დაინიშნოს, ხოლო მეკარე გააძევონ. მე ჩვენ მეკარეებს ყოველთვის ვურჩევ, რომ არ დაჯარიმდნენ. „ატლეტიკოს" მეკარემ გარისკა და წითელი ბარათი მიიღო. დი მარია ცოტა დაღლილი იყო, ამიტომ ერთი საათის შემდეგ შევცვალე, მეტი თამაში მას აღარ შეეძლო მაღალ დონეზე"*, - განაცხადა ჟოზე მოურინიომ.

„ატლეტიკოსთან" მატჩის წინ **იკერ კასილიასმა ფლორენტინო პერესისგან** სპეციალური პრიზი მიიღო ესპანეთის ნაკრებში რეკორდული, 127 კეპის მოხვეჭისთვის. დღეისათვის, ესპანეთის ნაკრებში 100 მატჩზე მეტი სულ 4 ფეხბურთელს აქვს ნათამაშები: კასილიასს (127), **ანდონი სუბისარეტას** (126), **ჩავის** (107) და **რაულს** (102). 100-იან ნიშნულთან ძალიან ახლოს არიან: **კარლეს პუიოლი** (98), **ჩაბი ალონსო** (92) და **ფერნანდო ტორესი** (91).

„ატლეტიკოსთან" დერბი საიუბილეო, მე-100 მატჩი იყო „ბლანკოსის" ფორმით ფრანგი **ლასანა დიარასთვის.** ის მე-4 სეზონია „რეალში". ლასანამ ახლახან კვლავ შეძლო სასტარტო შემადგენლობაში გამოჩენა, მას მერე, რაც **სერხიო რამოსი** ცენტრში გადავიდა და მარჯვენა მცველის პოზიცია გამოთავისუფლდა. ნახევარმცველი იოლად მოერგო ამ როლს და საერთო სურათი არ გაუფუჭებია. 100 მატჩში ლასმა 4 გოლი გაიტანა და ამ სეზონამდე პრესტიჟულ 10-ნომრიან მაისურს ატარებდა.

ისევ დერბის დავუბრუნდეთ - „ატლეტიკოს" ცენტრალურმა მცველმა, ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა წევრმა **ალვარო დომინგესმა** აღნიშნა, რომ 9 კაცით 14-ის დამარცხება ყოველთვის ძნელი იქნებაო. რას გულისხმობდა დომინგესი? „ტვიტერზე" დაწერილი ახალგაზრდა მცველმა მალევე წაშალა. ის ალბათ სანქციებს შეუშინდა, 11 რეალელს მან ალბათ მსაჯთა ბრიგადა მიამატა.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს პირველობა

თუშიშვილის (მარჯვნივ) და კაკალაძის ფინალი



ბესარიონ გოჩაშვილი

თუშიშვილი ბრავმით დაბრუნდა

გუშინ სპორტკომპლექს „არენაში" დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც მართლაც ყველა ნამყვანი ფალავანი ჩაება, მწვრთნელთა საბჭოს მიერ გათავისუფლებული ხუთეულის გარდა. ყოველ შემთხვევაში, გუშინ ნაჭიდავებ ოთხ წონით კატეგორიაში - 55, 66, 84 და 120 კილოგრამებში - მეტ-ნაკლებად ცნობილთაგან მხოლოდ **შალვა მუზიაშვილს** (66) არ უსაპარეზია ავადმყოფობის გამო. ცხადია, ასეთმა მიდგომამ ჩემპიონატის დონე აამაღლა. ამჯერად აღარც მსაჯობას ახლდა ძველებური აყალ-მაყალი - ბოლო წლებში ამ მხრივ ვითარება ბევრად გამოსწორდა, მაგრამ საქმეს ამჯერად დიდად წაადგა სომეხი არბიტრების მონვეება. ჩემპიონატზე სამი იქაური მსაჯია მოწვეული, რომლებმაც ფინალები იმსაჯეს.

მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, შეჯიბრებიდან გათავისუფლებულია ლიცენზირებულთა ოთხეული, მსოფლიოს წლევანდელი ბრინჯაოს მედალოსნები - **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84) და **დავით მომძანაშვილი** (120), აგრეთვე ევროპის შარშანწინდელი ვიცე-ჩემპიონი **მალხაზ ზარქუა** (60), რომლებსაც უსაგზაროდ დარჩენილთაგან მხოლოდ **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55) დაუმატეს. ხუთივე მათგანი ახალი თაობის წარმომადგენელია, რამაც ჩემპიონატში ერთგვარი ზღვარი გაავლო ახლებსა და ძველებს შორის. მათში ცხარე ბრძოლა თავიდანვე იყო მოსალოდნელი - ლიდერთა არყოფნაში ერთ მხარეს „მზის ქვეშ" მოპოვებული ადგილის შენარჩუნების შანსი ეძლეოდა, მეორეს - მისი მოპოვებისა. ოთხიდან ორ შემთხვევაში - 55-სა და 66-ში მართლაც გაიმართა თაობათა ბრძოლა, რომელიც ძველების გამარჯვებით დასრულდა - გორელებმა, ევროპის ვიცე-ჩემპიონმა **ბესარიონ გოჩაშვილმა** (55) და მსოფლიოს ვერცხლის, ევროპისა და ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანმა **ოთარ თუშიშვილმა** (66) ფინალამდე არაერთ ახალგაზრდა კონკურენტს სძლიეს. ფინალში მათი მეტოქეებიდან ახალი სახე უფრო **გიორგი ედიშერაშვილს** ეთქმის 55-ში, თორემ **კობა კაკალაძე** (66) ევროპის ვიცე-ჩემპიონია. მათი მხრიდან ფინალში მოგებაც არ იყო მხოლოდ წარმატება - ორივემ დამაჯერებლად აჯობა კონკურენტებს და მათთვის მაინცდამაინც ბევრი შანსი არ მიუციათ. განსაკუთრებით - გოჩაშვილს. ედიშერაშვილი წლეულს თითქოს ურიგოდ არ ასპარეზობდა, მაგრამ ნათქვამია, ბებერი ხარისა რქანიც ხნავენო და გამოცდილებამ მაინც თავისი ჰქნა - გოჩაშვილი მთელი თავით მაღლა იდგა მეტოქეზე. მისი უპირატესობა განსაკუთრებით საგრძნობი მეორე პერიოდში იყო, როცა 4:0 დანინაურდა. ედიშერაშვილმა მხოლოდ ამის შემდეგ გაუქვითა 2 ქულა, თუმცა ეს გოჩაშვილის მხრიდანაც დროის გასაყვან ტაქტიკურ ჭიდაობას და ქულების დათმობას უფრო ჰგავდა.

ამ წონაში **ამირან ელბაქიძის** ბრინჯაოსაც გამოვარჩევთ და **ტრისტან ჩირგაძის** კვლავაც კარგ გამოსვლას.

ამ ჩემპიონატის მთავარი სიახლე თუშიშვილის დაბრუნებაა, თუმცა საკითხავია - როდემდე! ამ ერთ-ერთ ყველაზე უიღბლო მოჭიდავეს წლები გაუცდა ნაირ-ნაირი ტრავმის გამო, ახლა დაბრუნდა, მთელი ტურნირი გამაყუჩებლებით იჭიდავა - ლამის ყოველი შეხვედრის წინ ნემსს უკეთებდნენ, ფინალში კი მთავარი მაწამებელი ნეკნი ისევ იტკინა და, როგორც ექიმებმა წინასწარი შემოწმების საფუძველზე თქვეს, ახალ წლამდე ვერ ივარჯიშებს. ვიქონიოთ იმედი, რომ ტრავმა არც ისე სერიოზული აღმოჩნდება. თუშიშვილს ექიმთა დახმარება პირველ პერიოდშივე დასჭირდა, დამატებითის დასასრულს კი ფეხზე წამოდგომაც გაუჭირდა - მსაჯმა გამარჯვების აღსანიშნავად ხელი ბოლომდე ვერც კი აუწია.

ტრავმის და დამატებითი დროის მიუხედავად, თუშიშვილმა ფინალი იოლად მოიგო - ბაში-აჩუკივით მისალმებაც კი არ დაესრულებინა, ისე მსწრაფლ შეუვარდა მეტოქეს ფეხში, თითქოს ვარჯიშზე დამწყებებს ამ ფანდს ასწავლიდა. კაკალაძემ ამ ჩამორჩენის აღმოფხვრა ვერ შეძლო, მაგრამ, სამაგიეროდ, მეორე პერიოდში დაუდგა მედგრად და ქულა არ დაუთმო. თან ბედმაც გაუღიმა, როცა მონინააღმდეგემ მისი ბურთულა ამოიღო, რაც გამოიყენა კიდეც. ეგ იყო და ეგ - დამატებითში თუშიშვილი კვლავ მოწოდების სიმაღლეზე დადგა.

ოპერაციების, ტრავმებისა და გაცდენილი პერიოდის მიუხედავად, თუშიშვილმა მანამდეც იოლად მოუგო კონკურენტებს. თანაც - ბევრთან დიდი ანგარიშით იმარჯვა: **ილია ჯაშიაშვილს** 8:1 აჯობა, **ზურაბ იაკობაშვილს** - 6:3, **ირაკლი წოწონავას** - 11:8, ნახევარფინალში კი **გიორგი ლობჟანიძე** 7:3 დაამარცხა.

ამ წონიდან კიდევ ერთ გორელს გამოვარჩევთ - ევროპის პრიზიორ **მალხაზ მუზიაშვილს**, რომელმაც, სამწუხაროდ, ვერც ამჯერად დაგვამახსოვრა თავი - პირველივე შეხვედრა იაკობაშვილთან წააგო. არადა, მისგან ბევრად მეტს ველოდით, ვიდრე ევროპული ბრინჯაოა. რატომღაც ის წარმატება დღემდე „გედის სიმღერად" ექცა.

84-სა და მძიმეში ძველი თაობიდან ტიტულოვანი თითქმის არავინ ჭიდაობდა და იქ ასპარეზი მთლიანად ახალგაზრდებს დარჩათ. ვფიქრობთ, მკითხველთა განსაკუთრებულ ინტერესს მძიმე წონა იწვევს, სადაც ფინალის საგზური უფროსებში მსოფლიოს პრიზიორმა **ლევან ბერიანიძემ** და ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონმა, მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანმა **გიორგი საკანდელიძემ** მოიპოვეს, იქ კი საკანდელიძემ საკმაოდ იოლად იმარჯვა. განსაკუთრებით ეფექტური იყო მის მიერ მეორე პერიოდში მოპოვებული 3 ქულა, თუმცა იქვე დატრიალებაც რომ მოეხერხებინა, მთლად უნაკლო ეპიზოდი იქნებოდა. არადა, ცოტა დააკლდა მიზნამდე.

84-ის ფინალში დაახლოებით თანაბარი ბრძოლა იყო, თუმცა **ბექა ჭელიძემ** რიგ ეპიზოდებში მაინც მოახერხა უპირატესობის მოპოვება **თორნიკე სვანიძეზე** და ისიც დამსახურებულად გახდა საქართველოს ჩემპიონი.

დღეს 60, 74 და 96-ის ფალავნები იჭიდავებენ, სადაც ასევე უძლიერესი შემადგენლობა გამოვა. შეხვედრები 12 საათზე დაიწყება.

ირაკლი თავაძე

კვარცხლბეკი

55 კგ. 1. ბესარიონ გოჩაშვილი (გორი), 2. გიორგი ედიშერაშვილი (თბილისი), 3. ტრისტან ჩირგაძე (ქუთაისი), ამირან ელბაქიძე (გორი).

66 კგ. 1. ოთარ თუშიშვილი (გორი), 2. კობა კაკალაძე (აჭარა), 3. ზურაბ იაკობაშვილი (ყვარელი), გიორგი ცუცქირიძე (ქუთაისი).

84 კგ. 1. ბექა ჭელიძე (აჭარა), 2. თორნიკე სვანიძე (თბილისი), 3. მარადი ზოიძე (აჭარა), სანდრო ამინაშვილი (გარდაბანი).

120 კგ. 1. გიორგი საკანდელიძე, 2. ლევან ბერიანიძე (ორივე - თბილისი), 3. ლევან სეთურიძე (ყაზბეგი), გიორგი მუშვილდიშვილი (ონი).

● ქადრაკი

10 საგზური განაწილდა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 71-ე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც 10 საგზურისთვის 70 გოგონა და ვაჟი იბრძოდა, უმთავრესად - ახალგაზრდები. შვეიცარიული სისტემით გამართულ 9 ტურში 7-7 ქულით პირველი-მეორე ადგილები გიორგი სიბაშვილმა და ნიკა ღვამბერიამ გაინაწილეს. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს ანა კუჭავამ, ლევან ბახტაძემ, შალვა ნადირაშვილმა, დიმიტრი კვარაცხელიამ, სერგო ცომაიამ და პაატა მაჩაიძემ, რომლებმაც მესამე-მერვე ადგილები გაიყვეს. მომდევნო ორ ადგილზე 6-6 ქულით გუგა ბურდული და ნათია ჯალაბაძე გავიდნენ. ათივე მოჭადრაკემ ვაჟთა პირველ ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. ეს შეჯიბრება კი თბილისის ჭადრაკის სასახლეში 14 დეკემბერს დაიწყება.

ვაჟა დანელია

აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, სახელოვანი მოჭიდავის, მწვრთნელის
გივი (ჟანლა) პაპოშვილის
გარდაცვალების გამო.
დაკრძალვა 1.XII. 13 სთ; გურჯაანის რ-ნი. სოფ კალაურში

● ძიუდო. ფედერაცია

გულწრფელი რჩევები ფედერაციას

არ გეგონოთ, ნაბახუსევი ვიყო ან ცუდი სიზმარი ვნახე - საქართველოს ძიუდოს ფედერაციას ალალად, უანგაროდ მინდა მივაწოდო ზუსტი ცნობები საკუთრივ ფედერაციასა თუ ნაკრებში მიმდინარე მოვლენებზე, თორემ ბოლო დროს იმდენად არარეალურ ინფორმაციებს მაწვდიან, აშკარად არ უნდა იყვნენ საქმის კურსში. მკითხველს ემახსოვრება ბოლო რამდენიმე წერილი, სადაც ქართულ ძიუდოში მიმდინარე ამბებიდან ბევრი ჩვენც გვიკვირდა, იმდენად ურთიერთგამომრიცხავი რამეები ხდებოდა. მაგალითად, რატომ არ მონაწილეობდნენ ჩვენები კანოსა და ჩინეთის პრესტიჟულ ტურნირებში, როცა სალიცენზიო ქულები უმეტეს წონებში ჰაერივით გვჭირდება და ეს მაშინ, როცა წავედით სამოაში, ხოლო იაპონიაში ახლაც იმყოფება გუნდის ნაწილი შეკრებაზე; თუნდაც ამ შეკრებაზე რატომ წავიდა 5 კაცი და არა სხვები... ამის შემხედვარე ისევ ოლიმპიურ კომიტეტს შევეცოდე, ფედერაცია არ განვდის ამ ცნობებს, თუ რატომ არ ხარ საქმის კურსშიო, მერე კი რაა მაგაში დასამალიო და ნაკრების მთელი მოსამზადებელი გეგმა გადმომცეს ნოემბრიდან ევროპის ჩემპიონატის ჩათვლით და სხვა საინტერესო ამბებზეც ღიად მესაუბრნენ. მოკლედ, დღეიდან ძიუდოს ფედერაციას თუ დაინტერესებს, ვინ, რომელი სპორტსმენი სად იჭიდავებს, შეუძლია მომმართოს და მეგობრობის, ამდენწლიანი ურთიერთობის სანაცვლოდ ყველა ინფომაციას უშურველად მივაწვდი. შეჯიბრება კი არა, შეკრებებზე წამსვლელთა სიასაც გადავცემ - ადგილზე მოწყობილზეც და უცხოეთში დაგეგმილზეც. ნაკრების აესტრიელი თავკაცი **პეტერ ზაიზენბახერი** კრიტიკას იქნებ ბევრ რამეზე იმსახურებს, მაგრამ, ქართველ მწვრთნელთა აბსოლუტური უმრავლესობისგან განსხვავებით, ნაკრების ყველა კანდიდატზე - წონაში 2-2 კაცზე, ზოგან კი 3-ზეც გაუკეთებია ინდივიდუალური გეგმა, რომელიც სეოკ-ში 28 ოქტომბერს აქვს გადაგზავნილი.

ამდა იცოდეს ფედერაციამ, რომ ახლა იაპონიაში შეკრებაზე სრული გუნდის გამოსვლა იმიტომ კი არ გამოირიცხა, რომ თურმე ზაიზენბახერს მოუსურვებია ასე (როგორც მათ მითხრეს), არამედ იმიტომ, რომ ბიუჯეტი ამოიწურა და საჭირო თანხა არ იყო, თორემ იაპონური შეკრება სხვებსაც რომ წაადგებოდა, ამაზე არავინ კამათობს. ასევე უფულობაა მიზეზი კანოსა და ჩინეთში გუნდის გამოუსვლელობისა, თორემ ესეც საჭირო შეჯიბრებებიაო. წლის ბოლოა და რაა გასაკვირი იმაში, ფული თუ გათავდაო, მითხრეს, რამაც აზერბაიჯანის ძიუდოს ფედერაციის შარშანდელი საქციელი გამახსენა, როცა დაახლოებით ამავე პერიოდში ოფიციალურად გაავრცელეს განცხადება, ბიუჯეტი უკვე გავხარჯეთ და ამიტომ დარჩენილ შეჯიბრებებში ვეღარ გამოვალთო. ბიუჯეტი სწორად არ იყო გაწერილი თუ არასწორი ხარჯვის გამო ვერ მიატანა წლის ბოლომდე, ეს ფედერაციამ უკეთ იცის, მაგრამ მაინც მგონია, თავის დროზე თანხებს არ გაუფრთხილდნენ. ძალზე ხშირად კი ვახსენებ იტალიაში გამართულ იმ ათდღიან შეკრებას, მაგრამ იმ ვადებში, ზედ მსოფლიოს წინ იმხელა გადაფრენ-გადმოფრენა (იქვე რომ დარჩენილიყვნენ და რომიდან გადასულიყვნენ პარიზში, სავსებით გასაგები იქნებოდა) რაღაც უადგილო მგონია და მომკალით, იმ ფულით კი ადგილზეც გაივლიდნენ ნაყოფიერ შეკრებას. ჩვენი რეალობისთვის ასევე ძვირ ფუფუნებად მეჩვენებოდა იმდენი და ისე ხანგრძლივი უცხოური შეკრებებიც, თორემ საჭიროება კი მართლაც არის, თუმცა თავისი საქმისა თვითონ იციან, ოღონდ რა დაშავდებოდა, თავშივე ეთქვათ ბიუჯეტის ამოწურვაზე და არ მოეტანათ თითიდან გამოწოვილი მიზეზები. ჯერ ამსტერდამს დაველოდოთ და მერე გეტყვით კანოზე წამსვლელ გუნდსო, მითხრეს. არადა, იმ დროს თურმე გადაწყვეტილი ყოფილა, რომ ტოკიოში მარტო **ირაკლი ცირეკიძე** (100) იჭიდავებდა და რა შუაში იყო იმ შეჯიბრების შედეგები? თუ ფედერაცია ფულის შოვნას და სხვების გაგზავნასაც იმედოვნებდა, ესეც გაემხილათ, რას გვიმალავდნენ - გაგვიხარდებოდა, ხომ არ გვეწყინებოდა? სხვა საქმეა, თუ ისინი დროს ნელავდნენ და უფულობის აღიარების ნაცვლად „მწვრთნელმა ასე გადაწყვიტა", „ამ ვითარებაში ასე ვარჩიეთ" და ამის მსგავს გვეტყოდნენ - ეს სიმართლისთვის თვალებში ნაცრის შეყრაა. **შოთა ხაბარელი** მსგავსს ნიუანსებს არასოდეს გვიმალავდა და იქნებ იმიტომაც ჰქონდა კარგი შედეგები, ანუ პროცესები გამჭირვალე იყო, მაგრამ ამაზე ფედერაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მიპასუხა, ისევ შენით გამოგაქვს დასკვნებიო. ეს ფრაზა სხვა დროსაც მითხრეს რამდენჯერმე, მაგრამ არა მგონია, რამეს ვაშავებდე, ჩემით თუ გამომაქვს დასკვნა და მათ არ ვეკითხები, ხოლო თუ მაინც რამე მიუღებელია ამაში, მზად ვარ, მთელ ფედერაციას მოვუბოდიშო.

ასევე მინდა ფედერაციამ იცოდეს, რომ ცირეკიძე კანოს ტურნირის შემდეგ ჩინეთშიც გადავა და ქალაქ ქინგდაოშიც იასპარეზებს იქაურ „დიდ პრიზზე". ოღონდ ის იაპონიაში თუ იქაურთა პერსონალური მიწვევით მიდის, ჩინეთში საკუთარი ხარჯით გადავა. აქ ცირეკიძის და ფედერაციის ინტერესები სრულად დაემთხვა ერთმანეთს - მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონი სალიცენზიო 22-კაციან ზონაში კი შედის, მაგრამ იქ მას **ლომერ ჟორჟოლიანი** უსწრებს. ცხადია, ლონდონში ნასვლის უპირველესი კანდიდატიც ჯერჯერობით ისაა, ცირეკიძის ამოცანა კი მისი გადასწრებაა. ამის შანსს მას იაპონია-ჩინეთში ნარმატებით გამოსვლა აძლევს, სადაც ბლომად ქულების დაგროვება შეიძლება. მათ შორის რაც უფრო ძლიერი კონკურენცია იქნება და ეს რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება, ფედერაციასაც სრულიად აძლევს ხელს. თან აზიაში ცირეკიძის კარგი გამოსვლა დიდწილად განსაზღვრავს ინვარ-თებერვალში მის მოსამზადებელ გეგმას - თუ მსოფლიოს რეიტინგის 16 საუკეთესოში შევა, მაშინ 14-15 ინვარს ისიც იჭიდავებს ალმატიში მასტერსის ტურნირზე, სადაც გამოსვლა უკვე განაღდებული აქვთ **ამირან პაპინაშვილს** (60), **ვალერი ლიპარტელიანს** (90) და ჟორჟოლიანს. იქ ნასვლა ახალი, ძალზე საინტერესო ეტაპი იქნება მისი და ჟორჟოლიანის კონკურენციაში - არაა გამორიცხული, ერთმანეთსაც შეხვდნენ, რაც ფრიად მნიშვნელოვანი იქნება. არადა, აზიური შეჯიბრებებიდან თუნდაც ერთში წარმატებით ცირეკიძეს 16-ეულში შესვლა ნამდვილად შეუძლია, ხოლო თუ ამას ვერ მოახერხებს და ალმათის საგზურს ვერ მოიპოვებს, მაშინ 28-29 ინვარს თბილისის მსოფლიოს თასზე გამოვა. შინაურ ტურნირზე ზაიზენბახერი 28-კაციანი ანუ სრული გუნდით გამოსვლას კი გეგმავს, მაგრამ პაპინაშვილს, ლიპარტელიანს და ჟორჟოლიანს ასევენებს - როგორც გითხარით, მანამდე ისინი მასტერსზე იასპარეზებენ, მერე კი პარიზის „დიდ მუზარადზე" (4-5 თებერვალი) და დიუსელდორფის „დიდ პრიზზე" (18-19 თებერვალი) აჭიდავებს. ცხადია, ადგილობრივ მაყურებელს ჩვენი წამყვანი ფალავნების თბილისში გამოსვლა ურჩევნია, მაგრამ ფრანგულ-გერმანული შეჯიბრებები ბევრად ძლიერი და მნიშვნელოვანია. ამიტომ ამ საკითხში მწვრთნელს ვეთანხმები - საოლიმპიადედ იქ ჭიდაობა უფრო საჭიროა. თან ორივე შეჯიბრების შემდეგ ადგილზე ერთობლივი ვარჯიშებიც იმართება, რაც ასევე წაადგებათ.

ვიდევ ერთი ცნობა ფედერაციის საყურადღებოდ - ოლიმპიური ჩემპიონი **ზურაბ ზვიადაური** ახლა ტოკიოში შეკრებაზე მწვრთნელად კი არაა წასული, არამედ გულმოდგინედ ვარჯიშობს. იქნებ, საბუთებში მისი ახლანდელი სტატუსი მწვრთნელობითაა განსაზღვრული და არა სპორტსმენობით, მაგრამ მენდეთ, რომ ეს კაცი იქ დღეში 12 შეხვედრას ატარებს. ეგ კი არა, ამბობენ, ამის გაგონებაზე იაპონიაში წასვლა ლიპარტელიანმაც მოინდომაო. თუმცა მას ჯერ შესაშფოთებელი არაფერი აქვს, რადგან ზვიადაურის სპორტში დაბრუნება არაა გადაწყვეტილი. ეს დამოკიდებული იქნება მის ჯანმრთელობაზე, უმთავრესად კი წელის მდგომარეობაზე.

მოკლედ, ასეთია სადღეისო ამბები. იმედია, ფედერაცია მომავალში მედიასთან უფრო აქტიურად ითანამშრომლებს, თორემ მარტო „კონკორდატის" გამოცხადება და ისიც ცალმხრივად, ფედერაციასთან შეუთანხმებლად ინტერვიუები არავინ გაბედოთო, საქმეს ვერ უშველის.

ირაკლი თავაძე

ძიუდო

შიდა ქართლი საჭიდაოდ დაირაზმა

ჩვენი ქვეყნის რეგიონები ძიუდოში დიდებს შორის საქართველოს ჩემპიონატისათვის ემზადებიან და საამისოდ შესარჩევ პირველობებს მართავენ. ამ დღეებში შიდაქართლელებმაც შეარჩიეს ქვეყნის უპირველესი შეჯიბრებისთვის ფალავნები. ტატამზე რეგიონის ოთხივე რაიონიდან ასამდე ძიუდოისტმა იჭიდავა. შიდა ქართლს კვოტით შვიდივე ნონით კატეგორიაში ოთხ-ოთხი მონაწილის გამოყვანა შეუძლია. აქაურები, საქართველოს ბოლო ორი წლის ჩემპიონატებით თუ ვიმსჯელებთ, განსაკუთრებით კარგად მსუბუქ და საშუალო ნონებში გამოიყურებიან. მაგალითად, შარშანწინ 73 კგ-ში, სამივე სინჯის მედლები სწორედ მათ ერგოთ. შეჯიბრება დაემთხვა ჰოლანდიაში მიმდინარე გრან-პრის გათამაშებას, სადაც **პეტერ ზაიზენბახერს** გორიდან **ნუგზარ ტატალაშვილი** (73) და ახალგაზრდებში წლევანდელი ევროპისა ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი **ლაშა შავდათუაშვილი** (66) ჰყავდა ნაყვანილი. რეგიონის გუნდში ამ ძიუდოისტთათვის ადგილი წინასწარ დაჯავშნილად გამოცხადდა და მათ ნონებში შეჯიბრებაზე გამოვლენილ მხოლოდ სამ საუკეთესოს მიეცა ქვეყნის ჩემპიონატზე ასპარეზობის საშუალება. გაგაცნობთ საუკეთესო ოთხეულებს.

60 კგ. პაატა მერებაშვილი, ვაჟა მარგველაშვილი, ლაშა გიუნაშვილი, ნიკა მშვიდობაძე; **66 კგ.** ლაშა შავდათუაშვილი, ირაკლი ლომიძე, გიორგი ფერსაშვილი, გოჩა ვარძელაშვილი; **73 კგ.** ზვიად ბაზანდარაშვილი, გიორგი პაპუნაშვილი, ნიკა გოგინაშვილი, გიორგი მაზიაშვილი; **81 კგ.** დავით კარბელაშვილი, იოსებ ჩილინდრიშვილი, ჯუმბერ გიგაური, პაატა ღვინიაშვილი; **90 კგ.** გიორგი ნოზაძე, გიორგი თათარაშვილი, კახა გაზაშვილი, სოსო გუზიტაშვილი; **(100 კგ).** გიორგი ბოლოთაშვილი, ილია მაჭავარიანი, გიგა თაყაძე, სერგო ბალიაშვილი; **+100 კგ.** უშანგი კოკაური, გიორგი კარიბოვი, იოსებ კარიბოვი, გიგა გელაშვილი.

გუნდში ყველა გორის ძიუდოს სკოლების აღზრდილია გიუნაშვილის, გაზაშვილის (ორივე-ქარელი) და ნოზაძის (ხაშური) გარდა. შემადგენლობაში რამდენიმე ისეთი ფალავანიცაა, რომლებიც ჭაბუკთა და ახალგაზრდებს შორის ძიუდოსა და სამბოში ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორები და ქართულ ჭიდაობაში დიდებს შორის ქვეყნის ჩემპიონები არიან. შესაბამისად, მთავარ მწვრთნელებს (**ანზორ თენაძე, ნიკო ბიბილაშვილი, ქართლოს პავლიაშვილი**) შეგირდების შარშანდელზე უკეთ ასპარეზობის იმედი აქვთ. შეგახსენებთ, რომ შარშან შიდაქართლელებმა ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვეს. გუნდმა ორშაბათიდან გურამ პაპიტაშვილის სახელობის დარბაზში ათდღიანი მოსამზადებელი შეკრება დაიწყო, რის შემდეგაც ფალავნები ორიოდ დღით დაისვენებენ და 3 - 4 დეკემბერს საქართველოს ჩემპიონატში ჩაებმებიან.

ვასილ ბალახაძე
გორიდან
დავით ასპანიძის ფოტო

ჭაბუკთა ტურნირი

მხოლოდ ტექნიკური შედეგები

სპორტკომპლექს „მართვეში" ჩატარდა 1999-2000 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ძიუდოისტთა ტურნირი, რომლშიც 200-ზე მეტი ახალბედა მონაწილეობდა. გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.

26 კგ. 1. გიორგი ჯაბნიაშვილი, 2. ვასო ზაქაიძე (ორივე - თბილისი, „მართვე"), 3. მალხაზ ბანძელაძე (სამგორი), მინდია ბაბაკაშვილი (საგარეჯო).

29 კგ. 1. ზურაბ ბეჟანიშვილი (მარნეული), 2. ლუკა ღანიაშვილი (დუშეთი), 3. გიორგი იანტბელიძე, ლევან სირბილაძე (ორივე - გორი).

32 კგ. 1. გიორგი თინიაშვილი (დედოფლისწყარო), 2. ლუკა გულედანი (ისანი), 3. გიგა თათრიშვილი (ახალგორი), ლუკა უთურგაული (გლდანი).

35 კგ. 1. გიორგი თუთარაშვილი (ქუთაისი), 2. საბა გრიგალაშვილი (დილომი), 3. ლაშა ონიანი (მარნეული), ერიკ ედიბეგოვი (თბილისი, „მართვე").

38 კგ. 1. ნიკა კობაიძე (დედოფლისწყარო), 2. გიორგი მღებრიშვილი, 3. ამირან დარბაისელი (ორივე - საგარეჯო), ირაკლი კუხალაშვილი (ქუთაისი).

42 კგ. 1. ალეკო მამიაშვილი (გორი), 2. ლაშა ბუქური (დედოფლისწყარო), 3. ალეკო კიადარაშვილი (გორი), დიმა ხუდოიანი (თბილისი, „ჯორჯია").

46 კგ. 1. ალეკო სილაგაძე (ქუთაისი), 2. სოსო კბილაშვილი (გარდაბანი), 3. გიგა გოგოლაძე (ქუთაისი), გოგა გოგაშვილი (დილომი).

50 კგ. 1. ნიკა ბურდული (დედოფლისწყარო), 2. გუგა ტაბლიაშვილი (გარდაბანი), 3. ტარიელ ბუქულაშვილი (გორი), ლუკა მჭედლიშვილი (თბილისი).

55 კგ. 1. ლაშა მათიაშვილი, 2. ილია ელერდაშვილი (ორივე - საგარეჯო), 3. მალხაზ იოსელიანი (სამგორი), მათის შერეზადაშვილი (თბილისი, „მართვე").

60 კგ. 1. ჯაბა ხაჭაპურიძე (ქუთაისი), 2. გელა ზაალიშვილი (თბილისი, „ჯორჯია"), 3. გიორგი ღულუნიშვილი (დილომი), ირაკლი კოხტაშვილი (თბილისი, „მართვე").

66 კგ. 1. გიორგი გიორგაძე (ქუთაისი), 2. გიორგი მათიაშვილი (საგარეჯო), 3. ბეჟან გაგუა (თბილისი „მართვე"), ჯონი ხულელიძე (დილომი).

+66 კგ. 1. ამირან ნიქორიძე (ქუთაისი), 2. ლევან ჭელიძე (დილომი), 3. რეზო ქვრივიშვილი (თბილისი, „მართვე"), ნიკა კუბლაშვილი (ქუთაისი).

ჩოგბურთი

რეიტინგები სეზონის ბოლოს

გუშინ ქალთა და ვაჟთა ახალი რეიტინგ-ლისტები გამოქვეყნდა. გაგაცნობთ ქართველ ჩოგბურთელთა დღევანდელ მდგომარეობას მსოფლიო კლასიფიკაციაში. ქალები: 90 (-1) **ანა ტატიშვილი** - 744 ქულა; 178 (-) **მაკა ჩახნაშვილი** - 359; 271 (+10) **სოფიო შაფათავა** - 204; 347 (-26) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 135; 404 (-1) **ეკა გორგოძე** - 100; 434 (-3) **სოფიო ქვაცაბაია** - 89; 466 (+1) **თათია მიქაძე** - 78; 986 (+5) **ნათია გეგია** - 11; 1006 (+6) **ანი გოგვაძე** - 10; 1208 (+8) **მაგდა ოქრუაშვილი** - 3. წყვილები: 78 (-) ანა ტატიშვილი - 1063 ქულა; 193 (+1) სოფიო შაფათავა - 358; 308 (-45) ოქსანა კალაშნიკოვა - 175; 363 (-) თათია მიქაძე - 164; 447 (+2) ეკა გორგოძე - 112; 452 (+1) სოფიო ქვაცაბაია - 110; 863 (+2) ნათია გეგია - 23; 1146 (+10) **ანა ჯიქია** - 9; 1162 (+9) **ბაბილინა მაჩაიძე** - 8; 1208 (+6) მაგდა ოქრუაშვილი - 4.

ვაჟები: 1247 (-12) **გიორგი ცივაძე** - 3 ქულა; 1 344 (-13) **ლადო ჩიხლაძე** - 2; 1 456 (-11) **ალექსანდრე მეტრეველი** - 2. წყვილები: 1 120 (-4) ალექსანდრე მეტრეველი - 4 ქულა; 1 155 (-3) **ირაკლი ლაბაძე** - 3.

ეკა გორგოძე და ანი გოგვაძე ანთალიის მორიგ ტურნირში (10 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში მოხვედრას ცდილობდნენ. პირველი საკვალიფიკაციო წრიდან ისინი თავისუფლები იყვნენ. მეორეში პირველ ნომრად განთესილმა გორგოძემ ლატვიელ **იულია კულიბაბას** მოუგო - 6:0, 4:6, 6:1. ხოლო მე-7 ნომრად განთესილმა გოგვაძემ - ავსტრიელ **ანია კოილს** - 7:6 (1), 6:4. ფინალურ წრეში ორივე ჩვენებური დამარცხდა - გორგოძემ პირველი სეტი 3:6 წააგო თურქ **იპეკ სოილუსთან** და ბრძოლა აღარ გაგრძელა, ხოლო გოგვაძე რუმინელ **იოანა როსკასთან** ვერას გახდა - 1:6, 2:6.

სოფიო შაფათავა ჩეხურ ვენდრინში (25 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში იასპარეზებს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

SOS

ნუ გაგიკვირდებათ, ეს დღევანდელობაა...

კასპის სპორტული დარბაზების საკალალო მდგომარეობაზე არაერთხელ ითქვა და დაიწერა. სპორტის ადგილობრივ მესვეურთა განცხადებით, საქმეს მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერა თუ უშველის, რადგან რაიონის ბიუჯეტი ვერ გასწვდება. ამას წინათ ზელიმხან ილურიძის სახელობის ტურნირზე კიდევ ერთხელ ვიხილეთ კასპის სპორტულ არენებზე შექმნილი საგანგაშო მდგომარეობა და რაიონის სპორტულ გაერთიანებათა დირექტორს **შოთა გოგიაშვილსაც** *იქვე ვკითხეთ.*

- ბატონო შოთა, კასპის სპორტული ობიექტების თემაზე სულ „შეგვპირდნენ... დაგვაიმედეს... გაითვალისწინეს..." გვესმის. ახალს, რას გვეტყვით?

- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საგაისოდ ბიუჯეტში აუცილებლად იქნება გათვალისწინებული სარემონტო თანხები, თუმცა არა იმდენი, რომ ყველაფერი ერთდროულად მოვანესრიგოთ. სამუშაოები ეტაპობრივად შესრულდება. პირველ ყოვლისა, ალბათ ე. წ. მრგვალ საჭიდაო დარბაზს და კალათბურთის დარბაზს მივხედავთ, ამ დარბაზში ახლა შესვლაც კი საშიშია.

P.S. გვინდა გვეჯეროდეს, რომ კასპის ხელმძღვანელობა მართლაც წუხს სპორტული ობიექტების გაჭიანურებული რეაბილიტაციის გამო, მაგრამ გაუგებარია, წინ რა უდგას საჭიდაო დარბაზის კარის აჭედვას, რათა იქაურობა ანტისანიტარიის ბუდე აღარ იყოს და საზოგადოებრივი ტუალეტის ფუნქცია დაკარგოს. ამ საქმისთვის ხომ მაინც კმარა რაიონის ბიუჯეტი?

ვასილ ბალახაძე
კასპიდან
დავით ასპანიძის ფოტო

ყურადღება!

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ ფედერაციებს ამიერიდან შეესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დანვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მინოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

ფარიკაობა

უხვი ალაფი ხმლით და რაპირით

თურქულ ბურსაში ახალგაზრდა მოფარიკავეთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში მასპინძლებთან ერთად საქართველოს, აზერბაიჯანის, ბულგარეთის, რუმინეთისა და იორდანიის წარმომადგენლებმაც იასპარეზეს. საპრიზო ადგილებისთვის სულ 316 მუშკეტერი იბრძოდა.

პირად პირველობაში **ლუკა ღაღანიძემ** რაპირაში 86 მონაწილეს შორის მე-3 ადგილი დაიკავა. ქვეჯგუფში მან 5 მეტოქე დაჯაბნა, მერვედფინალში თანაგუნდელ **არჩილ უგულავას** აჯობა 15:9, მეოთხედფინალში იორდანელ ომარ ალჰაჰადიდის დააყრევინა ფარ-ხმალი - 15:8, მასპინძელ თურქ ბირენბორასთან კი ნახევარფინალი ორი ჩხვლეტით დათმო. ამ უკანასკნელმა ტურნირის მთავარი პრიზი მოიპოვა.

მოხმალავე გოგონებში, ასევე, ბრინჯაოს დასჯერდა თბილისელი **თეოდორა კახიანი.** მეოთხედფინალში ჩვენებურმა აზერბაიჯანელ ეკატერინა პროხოროვას სძლია 15:13. თავად კი ნახევარფინალში ასეთივე ანგარიშით მასპინძელ ილგინ სარბანთან წააგო. საგულისხმოა, რომ საერთაშორისო ტურნირებში კახიანი თურქ მეტოქესთან მესამედ დამარცხდა.

- მართალი გითხრათ, ქართველი მოფარიკავეებისგან პირად პირველობებში უკეთეს შედეგებს მოველოდით, - გვითხრა ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა **ლუდვიგ ღაღანიძემ.** - სამაგიეროდ, მათ გუნდურ პირველობებში იყოჩაღეს. რაპირაში ბიჭებმა (ლუკა ღაღანიძე, არჩილ უგულავა, ნიკა ვეფხვიაშვილი) ოთხი შეხვედრა მოიგეს. მათ შორის - დაძაბულ ფინალურ პაექრობაში 45:43 დაამარცხეს თურქეთის პირველი ნაკრები და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ. ჩვენს გუნდს წარმატება გადამწყვეტ ორთაბრძოლაში უგულავას გამარჯვებამ მოუტანა. ამავე სახეობაში იყოჩაღეს გოგონებმაც - თეონა გოგლიძემ, ანა მელიამ და ნუცა იაგორაშვილმაც ფინალში მასპინძლებს სძლიეს, თანაც იოლად - 45:27.

ფინალში ოდნავ წაიფორხილეს მოხმალავე ვაჟებმა (თოთა შავგულიძე, საბა სულამანიძე, გიორგი სახვაძე), რომლებიც საბოლოოდ მეორე ადგილს დასჯერდნენ. ყოველივეს მიუხედავად, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ახალგაზრდა ქართველ მოფარიკავეებს დიდი პოტენციალი აქვთ საიმისოდ, რომ უფრო მნიშვნელოვან ტურნირებშიც საპრიზო ადგილებისთვის იასპარეზონ. განსაკუთრებით ანა მელია, ნიკა ვეფხვიაშვილი და საბა სულამანიძე მინდა გამოვყო: ისინი ბრძოლის ჟინით გამოირჩეოდნენ და 5-6 წლით უფროს მეტოქეებს ტოლს არ უდებდნენ. სათანადო ხელშეწყობის შემთხვევაში ჩვენი გოგო-ბიჭები დიდ სარბიელზეც გვასახელებენ.

ვაჟა დანელია
ავტორის ფოტო

ჰაღათბურთი

ევროჩელენჯი. IV ტური. გოტინგენი-არმია. 22:30

არმიაში მაჭეებაა: ბაჭონი კლიფტონი

I ტური	
არმია-გოტინგენი	82:76
ლეიდენი-ბეშიქთაში	58:86
II ტური	
ბეშიქთაში-არმია	103:82
გიოტინგენი-ლეიდენი	71:80
III ტური	
არმია-ლეიდენი	74:71
ბეშიქთაში-გოტინგენი	105:94

B ჯგუფი

გუნდი	თ	მ	ნ	სხ	ქ
1. ბეშიქთაში	3	3	0	294/234	6
2. არმია	3	2	1	238/250	5
3. ლეიდენი	3	1	2	209/231	4
4. გოტინგენი	3	0	3	241/267	3

IV ტური

29 ნოემბერი

22:30	გოტინგენი-არმია
23:00	ბეშიქთაში-ლეიდენი

6 დეკემბერი

18:00	არმია-ბეშიქთაში

7 დეკემბერი

23:00	ლეიდენი-გოტინგენი

13 დეკემბერი

22:30	გოტინგენი-ბეშიქთაში
23:30	ლეიდენი-არმია

მითითებულია თბილისის დრო

გოტინგენი	VS	არმია
გუნდური სტატისტიკა		
80.3	ქულა	79.3
51.1%	2-ქულიანი	48.8%
42.4%	3-ქულიანი	32.9%
68.1%	საჯარიმო	69.4%
8.0	შეტ. მოხსნა	15.0
23.0	დაც. მოხსნა	26.3
31.0	მოხსნა	41.3
14.3	პასი	16.3
14.3	შეცდომა	12.7
4.3	ჩაჭრა	7.0
3.3	დაფარება	4.3
25.0	ფოლი	16.3

გოტინგენი	VS	არმია
ინდივიდუალური სტატისტიკა		
16.3 საიქსი	ქულა	გეინსი 19.0
9.0 ევანსი	მოხსნა	ტომასი 11.7
3.7 ჰორნი	პასი	დიასი 6.0
2.0 ევანსი	ჩაჭრა	დიასი 2.0
1.3 მარფა	დაფარება	შელბომი 2.7

საქართველოს ჩემპიონი „არმია“ ევროჩელენჯის გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე მეოთხე მატჩს სიახლით ხვდება - დაემატა ამერიკელი უკანახაზელი **კლიფტონ ჰოუკინსი**. ეს ინფორმაცია პირველად გერმანული „გოტინგენის“ საიტზე გამოქვეყნდა... როგორც ჩანს, ინფორმაციული თვალსაზრისით გერმანელები ჩვენზე წინ არიან, თუმცა მთავარია, რომ სატურნირო ცხრილში ვერ გვჯობიან: „გოტინგენს“ სამი ტურის შემდეგ ერთი მოგებაც არ აქვს, ხოლო „არმია“ 2 გამარჯვებით მეორე ადგილზეა და მომდევნო ეტაპზე გასვლაზე სერიოზულად ფიქრობს.

დავუბრუნდეთ ქორიძეს... უფრო სწორად ჰოუკინსს (Hawk ქართულად ქორია), რომელიც 1981 წელსაა დაბადებული და 181 სმ სიმაღლისაა. დოსიეშიც ნახავთ, რომ ევროპის არაერთი კლუბი გამოუცვლია, 2010 წელს კი კლიფტონი **გიორგი ცინცაძის** თანაგუნდელი იყო პოლონურ „სოპოტში“. გასული სეზონი „არმიას“ ახალწვეულმა პოლონელებში, „პოზნანში“ გაატარა.

გამთამაშებლის დამატება გამართლებული ნაბიჯია, რადგან NBA-დან დროებით წამოსული **სანდიატა გეინსი** მალე ამერიკაში დაბრუნდება, რადგან ლოკაუტი დასრულდა და მისი „ნიუ ჯერსი“ ახალი სეზონისთვის მზადებას დღე-დღეზე შეუდგება. ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ ჰოუკინსი საქართველოს ჩემპიონისთვის ბოლო შენაძენი არ იქნება.

■ ■ ■

„გოტინგენის“ ოფიციალურ საიტზე მომავალ შეხვედრას საინტერესო სტატია მიეძღვნა, რომელიც ჩვენი გაზეთის მკითხველსაც დააინტერესებს.

„29 ნოემბერს „გოტინგენი“ საქართველოს ჩემპიონ „არმიას“ შეხვდება, რომელიც გერმანიაში მეტად თავდაჯერებული ჩამოვიდა. არმიელები საქართველოს ჩემპიონატში ჯერაც დაუმარცხებელნი არიან, ბოლო ტურში სტუ-ს 112:71 მოუგეს. ქართული კლუბი ევროჩელენჯზეც წარმატებით ასპარეზობს: პირველ ტურში „გოტინგენს“ სძლია, შემდეგ „ბეშიქთაშთან“ დამარცხდა, ხოლო მესამე ტურში ჰოლანდიურ „ლეიდენს“ აჯობა. **კოტე ტულუშის** განვრთნილი გუნდი ევროჩელენჯის B ჯგუფში მეორე ადგილზეა.

„გოტინგენს“ გერმანიის ჩემპიონატში 10 მატჩიდან მხოლოდ ერთი აქვს მოგებული, ევროჩელენჯზე კი სამივე წაგება აქვს და დიდი ხანია, გამარჯვება არ მოუპოვებია. საქართველოში გამართული პირველი მატჩიდან გამომდინარე, „გოტინგენის“ მწვრთნელ **სტეფან მიენაკს** იმედი აქვს, რომ წაგებათა სერიას ბოლოს და ბოლოს წერტილი დაესმება.

- თბილისში 76:82 დავმარცხდით. იმ შეხვედრაში დაცვაში შესანიშნავად ვითამაშეთ. განმეორებით მატჩში კი ჩვენი ამოცანა მეტოქე უკანახაზელთა თამაშიდან გამოთიშვა იქნება. ასევე მნიშვნელოვანია ფარქვეშ უპირტესობის მოპოვება. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმატებაზე ფიქრი წარმოუდგენელია. თბილისში სროლის სიზუსტით გამოირჩა რობერტო მარფა, რომლისგან გერმანიაშიც ასეთივე თამაშს ველით, - აღნიშნა „გოტინგენის“ თავკაცმა სტეფან მიენაკმა.“

მასპინძლები სამ წამყვან კალათბურთელს მოისაკლისებენ: **ლუის დეილის, ნიკო ადამჩიკსა** და **მარკო გრიმალდის**. ბოლო ორს არც საქართველოში უთამაშია, დეილი კი გუნდის წამყვანი ფიგურა იყო, თუმცა გერმანიის ჩემპიონატის ბოლო მატჩში ტრავმა მიიღო და დიდი ხნით მოუწევს უქმობა. ასევე არ უნდა გამოგვრჩეს, რომ „გოტინგენს“ დაუბრუნდა **კაილ ბეილი**. იგი გუნდს თბილისში არ ჩამოჰყოლია, ბოლო ტურში „ბეშიქთაშთან“ კი 19 ქულას მოუყარა თავი.

სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე და კალათბურთელთა ხარისხის მიხედვით „არმია“ გერმანიაშიც ფავორიტია, თუმცა ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ გამარჯვება 100 პროცენტით ჯიბეში აქვს, რადგან მოგებას მოწყურებული „გოტინგენი“ ბრძოლით შეეცდება საკუთარი გულშემატკივრის გახარებას.

■ ■ ■

აქვე, კიდევ ერთი მეტოქის ამბავს მოგახსენებთ. **სემიჰ ერდენს** ტრავმა აქვს და „ლეიდენთან“ საშინაო მატჩში ისედაც არ ითამაშებდა, NBA-ს ვარსკვლავი **დერონ უილიამსი** კი ამერიკაში გასამგზავრებლად ემზადება, აბგას ალაგებს და სათამაშოდ აღარ სცალია. დერონმა თავის „ტვიტერში“ დაწერა:

- „ბეშიქთაშში“ ბოლო შეხვედრა პარასკევს ჩავატარე. სამშაბათს, „ლეიდენთან“ შეხვადრისასაც დარბაზში ვიქნები, მაგრამ არ ვითამაშებ, მხოლოდ თანაგუნდელებს ვუქომაგებ.“

ასე რომ, უილიამსის თბილისში ხილვის იმედიც ლოკაუტთან ერთად გაქრა...

დოსიე

კლიფტონ ჰოუკინსი

აშშ

დაიბადა: 1981 წელს.
სიმაღლე: 181 სმ.
პოზიცია: გამთამაშებელი

კარიერა

2000-04	კენტუკი (NCAA)
2004	პასერტა (იტალია)
2005	იაკიმა სანი (იაპონია)
2005-06	დოდჯ სიტი (აშშ)
2006	ფაეეტტევილ პატრიოტს (აშშ)
2006-07	ზაგრები (ხორვატია)
2007	სელჩუკ უნივერსიტეტი (თურქეთი)
2007-08	ფენიქსი (იაპონია)
2008-09	კვიზინი (პოლონეთი)
2009-10	სოპოტი (პოლონეთი)
2010-11	პოზნანი (პოლონეთი)
2011-12	არმია (საქართველო)

ლეგიონი

პირველად ხუთეულში და ნანატრი გამარჯვება

დიდი ხნის შესვენების შემდეგ ესპანეთის პირველობაზე გამარჯვებას მიაღწია ქართულპასპორტიანი ამერიკელების გუნდმა „გრან კანარიამ“. კუნძულელებმა „ხუვენტუდს“ უმასპინძლეს და დაძაბულ ბრძოლაში 77:71 დაამარცხეს.

მარკიზ ჰეინსი და **ტორინ გრინი** სეზონში პირველად სასტარტო ხუთეულში ერთდროულად მოხვდნენ. ჰეინსმა 14:30 წუთი ითამაშა და მოედანი 3 ქულით, 2 პასით და 1 მოხსნით დატოვა.

გრინმა მეტ ხანს ითამაშა: 17 წუთში მხოლოდ 4 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. ჰეინსის დარად გრინმაც 3 სამქულიანი და 2 ორიანი ააცილა. კანარიელებს **მაიკლ ბრამოსმა** ულიდერა, რომელმაც 23 ქულა მოაგროვა, ხოლო **სპენსერ ნელსონმა** და **ხუან პალაჩიომ** 14-14 მოინაგრეს.

ამ გამარჯვებამ „გან კანარია“ მე-12 ადგილზე აღაზევა. კუნძულელებს 9 შეხვედრიდან 3 მოგება აქვთ. მომდევნო შეხვედრას ჰეინსი-გრინის გუნდი კატალონიაში „ბარსელონას“ წინააღმდეგ 4 დეკემბერს გამართავს.

ოთხში სამი სამიანი, ოთხში ორი მოთამაშე

იტალიის გუნდებში განაწილებული ოთხი ქართველი კალათბურთელიდან კვირას გამართულ ტურში მხოლოდ ორმა ითამაშა. **ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსმა“ მერვე ტურში დაისვენა, ხოლო „კანტუს“ ქართველი ცენტრი **გიორგი შერმადინი** „რომასთან“ მატჩის განაცხადში შეიყვანეს, მაგრამ არ უთამაშია, მცირე ტრავმა აქვს.

გიორგის გარდა, ჩრდილოიტალიელებს რომში ვერც **მარკო სჩეკიჩი** და **ვლადიმირ მიკოვი** დაეხმარნენ, შესაძლოა სწორედ ეს გახდა „კანტუს“ წაგების მიზეზი (ჯამში 24-ჯერ მოხსნეს). სტუმრებმა მეორე და მესამე პერიოდები ჩააგდეს (24:44). მეოთხე ათწუთეულში „რომას“ 33 ქულა კი ჩაუგდეს, მაგრამ ეს გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. საფინალო ანგარიშია 91:74, ვის სასარგებლოდ, თავადაც იცით.

მეოთხე პერიოდში კანტუელთა ლიდერმა **მანუჩარ მარკოიშვილმა** შეუცვლელად ითამაშა და 10 ქულაც ჩააგდო. მისი საბოლოო მონაგარი ასეთი იყო: 31 წუთი, 15 ქულა (ორქულიანი: 6/3, სამქულიანი: 4/3), 2 მოხსნა, 2 პასი.

მატჩის ბომბარდირი რომაელი **კლეი თაქერი** გახდა, რომელმაც 19 ქულა ჩააგდო. სხვათა შორის, თაქერი და მანუჩარი 2008-09 წლებში უკრაინულ „კიევში“ თანაგუნდელები იყვნენ.

მიმდინარე ჩემპიონატში ეს იყო მესამე მარცხი „კანტუსთვის“, რომელიც 5 მოგებით მესამე-მეექვსე ადგილებს სამ გუნდთან იყოფს.

■ ■ ■

3 წაგება და 4 გამარჯვება აქვს **ნიკა მეტრეველის** „დინამო სასარის“, რომელმაც მეშვიდე ტურში „რომა“ გაანადგურა, ამჯერად კი „ტერამოს“ სძლია 18 ქულის სხვაობით - 91:73.

ტრადიციულად, მეტრეველი მატჩში პირველი პერიოდის ბოლოს ჩაერთო და მეოთხედი ორქულიანით დახურა - 21:15.

ნიკამ სულ 11 წუთი ითამაშა, 4 ქულა და 1 მოხსნა ჩაიწერა. ქართველმა ფორვარდმა 3 ორქულიანიდან 2 მიზანში მოარტყა.

მეტრეველის თანაგუნდელმა, საქართველოს ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა **ქუინტონ ჰოსლიმ** 15 ქულა და 4 პასი მიითვალა.

■ ■ ■

მომდევნო უქმეებზე იტალიაში ქართული დუელი შედგება: სანიკიძის „ვირტუსი“ მეტრეველის „დინამოს“ უმასპინძლებს (4 დეკემბერს), ხოლო „კანტუ“ ქვეყნის ჩემპიონ „მონტეპასკის“ ესტუმრება.



ზაზა სჭამბოლს დაემშვიდობა

ბოლო მატჩებში **ზაზა ფაჩულიას** ეფექტური სტატისტიკა აქვს, ჩვეულად ბოლომდე იბრძვის, რასაც „გალათასარაის“ გულშემატკივარი გულგრილი არ უყურებს. „ტრაბზონსპორთან“ კვირის მატჩში ქართველმა ცენტრმა 11 ქულა, 12 მოხსნა მიითვალა და მატჩის შემდეგ, ყველა კალათბურთელი გასახდელში რომ შევიდა, ფაჩულია მოედანზე დარჩა, ჯერ ადგილობრივ ტელევიზიას ინტერვიუ თურქულად მისცა, შემდეგ კი ქომაგებს დაემშვიდობა და საპასუხოდ მქუხარე ოვაცია მიიღო.

- ადრე თუ გვიან NBA უნდა დაწყებულიყო. ეს დროც მოვიდა, თუმცა არ მეგონა ასე მალე თუ გადაწყდებოდა ყველაფერი. „გალათასარაისაც“ კარგად შევეგუე და გულშემატკივარსაც. გული მწყდება გუნდის დატოვება რომ მიწევს, თუმცა „გალას“ მაისურას შინ აუცილებლად ჩავიცვამ, - თქვა ზაზამ.

მას ჰკითხეს, ითამაშებს თუ არა ხუთშაბათს ევროლიგის მორიგი ტურის მატჩში „უნიქსთან“...

- შესაძლოა, ყაზანში „გალათასარაის“ მაისურით ბოლო შეხვედრა ჩავატარო. თუმცა ცხოვრება გრძელდება, მომავალში „გალათასარაიში“ დაბრუნებას არ გამოვრიცხავ, - დასძინა ფაჩულიამ.

გვერდი მოამზადა
ვაუა სიმონიშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ნიკოლოზ ჭავჭავაძესთან

ნიკოლოზ ჭავჭავაძე და გიო ხუციშვილი საქართველოს თასით

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ერთიანი სულისკვეთებით, ერთად დგომით

ქართული რაგბის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ გუნდმა შექმნის პირველივე წელინადს დუბლი შეასრულა. „არმია", რომელიც მიმდინარე წლის დასაწყისში ჩამოყალიბდა, თავიდანვე ყველასათვის ანგარიშგასაწევი ძალა გახდა. დროთა განმავლობაში კიდევ უფრო მოლონიერდა და სეზონი ტრიუმფით დაასრულა. გუნდს, რომელშიც გამოცდილებისა და ახალგაზრდობის ნაზავი სამაგალითოდაა შერწყმული, ცხადია, სამომავლო გეგმებიც სერიოზული აქვს. თუმცა, „არმიას" მთავარ მწვრთნელ **ნიკოლოზ ჭავჭავაძესთან** საუბარი სათავეებიდან დავიწყეთ.

- ყველაფერს თებერვალში ჩაეყარა საფუძველი. სწორედ მაშინ გადაწყდა „არმიას" დაარსება. გუნდი „თსუ ლომების" ბაზაზე შეიქმნა და პირველი წრეში თამაშმა სწორედ ამ კლუბის მორაგბეებით მოგვინია. პრობლემები ბევრი გვქონდა, თუმცა საამისოდ მზად ვიყავით. ვიცოდით, რომ გზაზე უამრავი წინააღმდეგობა შეგვხვდებოდა.

მიუხედავად ამისა, პირველი წრის შედეგით მაინც კმაყოფილნი ვართ, რადგან მისი დასრულების შემდეგ, სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე ვიყავით, მხოლოდ ორი მატჩი წავაგეთ, ქუთაისის „აიასთან" და თბილისის „ლოკომოტივთან".

- პირველი წრის დასრულების შემდეგ „არმია" თითქმის ერთიანად გამოიცვალა, გუნდში საკამოდ ბევრი ცვლილება განხორციელდა...

- დიახ ასე იყო. ზაფხულში სატრანსფერო ფანჯარა ნაყოფიერად გამოვიყენეთ. საფრანგეთიდან დავაბრუნეთ ბესო უდესიანი, რუმინეთიდან ლაშა თავართქილაძე, დავიმატეთ ახალგაზრდული ნაკრების მორაგბეები, რომლებიც თავიან კლუბებში ძირითადის მოთამაშეები არ იყვნენ და ესპუარებში უწევდათ თამაში.

მეორე წრის წინ საწვრთნელი შეკრება ბორჯომში გავიარეთ. თავიდან შემადგენლობის თიქმის მთლიანად შეცვლამ პრობლემები გაგვიჩინა, სრულიად ახალი გუნდი გვყავდა და ძნელი იყო მოკლე დროში მორაგბეთა შეთამაშება, ტაქტიკური მონახაზის დამუშავება, დახვწა. დიდი იყო გუნდის აწყობაში გამოცდილი მორაგბეების მცდელობა - დახმარებოდნენ ახალგაზრდებს.

- შესაბამისად გუნდმა მეორე წრეში სრულიად განსხვავებული, მაღალი დონის რაგბი ითამაშა, თუმცა ერთი მატჩი მაინც წააგეთ...

- მეორე წრეში მხოლოდ „აკადემიასთან" წავაგეთ. მაშინ ბევრი მოთამაშე გვყავდა დაშავებული. გვინდოდა ისინი მომდევნო, უფრო რთული მატჩებისთვის შეგვენახა და ამიტომ „აკადემიასთან" სათამაშოდ სათადარიგო გუნდით გავედით. მაინც არ უნდა წაგვეგო. მერე ვიდეოფირი რომ გავაანალიზეთ, ვნახეთ, რომ მარცხის მიზეზი არაგუნდური თამაში იყო.

- „არმიას" საკმაოდ სოლიდური სამწვრთნელო შტაბი ჰყავს. ხომ ვერ გვეტყვით, ვის რა ფუნქცია აკისრია გუნდში?

- შერკინების განვრთნაში ლევან (ლეონსიო) ცაბაძე მეხმარება, ტექნიკურ დეტალებზე კახა კობახიძესთან ერთად ვმუშაობ, უკანა ხაზის განვრთნას კი გამოცდილი მოთამაშეების გიორგი შკინინის და გიორგი ელიზბარაშვილის დახმარებით ვახერხებ. ტაქტიკასა და მთლიანად თამაშის მონახაზს კი თვითონ ვადგენ.

- თქვენ გუნდში ბევრი ისეთი მორაგბეა, რომლებიც ეროვნულ ნაკრებში თამაშობენ ან აქამდეც უთამაშიათ. საკმაოდ ბევრნი არიან ასაკობრივი ნაკრებების მორაგბეებიც...

- „არმიაში" საკმაოდ მაღალი დონის, სოლიდური მორაგბეები არიან. ჯაბა ბრეგვაძე და ბიძინა სამხარაძე ახალ ზელანდიაში ახლახან დასრულებული მსოფლიოს თასის გათამაშებაში მონაწილეობდნენ. ეროვნულ გუნდში უთამაშიათ ბესო უდესიანს, ლაშა თავართქილაძეს, გიორგი შკინინისა და გიორგი ელიზბარაშვილს.

ახალგაზრდული ნაკრებების წევრები არიან ხვიჩა ბუჯიაშვილი, ბექა ბინაძე, გიორგი თხილაიშვილი, გიგა გაგოშვილი, ვანო გაბროშვილი, ზაზა ნავროზაშვილი, თამაზ მჭედლიძე, ბახვა კობახიძე. ეს შესანიშნავი თაობაა, რომელსაც მაღალი დონის რაგბის თამაში შეუძლია. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მათთან საკმაოდ სერიოზული სამუშაოს ჩატარებას ვაპირებთ.

ასევ არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი ფაქტი, რომ არა „არმია", გარემარბები გიორგი შკინინი და ალექსანდრე ტუჩაშვილი რაგბისთვის დაკარგულნი იყვნენ. ჩვენს გუნდში კი ისინი ლიდერები არიან.

- ჩემპიონობისგან განსხვავებით, შეიძლება ითქვას, რომ თასის მოპოვება ცოტა უფრო გაგიჭირდათ...

- ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ, ცხადია, იოლი არ იყო თასის გათამაშებაზე გადართვა. საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვება აღვნიშნეთ და ორ დღეში ისევ სავარჯიშოდ შევიკრიბეთ. თანაც ისევ ქუთასის „აიასთან", ისევ სტუმრად უნდა გვეთამაშა. დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა კონცენტრაციის მოსაკრებად. დავსხედით, ვისაუბრეთ, ვთქვით, რომ საქართველოს თასიც უნდა მოვიგოთ და საამისოდ ყველამ ყველაფერი უნდა გავიღოთ.

ისევ ერთობით, ერთამანეთის გვერდით დგომით და დახმარებით შევძელით სირთულეების დაძლევა, რამაც კარგი შედეგი მოგვიტანა. ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ასეთი ერთიანი სულისკვეთება, რაც „არმიაშია", სხვაგან სადაც მიმუშავია, არსად მიგრძნია.

- რას გეგმავთ სამომავლოდ? აპირებს თუ არა „არმია" ევროთასების რომელიმე გათამაშებაში მონაწილეობას?

- ჩვენ გვინდა „ჩელენჯ კაპის" გათამაშებაში ვიასპარეზოდ. საამისოდ რაგბის კავშირში განაცხადიც გავაკეთეთ. ახლა რაგბის კავშირზეა დამოკიდებული, ვითამაშებთ თუ არა ევროტურნირზე. ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ. მაქვს კონტაქტი საფრანგეთში მოთამაშე ქართველ მორაგბეებთან, რომელთა ჩამოყვანასაც ვაპირებთ, რათა „ჩელენჯ კაპზე" ღირსეულად გამოვიდეთ. ვნახოთ, რა იქნება.

ლეგიონერები

ჯერ გორგოძე დაბრუნდა, მერე მონპელიე

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის მე-11 ტური, თამამად შეიძლება ითქვას, რომ აქამდე გამართულზე ბევრად საინტერესო გამოდგა. ფრანგული სპორტული მედია ერთხმად აღნიშნავს, რომ ქართველთა გუნდი „მონპელიე" დაბრუნდა. ამ გუნდს სტარტზე ცნობილი მიზეზების გამო სერიოზული ჩავარდნა ჰქონდა და ახლა ერთ-ერთი ლიდერის და ფავორიტის, „კლერმონის" დამარცხებით დაამტკიცა, რომ მისი ჩამოწერა ნაადრევია.

ერთი სიტყვით, მე-11 ტურში, **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიემ" შინ მიიღო **დავით ზირაქაშვილის** მეორეადგილოსანი „კლერმონი" და 29:23 დაამარცხა.

მატჩში თანაბარი ბრძოლა პირველი ტაიმის 25-ე წუთამდე მიმდინარეობდა. შემდეგ კი მასპინძელთა უპირატესობაც ნელ-ნელა გამოიკვეთა. გორგოძე, ისევე როგორც ყოველთვის, ამჯერადაც შეუდარებელი იყო და თავიდან ბოლომდე ითამაშა. ჟღენტმა კი დაამტკიცა, რომ „მონპელიესთვის" თითქმის შეუცვლელი შერკინების ბურჯია. ის **ფაბიენ გალტიემ** მე-60 წუთზე შეცვალა და მასპინძლებს იმწამსვე პრობლემები შეექმნათ. ჟღენტის არყოფნაში „ვულკანებმა" მატჩის დასკვნით, ათწუთიან მოაკვეთში, ათი ქულის აღება შეძლეს.

ნარიაშვილი თამაშში 69-ე წუთიდან ჩაერთო, ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 55-ე წუთზე შეცვალეს, შველიძე განაცხადში არ იყო.

უშეღავათო, დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა სატურნირო ცხრილში მეზობლების **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრისა" და **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონის" დაპირისპირება. შეხვედრა, რომელშიც ანგარიში სულ ტულონელებს მიჰყავდათ, ფრედ 22:22 დასრულდა.

სტუმრები ინგლისელი მგეზავის, **ჯონი ვილკინსონისა** ფეხჩუბინობისა და ფიჯელი შუამარბის **გაბრიელ ლოვობალავუს** ლელოს წყალობით 33-ე წუთისთვის 19:6-ს იგებდნენ. კასტრელებმა მდგომარეობის რადიკალურად შეცვლა მხოლოდ მეორე ტაიმის დასკვნით ოც წუთში შეძლეს და მატჩის გადარჩენა ბოლო წუთზე გატანილი საჯარიმოთი მოახერხეს.

ქუბრიაშვილს და ფეიქრიშვილს, რომლებიც ძირითად შემადგენლობაში იყვნენ, შერკინებაში ერთმანეთის წინააღმდეგ მოუწიათ თამაშმა და ორივე ერთდროულად, 49-ე წუთზე შეცვალეს.

დავით ხინჩაგიშვილის, ვასილ კაკოვინისა და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივმა" ჩემპიონსა და გათამაშების ლიდერ „ტულუზს" უმასპინძლა და ფრეს გამორჩა - 9:9. მასპინძლებმა მრისხანე მეტოქეს ღირსეულინ წინააღმდეგობა გაუწიეს და მხოლოდ სამი საჯარიმოს გატანის საშუალება მისცეს, რაზეც ასევე სამი საჯარიმოთი უპასუხეს.

კაკოვინი 58-ე წუთზე შეცვალეს, ნატრიაშვილმა 77-ე წუთამდე ითამაშა, ხინჩაგიშვილი განაცხადში არ იყო.

პლეი ოფში მოხვედრისთვის ბრძოლას განაგრძობს **ბექა შეყლაშვილის** „აჟენი", რომელმაც შინ მოუგო დებიუტანტ „ბორდოს" - 24:15. აჟენელებს ახლა 28 ქულა აქვთ და მე-6 ადგილზე არიან. შეყლაშვილს არ უთამაშია.

გურამ კავთიძისა და **ტარიელ რატიანიძის** „ლიონი", რომელიც ბოლოსწინა, - მე-13 ადგილზეა, სტუმრად დამარცხდა „ბაიონთან" - 9:15. ქართველი მორაგბეები განაცხადში არ იყვნენ.

I დივიზიონი

XI ტური

ბაიონი-ლიონი 15:9, მეტრო რასინგი-ბიარიცი 28:9, პერპინიანი-სტად ფრანსე 16:35, ბრივი-ტულუზი 9:9, მონპელიე-კლერმონი 29:23, კასტრი-ტულონი 22:22, აჟენი-ბორდო 24:15.

სატურნირო მდგომარეობა

1. ტულუზი - 38 ქულა, 2. კლერმონი - 36, 3. კასტრი - 33, 4. ტულონი - 30, 5. მეტრო რასინგი - 30, 6. აჟენი - 28, 7. სტად ფრანსე - 26, 8. ბრივი - 21, 9. ბაიონი - 19, 10. პერპინიანი - 19, 11. მონპელიე - 18, 12. ბორდო - 17, 13. ლიონი - 13, 14. ბიარიცი - 10.

XII ტური

ბორდო-ბრივი, ტულუზი-ტულონი, კლერმონი-კასტრი, სტად ფრანსე-მეტრო რასინგი, აჟენი-ბაიონი, ლიონი-პერპინიანი, ბიარიცი-მონპელიე.

II დივიზიონში მე-11 ტურის შემდეგ „ქართული გუნდი", **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლი" გალიდერდა. „ალპელებმა" შინ დაამარცხეს „ბურგუენი" - 30:13 და ამჟამად 38 ქულა აქვთ. მენაბდიშვილს არ უთამაშია.

„გრენობლი" სამი ქულით უსწრებს უახლოეს მდევარ „დაქსს", რომელიც სტუმრად დამარცხდა **თედო ზიბზიბაძის, დავით დადუნაშვილისა** და **ალექსანდრე მარგველაშვილის** „პერიგოსთან" - 18:23. დადუნაშვილი თამაშში 32-ე წუთიდან ჩაერთო, ზიბზიბაძე მოედანზე ოთხი წუთის შემდეგ გამოჩნდა, მარგველაშვილი განაცხადში არ იყო. გამარჯვების მიუხედავად, პერიგოელები 13 ქულით მაინც ბოლო ადგილზე არიან.

„პერიგოს" ოთხი ქულით უსწრებს და მე-13 ადგილზეა **ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკი", რომელმაც შინ მინიმალური სხვაობით წააგო **ზერო პეტრიაშვილისა** და **დავით ლოსაბერიძის** „პოსთან" - 18:19. ასეიშვილი 64-ე წუთზე შეცვალეს, დათუნაშვილმა მოედანზე რვა წუთით მეტი დაჰყო, ნაცარაშვილი, პეტრიაშვილი და ლოსაბერიძე განაცხადში არ იყვნენ.

მამუკა მაგრაქველიძისა და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბმა" შინ მოუგო „ლა როშელს" - 21:15. მაგრაქველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 57-ე წუთზე შეცვალეს, მირცხულავას არ უთამაშია.

II დივიზიონი

XI ტური

ორიაკი-პო 18:19, კარკასონი-ექსი 24:20, ნარბონი-ოში 18:19, ოიონაქსი-ალბი 18:19, პერიგო-დაქსი 23:18, ტარბი-ლა როშელი 21:15, გრენობლი-ბურგუენი 30:13, მონ დე მარსანი-ბეზიე 16:6.

სატურნირო მდგომარეობა

1. გრენობლი - 38 ქულა, 2. დაქსი - 35, 3. ოიონაქსი - 33, 4. მონ დე მარსანი - 30, 5. ალბი - 30, 6. პო - 30, 7. ლა როშელი - 28, 8. კარკასონი - 27, 9. ბურგუენი - 27, 10. ექსი - 26, 11. ტარბი - 25, 12. ოში - 23, 13. ორიაკი - 17, 14. ნარბონი - 16, 15. ბეზიე - 14, 16. პერიგო - 13.

XII ტური

ექსი-ოში, ალბი-მონ დემარსანი, ორიაკი-ოიონაქსი, ბურგუენი-ბეზიე, დაქი-კარკასონი, ლა როშელი-გრენობლი, პო-პერიგო, ტარბი-ნარბონი.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

მამუკა გორგოძე

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

სამთო-სათხილამურო სპორტი

კუშმა დუბლი ვერ შეასრულა



ლინდსი ვონი

კანადის ლეიკ ლუისსა და ამერიკის ასპენში დასრულდა სამთო-სათხილამურო სპორტში მსოფლიოს თასის მეორე ეტაპი.

ლეიკ ლუისში მამაკაცებს მეორე დისციპლინა სუპერგიგანტი ჰქონდათ. ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად შვეიცარიელი **დიდიე კუში** ითვლებოდა, რომელმაც წინა დღეს ბრწყინვალე სტილში მოიგო სწრაფდაშვება. მაგრამ შვეიცარიელის გეგმებს ხელი შეუშალა ამ დისციპლინაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ნორვეგიელმა **აქსელ-ლუნდ სვინდალმა**.

ქარიანი ამინდის გამო ორგანიზატორებმა თავი დაიზღვიეს და უსაფრთხოების მიზნით ტრასის სიგრძე დაამოკლეს, თუმცა ამან ვერ უშველა ფრანგ **გოტიე დე ტესიერს**, რომელიც დისტანციის გავლისას დაეცა, თუმცა სერიოზული ტრავმები აიცილა თავიდან.

ფავორიტთაგან პირველი ტრასაზე **დიდიე კუში** დაეშვა და კარგა ხანი მისი დრო საუკეთესო იყო. თუმცა შემდეგ სვინდალის ჯერი დადგა და შვეიცარიელს ერთი საფეხურით დაქვეითებამ მოუწია. ნორვეგიელმა ორ მეათედზე მეტი მოუგო კონკურენტს, რაც საკმაოდ დიდი უპირატესობა გახლავთ.

ეს სვინდალისთვის პირველი ტრიუმფია მიმდინარე სეზონში, სულ კი მას მსოფლიოს თასის ეტაპებზე 15-ჯერ გაუმარჯვია.

■ ■ ■

ასპენში ქალებმა სლალომში გაითამაშეს პირველობა და პირველი ადგილი ამ დისციპლინის სპეციალისტმა, ავსტრიელმა **მარლის შილდმა** მოიპოვა. ამ მოთხილამურეს აქამდე მსოფლიოს თასის 29 ეტაპი ჰქონდა მოგებული და აქედან 27 - სწორედ სლალომში.

ამჯერადაც, შილდი ტრასაზე უკონკურენციოდ იყო. მან ჯერ კიდევ პირველ ცდაზე მოიპოვა სოლიდური უპირატესობა, ხოლო მეორე ცდის შემდეგ უახლოეს მდევართან - შვედ **მარია პიეტილაე-ჰოლმნერთან** უპირატესობამ ერთ წამს გადააჭარბა და ერთი მთელი 17 მეასედი შეადგინა.

უნდა აღინიშნოს მსოფლიოს თასის მოქმედი მფლობელის, გერმანელი **მარია რიშის** წარმატება. ეს მოთხილამურე არ არის სლალომის სპეციალისტი, მაგრამ მან გუშინ პოდიუმის მესამე საფეხური დაიკავა. ეს რიშის პირველი პოდიუმია მიმდინარე სეზონში.

■ ■ ■

თანამედროვე სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთმა ლიდერმა **ლინდსი ვონმა** მეუღლესთან - **ტომას ვონთან** განქორწინება გადაწყვიტა.

სწრაფდაშვებაში ვანკუვერის ოლიმპიადის ჩემპიონმა უკვე დაიწყო განქორწინების პროცესი ქმართან, რომელთან ერთადაც ოთხი წელი ცხოვრობდა. სხვათა შორის, ტომასი პარალელურად ლინდსის მწვრთნელიც გახლდათ.

„ახლა რთული პერიოდი მიდგას, - განაცხადა ვონმა სააგენტო AP-სთან კომენტარში. - *და იმედი მაქვს, რომ პრესა ანგარიშს გამიწევს და ამ თემის გარშემო ძალიან არ იაქტიურებს“.*

ლინდსიმ და ტომასმა 2007 წლის 29 სექტემბერს იქორწინეს.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

ფავორიტს ახალი მწვრთნელი ჰყავს

რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტმა „ვაშინგტონ კეპიტალზმა“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა მთავარი მწვრთნელი **ბრიუს ბუდრო**. როგორც კლუბის დირექტორი **ჯორჯ მაკფი** ამბობს, ამ გადაწყვეტილების მიზეზი გახდა „კეპიტალზის“ დაბალი შედეგები ბოლო ტურებში - დედაქალაქურმა კლუბმა უკანასკნელ შვიდ შეხვედრაში ხუთჯერ წააგო.

სააგენტო AP გვახსენებს, რომ ბუდრო ლიგის ისტორიაში შევიდა იმით, რომ მწვრთნელის რანგში ყველაზე სწრაფად მოიგო NHL-ში 200 მატჩი. გარდა ამისა, მისი ხელმძღვანელობით „ვაშინგტონმა“ შესანიშნავად დაიწყო წლევანდელი სეზონი - სტარტზე შვიდიდან შვიდი მატჩი მოიგო. მაგრამ შემდეგ „კეპიტალზის“ თამაშში ჩავარდნა დაიწყო - გუნდმა ზედიზედ ოთხი მატჩი წააგო სტუმრად შაიბების შეფარდებით - 4:19.

ბუდრო „ვაშინგტონს“ 2007 წლიდან ავარჯიშებდა. 2008 წელს ის გახდა **ჯეკ ადამსის** პრიზის მფლობელი. ეს ჯილდო გადაეცემა მწვრთნელს, რომელმაც ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა თავისი გუნდის წარმატებაში.

უკვე ცნობილია „ვაშინგტონის“ ახალი მთავარი მწვრთნელი. ეს გახლავთ კანადელი **დეილ ჰანტერი**, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში თამაშობდა „კეპიტალზის“ რიგებში და 90-იან წლებში გუნდის კაპიტანიც იყო. ჰანტერს NHL-ის რამდენიმე რეკორდი ეკუთვნის. მაგალითად, ის ერთადერთი მოთამაშეა ისტორიაში, ვინც 1000 ქულაზე მეტი დააგროვა 3000 საჯარიმო წუთის პირობებში. საჯარიმო წუთების რაოდენობით ის მეორე ადგილს იკავებს ლიგის ისტორიაში.

მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ ჰანტერი ონტარიოს ლიგაში „ლონდონ ნაითის“ მთავარ მწვრთნელად მუშაობდა.

■ ■ ■

რამდენად სასარგებლოა სეზონის მსვლელობისას მწვრთნელის შეცვლა, ამას „სენტ ლუისის“ მაგალითი ამტკიცებს. ცნობილი **კენ ჰიჩკოკი** „ბლუზმენებში“ სამუშაოდ სამი კვირის წინ მივიდა და უკვე მოახდინა გუნდში პატარა რევოლუცია.

მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული 10 შეხვედრიდან „სენტ ლუისმა“ მოიგო შვიდი და მხოლოდ ერთ შეხვედრაში ვერ დააგროვა ქულები. საბოლოოდ, 20 შესაძლებლიდან 16 ქულა, რაც ფენომენალური მაჩვენებელია იმის გათვალისწინებით, თუ რა არასტაბილურად თამაშობდა „ბლუზი“ წინა მწვრთნელის - **დევის რეინის** მეთაურობით.

გუშინ, „სენტ ლუისმა“ ლიგის მთავარი აუტსაიდერი - „კოლამბუსი“ დაამარცხა. ამ უკანასკნელმა კარგად დაიწყო შეხვედრა და **დორსეტის** გოლით დაწინაურდა, მაგრამ მეორე პერიოდის დასრულებამდე რვა წამით ადრე **კრის რასელმა** აღადგინა თანაფარდობა, მესამე 20-წუთეულში კი **დევიდ ბეკსმა** ზედიზედ მესამე გამარჯვება მოუტანა „სენტ ლუისს“.

როგორც მოსალოდნელი იყო, რეგულარულის ყოფილი ლიდერი თანდათან კარგავს პოზიციებს. ორი დღით ადრე „ველურებმა“ შინ წააგეს „ედმონტონთან“ - 2:5, ამჯერად კი ასეთივე ანგარიშით დამარცხდნენ „კალგარისთან“. **კელ კლატერბეკმა** სწრაფად გამოიყენა რიცხობრივი უპირატესობა, რის შემდეგაც გუნდებმა ფანტასტიკური შვიდი წუთი აჩუქეს მაყურებელს, როცა ამ ინტერვალში ხუთი შაიბა გაიტანეს. ამ ბრძოლაში გამარჯვებული სტუმრები გამოვიდნენ, მესამე პერიოდში კი **ტანგეისა** და **იგინლას** გოლებით განამტკიცეს უპირატესობა.

ანალოგიური სიტუაცია იყო კალიფორნიაში შემდგარ დუელში. აქაც მასპინძელმა („ანაჰაიმი“) გახსნა ანგარიში, მაგრამ შემდეგ „ტორონტოსგან“ ზედიზედ ოთხი შაიბა მიილო. **კორი პერიმ** მესამე პერიოდში სცადა სიტუაციის გამოსწორება, მაგრამ ცარიელ კარში **შენის** გოლმა ხაზი გადაუსვა „იხვების“ მონდომებას.

ოტავა-კაროლინა 4:3

2:1, 1:0, 1:2

გოლები: 1:0 სპეცა-7 (გონჩარი-13, ე. კარლსონი-19), 1:1 დუაიერი-3 (ბ. სატური-3, გლისონი-6), 2:1 სპეცა-8 (გონჩარი-14, ე. კარლსონი-20), 3:1 რუნდბლანდი-1 (ბ. ბატლერი-4, კონოპკა-2), 3:2 ე. სტაალი-5 (პიტკანენი-6, ტ. რუუტუ-4), 4:2 ზ. სმიტი-4 (დაუგავინსი-2, კუბა-6), 4:3 პონიკაროვსკი-6 (ლაროუზი-9).

კოლამბუსი-სენტ ლუისი 1:2

0:0, 1:1, 0:1

გოლები: 1:0 დორსეტი-3 (პალსონი-3, ტიუტინი-9), 1:1 რასელი-5 (სტინი-8, შატენკირკი-12), 1:2 ბეკსი-9 (ოში-9, არნოტი-6).

მინესოტა-კალგარი 2:5

2:3, 0:0, 0:2

გოლები: 1:0 კლატერბეკი-6 (მ. კოივუ-14, ჰიტლი-8), 1:1 ჯორდანო-4, 1:2 სტემპნიაკი-5 (ბეკლუნდი-1, კ. ბატლერი-5), 2:2 ნ. ჯონსონი-3 (ბროძიაკი-5), 2:3 ბროდი-1 (სტაიანი-4, ჯეკმენი-4), 2:4 ტანგეი-4, 2:5 იგინლა-7 (გლენკროსი-6, ო. იოკინენი-9).

ანაჰაიმი-ტორონტო 2:5

1:2, 0:1, 1:2

გოლები: 1:0 ბოშემენი-3 (სელიანე-14, სბისა-6), 1:1 ბოჟაკი-5 (ლაილსი-12, ლუპული-17), 1:2 მაკარტური-9 (ტიმ კონოლი-9), 1:3 კრები-5 (შენი-5, კოლბორნი-3), 1:4 ბოჟაკი-6 (კესელი-15, ლუპული-18), 2:4 პერი-10 (გეტცლაფი-12, ფაულერი-10), 2:5 შენი-1 (კულემინი-9, ლაილსი-13).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ბრიუს ბუდრო

NHL დეკემბრის კალენდარი

1 დეკემბერი
კაროლინა-რეინჯერსი
ვაშინგტონი-პიტსბურგი
ვინიპეგი-ფინიქსი
დალასი-ოტავა
კალგარი-კოლამბუსი
ვანკუვერი-ნეშვილი
სან ხოსე-მონრეალი
ლოს ანჯელესი-ფლორიდა

2 დეკემბერი
ბაფალო-დეტროიტი
მინესოტა-ნიუ ჯერსი
ჩიკაგო-აილენდერსი
კოლორადო-სენტ ლუისი
ედმონტონი-კოლამბუსი
ანაჰაიმი-ფილადელფია

3 დეკემბერი
ლოს ანჯელესი-მონრეალი
ტამპა ბეი-რეინჯერსი
ვინიპეგი-ნიუ ჯერსი
კაროლინა-პიტსბურგი
ვაშინგტონი-ოტავა
ბოსტონი-ტორონტო
სენტ ლუისი-ჩიკაგო
ნეშვილი-ბაფალო
ფინიქსი-ფილადელფია
დალასი-აილენდერსი
ედმონტონი-კალგარი
სან ხოსე-ფლორიდა

4 დეკემბერი
კოლორადო-დეტროიტი
ანაჰაიმი-მინესოტა
ვანკუვერი-კალგარი

5 დეკემბერი
რეინჯერსი-ტორონტო
პიტსბურგი-ბოსტონი
ოტავა-ტამპა ბეი
ფლორიდა-ვაშინგტონი
ჩიკაგო-ფინიქსი

6 დეკემბერი
ტორონტო-ნიუ ჯერსი
აილენდერსი-ტამპა ბეი
მონრეალი-კოლამბუსი
ნეშვილი-ფინიქსი
სენტ ლუისი-დეტროიტი
ვინიპეგი-ბოსტონი
კალგარი-კაროლინა
ვანკუვერი-კოლორადო
ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი
სან ხოსე-მინესოტა

7 დეკემბერი
ოტავა-ვაშინგტონი
ბაფალო-ფილადელფია
ედმონტონი-კაროლინა

8 დეკემბერი
კოლამბუსი-ნეშვილი
ფილადელფია-პიტსბურგი
რეინჯერსი-ტამპა ბეი
აილენდერსი-ჩიკაგო
ნიუ ჯერსი-ოტავა
ბოსტონი-ფლორიდა
მონრეალი-ვანკუვერი
დეტროიტი-ფინიქსი
კალგარი-კოლორადო
სენტ ლუისი-ანაჰაიმი
ლოს ანჯელესი-მინესოტა
სან ხოსე-დალასი

9 დეკემბერი
ვაშინგტონი-ტორონტო
ბაფალო-ფლორიდა
ვინიპეგი-კაროლინა
ედმონტონი-კოლორადო

10 დეკემბერი
ნიუ ჯერსი-მონრეალი
კოლამბუსი-ბოსტონი
დეტროიტი-ვინიპეგი
ფილადელფია-ტამპა ბეი
აილენდერსი-პიტსბურგი
ოტავა-ვანკუვერი
ბაფალო-რეინჯერსი
სენტ ლუისი-სან ხოსე
ნეშვილი-ანაჰაიმი
ფინიქსი-მინესოტა
კალგარი-ედმონტონი
ლოს ანჯელესი-დალასი

11 დეკემბერი
ჩიკაგო-სან ხოსე
რეინჯერსი-ფლორიდა

12 დეკემბერი
ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი

13 დეკემბერი
კოლამბუსი-ვანკუვერი
ვაშინგტონი-ფილადელფია
პიტსბურგი-დეტროიტი
რეინჯერსი-დალასი
ტორონტო-კაროლინა
ბაფალო-ოტავა
ბოსტონი-ლოს ანჯელესი
ფლორიდა-ნიუ ჯერსი
მონრეალი-აილენდერსი
ნეშვილი-კალგარი
ვინიპეგი-მინესოტა
კოლორადო-სან ხოსე

14 დეკემბერი
ოტავა-ბოსტონი
მინესოტა-ჩიკაგო
ანაჰაიმი-ფინიქსი

15 დეკემბერი
აილენდერსი-დალასი
კაროლინა-ვანკუვერი
კოლამბუსი-ლოს ანჯელესი
ტამპა ბეი-კალგარი
მონრეალი-ფილადელფია
სენტ ლუისი-რეინჯერსი
ნეშვილი-დეტროიტი
ვინიპეგი-ვაშინგტონი
ფინიქსი-ედმონტონი
სან ხოსე-კოლორადო

16 დეკემბერი
ნიუ ჯერსი-დალასი
ფლორიდა-კალგარი
ოტავა-პიტსბურგი
ბაფალო-ტორონტო
ჩიკაგო-ანაჰაიმი

17 დეკემბერი
ფილადელფია-ბოსტონი
კოლამბუსი-ტამპა ბეი
დეტროიტი-ლოს ანჯელესი
ვინიპეგი-ანაჰაიმი
პიტსბურგი-ბაფალო
მონრეალი-ნიუ ჯერსი
ტორონტო-ვანკუვერი
ფინიქსი-რეინჯერსი
მინესოტა-აილენდერსი
ნეშვილი-სენტ ლუისი
კოლორადო-ვაშინგტონი
სან ხოსე-ედმონტონი

18 დეკემბერი
ფლორიდა-კაროლინა
სენტ ლუისი-კოლამბუსი
ჩიკაგო-კალგარი

19 დეკემბერი
ბოსტონი-მონრეალი
ტორონტო-ლოს ანჯელესი
დალასი-ანაჰაიმი
კოლორადო-ფილადელფია
ედმონტონი-დეტროიტი
ვანკუვერი-მინესოტა

20 დეკემბერი
ნიუ ჯერსი-რეინჯერსი
პიტსბურგი-ჩიკაგო
ვაშინგტონი-ნეშვილი
ფლორიდა-ფინიქსი
ოტავა-ბაფალო
ვინიპეგი-აილენდერსი
კალგარი-მინესოტა

21 დეკემბერი
კაროლინა-ფინიქსი
დალასი-ფილადელფია
ჩიკაგო-მონრეალი
კოლორადო-სენტ ლუისი
ვანკუვერი-დეტროიტი
სან ხოსე-ტამპა ბეი

22 დეკემბერი
რეინჯერსი-აილენდერსი
ტორონტო-ბაფალო
ოტავა-ფლორიდა
ნეშვილი-კოლამბუსი
ვინიპეგი-მონრეალი
კალგარი-დეტროიტი
ედმონტონი-მინესოტა
ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი

23 დეკემბერი
ბოსტონი-ფლორიდა
ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი
აილენდერსი-ტორონტო
რეინჯერსი-ფილადელფია
კაროლინა-ოტავა
ვინიპეგი-პიტსბურგი
დალასი-ნეშვილი
ფინიქსი-სენტ ლუისი
კოლორადო-ტამპა ბეი
ვანკუვერი-კალგარი
სან ხოსე-ლოს ანჯელესი

26 დეკემბერი
მინესოტა-კოლორადო
კაროლინა-ნიუ ჯერსი
რეინჯერსი-აილენდერსი
ბაფალო-ვაშინგტონი
სენტ ლუისი-დალასი
ნეშვილი-დეტროიტი
ჩიკაგო-კოლამბუსი
ლოს ანჯელესი-ფინიქსი
ვანკუვერი-ედმონტონი
სან ხოსე-ანაჰაიმი

27 დეკემბერი
პიტსბურგი-კაროლინა
კოლამბუსი-კალგარი
დეტროიტი-სენტ ლუისი
ფლორიდა-ტორონტო
ტამპა ბეი-ფილადელფია
ოტავა-მონრეალი
კოლორადო-ვინიპეგი

28 დეკემბერი
ნიუ ჯერსი-ბაფალო
ვაშინგტონი-რეინჯერსი
ნეშვილი-მინესოტა
ჩიკაგო-ლოს ანჯელესი
ფინიქსი-ბოსტონი
სან ხოსე-ვანკუვერი

29 დეკემბერი
კაროლინა-ტორონტო
პიტსბურგი-ფილადელფია
აილენდერსი-კალგარი
ტამპა ბეი-მონრეალი
მინესოტა-ედმონტონი
დალასი-კოლამბუსი
ვინიპეგი-ლოს ანჯელესი
კოლორადო-ფინიქსი
ანაჰაიმი-ვანკუვერი

30 დეკემბერი
ვაშინგტონი-ბაფალო
ფლორიდა-რეინჯერსი
ოტავა-კალგარი
სენტ ლუისი-ნეშვილი
ჩიკაგო-დეტროიტი

31 დეკემბერი
ნიუ ჯერსი-პიტსბურგი
აილენდერსი-ედმონტონი
ტამპა ბეი-კაროლინა
ფლორიდა-მონრეალი
მინესოტა-ფინიქსი
ბაფალო-ოტავა
ვინიპეგი-ტორონტო
დეტროიტი-სენტ ლუისი
კოლამბუსი-ვაშინგტონი
დალასი-ბოსტონი
ანაჰაიმი-კოლორადო
ლოს ანჯელესი-ვანკუვერი

● თხილამურებით სირბილი

ისევ ნორვეგიული დუბლი

მარიტ ბიორგენი

ფინეთის კურორტ კუუსამოში დასრულდა მსოფლიოს თასის სამდღიანი მინიტური. ბოლო დღეს სპორტსმენები ერთმანეთს გამოდევნებით რბოლაში ეჯიბრებოდნენ. სტარტზე მოთხილამურეები წინა ორ დღეს ნაჩვენები შედეგების მიხედვით გადიოდნენ.

ნორვეგიელმა **მარიტ ბიორგენმა** სოლიდური უპირატესობით დაიწყო რბოლა და როგორც მოსალოდნელი იყო, საქმე დამაჯერებელ გამარჯვებამდე მიიყვანა. ვერც ერთმა მეტოქემ მიახლოებაც კი ვერ შეძლო ლიდერთან.

მეორე ადგილისთვის ბრძოლაში **ვიბეკე სკოფტერუდმა** საკმაოდ სწრაფად ჩამოიტოვა უკან შვედი **შარლოტე კალა**, მაგრამ დისტანციის მეორე ნახევარში მას **ტერეზე იოჰაუგი** წამოეწია. ნორვეგიელები მორიგეობით უტევდნენ, მაგრამ ბოლო სიტყვა საფინიშო სწორ მონაკვეთზე იოჰაუგს დარჩა. ქალების თხილამურებში ნორვეგიელ ქალთა დომინირება ჩვეულებრივი ამბავი გახდა.

მამაკაცებს შორის ლიდერი ასევე ნორვეგიელი **პეტერ ნორტუგი** იყო, რომელიც პირველი გავიდა დისტანციაზე, მაგრამ მას მალე დაეწია შვეიცარიელი **დარიო კოლონნა** და რბოლის დიდი ნაწილი მათ თითქმის ერთად იარეს. მხოლოდ ბოლო აღმართზე ნორტუგმა შეუტია და დაშორდა კონკურენტს, რამაც მას დამსახურებული გამარჯვება მოუტანა.

მესამე ადგილისთვის დიდი ბრძოლა გაიმართა რამდენიმე მოთხილამურეს შორის და აქაც წარმატება ნორვეგიელ მოთხილამურეს ერგო - **ელდარ რიონინგმა** ყველაზე კარგად გაიარა ბოლო წრე და ბრინჯაო მოიპოვა.

კუუსამოს ეტაპი ერთგვარი რეპეტიცია გახდა სეზონის მთავარი სტარტის - „ტურ დე სკის“ წინ. კარგად დავინახეთ დღეისთვის სპორტის ამ სახეობაში ძალთა გადანაწილება - ნორვეგიელები ჯერჯერობით უკონკურენციოდ არიან.

შემდეგი ეტაპი, რომელიც მთლიანად სპრინტერული იქნება, გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში გაიმართება.

გამოლევენებით რბოლა

ქალები

1. **მარიტ ბიორგენი** (ნორ) - 28:00.1; 2. **ტერეზე იოჰაუგი** (ნორ) - +33.0; 3. **ვიბეკე სკოფტერუდი** (ნორ) - +33.7; 4. **შარლოტე კალა** (შვედ) - +1:15.7; 5. **იუსტინა კოვალჩიკი** (პოლ) - +2:03.5; 6. **კიკენ რენდალი** (აშშ) - +2:18.3...

კაცები

1. **პეტერ ნორტუგი** (ნორ) - 1:03:05,01; 2. **დარიო კოლონნა** (შვეიც) - +1,8; 3. **ელდარ რიონინგი** (ნორ) - +20,6; 4. **ალექსეი პოლტორანინი** (ყაზ) - +22,2; 5. **იოჰან ოლსონი** (შვედ) - +24,0; 6. **მარკუს ჰელნერი** (შვედ) - +26,1...

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისი

I ლიგა

ჩარლტონი-ჰადერსფილდი 2:0

იტალია

სერია B

ასკოლი-ბარი 3:1

სერია C1/A

პრო ვერჩელი-სპალი 1:0

ესპანეთი

მალაგა-ვილიარეალი 2:1

გერმანია

II ბუნდესლიგა

ფორტუნა-ფიურტი 2:1

საფრანგეთი

II დივიზიონი

კლერმონი-რეიმსი 1:0

პოლანდია

II დივიზიონი

კამბური-ალმერი 3:0

პორტუგალია

გიმარაეში-სეტუბალი 3:0

დანია

ბროდბიუ-ჰორსენსი 0:1

ავსტრია

II დივიზიონი

ბლაუ ვაისი-ლინცერი 2:2

საბერძნეთი

II დივიზიონი

ტრასივულოსი-პანთრაკიკოსი 0:0

თურქეთი

ძარაბუძი-ბურსა 3:1

II დივიზიონი

ელაზიგი-ძასიმფაშა 2:1

ერეკვნული ბურთობა

ომონია-ნეა სალამისი 2:2

ჩეხეთი

სლავია-ბანიკი 0:0

პოლონეთი

ლეჩია-რუხი 1:0

რუმინეთი

ტარგუ-კონკორდია 3:0

გაზ მეთანი-პეტროლული 0:1

ბულგარეთი

სლავია-ჩერნო მორე 1:1

ცსკა-ლუდოგორეცი 2:2

მაკედონია

ტეტექსი-11 ოკტომვრი 1:0

ისრაელი

მაკაბი (ფ-თ)-ბნეი იეჰუდა 1:0

ფრენბურთი

მსოფლიოს თასი

კაცები

ირანი-ეგვიპტე 3:0

არგენტინა-რუსეთი 0:3

პოლონეთი-აშშ 3:0

კუბა-ბრაზილია 3:2

იაპონია-ჩინეთი 3:0

სერბეთი-იტალია 1:3

პოკერი

კაზინო

ვიტიაზი-ავტომოგილისტი 6:1

სევერსტალი-ბარისი 7:1

სპარტაკი-ტრაქტორი 1:7

ცსკა-დინამო (მ) 2:0

დინამო (მნ)-ტორპედო 4:2

ფეხბურთი

ლინჩოპინგი-ფილეფტეო 3:6

ფრიოლუნდა-ფერიესტადი 1:4

● ტრამპლინიდან ხტომა

ავსტრიას ამინდის არ ეშინია

ავსტრიული კვარტეტი

სეზონი დაიწყეს ტრამპლინიდან მხტომელებმაც. ისინიც კუუსამოში შეიკრიბნენ და ორი დღის განმავლობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

ქარის გამო ეტაპი არასრულფასოვანი გამოვიდა. პირველ დღეს გუნდურ შეჯიბრებაში მხოლოდ ერთი ცდა შესრულდა და ასე გამოვლინდა გამარჯვებული. მსგავს პირობებში კი რთულია სამართლიანი შედეგების მიღწევა. საბოლოოდ, ასეც მოხდა.

ერთადერთი, ვისზეც ამინდის კაპრიზებს გავლენა არ მოუხდენია, ავსტრიის ნაკრები იყო. როცა შემადგენლობაში გყავს **ვოლფგანგ ლოიცლი, ანდრეას კოფლერი, გრეგორ შლირენცაუერი** და **ტომაშ მორგენშტერნი**, შედეგზე განსაკუთრებული ნერვიულობა არ ღირს. ერთი ცდის ჯამში 100-ქულიანი უპირატესობა - ფანტასტიკის სფეროდანაა. ასე რომ, ავსტრიას კონკურენტი უბრალოდ არ ჰყავდა.

პოდიუმზე კი ავსტრიელებს მოულოდნელი მეზობლები ჰყავდათ. ყველა ელოდა პირველ სამეულში გერმანიის, ნორვეგიის ან პოლონეთის ხილვას, მაგრამ ეს გუნდები ქარის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. სამაგიეროდ, სტაბილურები იყვნენ იაპონიისა და რუსეთის ნაკრებები, რომლებმაც მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს. განსაკუთრებით ეს რუსეთისთვის იყო დიდი მიღწევა, რადგან ცოტა ხნის წინ ტრაგიკულად დაიღუპა ამ გუნდის ლიდერი **პაველ კარელინი**.

მეორე დღეს ინდივიდუალური შეჯიბრება გაიმართა და როგორც მოსალოდნელი იყო, პოდიუმის სამივე საფეხური ავსტრიელებს დარჩათ. პირველი ცდის შემდეგ დამაჯერებელი ლიდერობა **გრეგორ შლირენცაუერმა** მოიპოვა. მას მოჰყვებოდნენ ანდრეას კოფლერი და ტომაშ მორგენშტერნი, რომელიც სეზონის სტარტზე ისეთი ძლიერი ვერ არის, როგორიც შარშანდელ სეზონში.

შლირენცაუერმა ვერ შეინარჩუნა სოლიდური უპირატესობა. ბრწყინვალე მეორე ცდის წყალობით გამარჯვება მოიპოვა კოფლერმა, „შლირი“ და მორგენშტერნი მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ.

გუნდური

1. **ავსტრია** (ლოიცლი, კოფლერი, შლირენცაუერი, მორგენშტერნი) - 517.2 ქულა; 2. **იაპონია** - 408.4; 3. **რუსეთი** - 398.3; 4. **გერმანია** - 392.1; 5. **სლოვენია** - 386.4; 6. **ჩეხეთი** - 381.9...

ინდივიდუალური

1. **ანდრეას კოფლერი** (ავტსრია) - 264.2 ქულა; 2. **გრეგორ შლირენცაუერი** (ავსტრია) - 263.5; 3. **ტომას მორგენშტერნი** (ავსტრია) - 256.3; 4. **კამილ შტოხი** (პოლ) - 238.1; 5. **რომან კუდელკა** (ჩეხ) - 236.4; 6. **ზევერინ ფროინდი** (გერ) - 235.7...

● TV პროგრამა

29 ნოემბერი. სამშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XIV ტურის მიმოხილვა.
11:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XV ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XIV ტური. ვერდერი-შტუტგარტი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. XIII ტური. ლაციო-იუვენტუსი.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XV ტური. ლილი-ბრესტი.
18:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XIII ტური. მანჩესტერ იუნ-ნიუკასლი.
21:00 ინგლისის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
22:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIV ტური. ეინდჰოვენი-გრონინგენი.
23:45 იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-იუვენტუსი (LIVE).
01:45 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIV ტურის მიმოხილვა.

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-ვილიარეალი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. მაიამი-დალასი.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერ სიტი.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. ბეთი-მონპელიე.
18:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
21:00 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. უნიკახა-პანათინაიკოსი.
23:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
23:45 ფიბბორი. ინგლისი. ლონდონი.

GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ინგლისი.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. სტ. ეტიენი-აიაჩო.
15:00 სპორტ-NEWS.
15:20 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ინგლისი.
17:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სიენა-ინტერი.
19:30 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. ბენეტონ ტრევიზო-ოსპრეი.
21:00 სპორტის ვარსკვლავები - ზაურ ცხადაძე.
21:30 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ინგლისი.
00:40 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

23:40 იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-იუვენტუსი (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

23:55 ფეხბურთი. ინგლისის ლიგის თასი. 1/4 ფინალი. არსენალი-მანჩესტერ სიტი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

23:40 ფეხბურთი. ინგლისის ლიგის თასი. 1/4 ფინალი. ჩელსი-ლივერპული (LIVE).

SPORT+

23:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რაიო ვალეკანო (LIVE).

EUROSPORT-2

21:30 კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური (LIVE).
23:45 კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური (LIVE).

● ოლიმპიზმი

ინდოეთმა ბოიკოტი უარყო

ინდოეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი არ აპირებს აუკრძალოს თავის სპორტსმენებს 2012 წელს ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლა.

შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ინდოეთმა, შესაძლოა, ბოიკოტი გამოუცხადოს მომავალ თამაშებს. მიზეზად სახელდებოდა ლონდონის ოლიმპიადის ორგანიზატორების მიერ გაფორმებული შვიდწლიანი კონტრაქტი კომპანია Dow Chemicals-თან, რომელსაც სკანდალურად ცნობილი სამრეწველო ჯგუფი - Union Carbide ფლობს. 1984 წელს, ქალაქ ბჰოპალის ქიმიურ ქარხანაში, რომელიც Union Carbide-ს ეკუთვნოდა, ავარია მოხდა, რამაც მომწამვლელი გაზების გავრცელება და 20 ათასი ადამიანის დაღუპვა გამოიწვია.

მაგრამ ინდოეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ქუმარ მალჰორტამ** დაარწმუნა ყველა, რომ ოლიმპიადის ბოიკოტირებაზე ლაპარაკი არ ყოფილა.

„ჩვენ შევხვდებით თამაშების ორგანიზატორებს, მაგრამ ოლიმპიადის ბოიკოტს არ ვაპირებთ. უბრალოდ, შეშფოთება გამოითქვა სასპონსორო საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენ განვიხილავთ ამ საკითხს, აგრეთვე სხვა რამდენიმე მომენტს“, - განაცხადა მალჰორტამ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოგბურთი

ფედერერის ტრიუმფი

ისევ ძლიერი როჯერი

ლონდონში, ATP-ის წლის შემაჯამებელ ტურნირზე **როჯერ ფედერერმა** თავის მეასე ფინალში სამ სეტში დაამარცხა **ჟო-ვილფრიდ ცონგა** და კარიერაში მეექვსედ მოიგო ეს ჩემპიონატი.

სეზონის დასკვნითმა ნაწილმა როჯერ ფედერერის აშკარა დომინირებით ჩაიარა. შვეიცარიელმა ზედიზედ მოიგო ბაზელის ტურნირი, პარიზის მასტერსი და ახლა, წლის შემაჯამებელი ჩემპიონატი.

ფინალში ფედერერს ფრანგი ჟო-ვილფრიდ ცონგა დაუპირისპირდა. ეს ჩოგბურთელები ბოლო ორი კვირის განმავლობაში მესამედ შეხვდნენ ერთმანეთს და მესამედ გამარჯვება შვეიცარიელ ჩოგბურთელს დარჩა.

პირველ სეტში ფრანგს სათამაშო უპირატესობა ჰქონდა და რამდენიმე სტატისტიკური მონაცემით სჯობდა კიდეც ფედერერს, მაგრამ ერთადერთი ბრეიკი პარტიაში როჯერმა გააკეთა და ამის ხარჯზე სეტი 6:3 მოიგო. ჟოს ექვსით მეტი „ვინერსი" ჰქონდა, ვიდრე უნებლიე შეცდომა, ფედერერს კი პირიქით - ერთით მეტი შეცდომა. მიუხედავად ამისა, ცონგამ ეს უპირატესობა ვერ გამოიყენა.

ამის შემდეგ ცონგამ დამაჯერებლობა დაკარგა და მეორე პარტიაში ფედერერმა ბრეიკით წაიყვანა ანგარიში. მას მეორედაც შეეძლო მეტოქის მონოდების აღება, მაგრამ ფრანგმა მოჭრილი დარტყმით გადაარჩინა გეიმი. მიუხედავად ამისა, შვეიცარიელს შეეძლო ორ სეტში გაეფორმებინა გამარჯვება, მაგრამ მატჩზე ვერ ჩაწოდა, შემდეგ ტაიბრეიკზე ერთი მატჩბოლი მიიღო, თუმცა ეს შანსი ვერ გამოიყენა და შემოკლებულ გეიმში 6:8 დამარცხდა.

გადამწყვეტ სეტში ფედერერმა შესანიშნავად ითამაშა საკუთარ მოწოდებაზე და ერთი ბრეიკ-პოინტიც არ მისცა მეტოქეს. როჯერის გეიმებში ფრანგის ყველაზე დიდი მიღწევა იყო - 15:30 სეტის შუაში. ამასობაში, რაც უფრო ახლოვდებოდა პარტიის დასასრული, მით უფრო უკეთ თამაშობდა მიღებაზე ფედერერი, რომელმაც 4:3-ზე მესამე ცდიდან აიღო ცონგას მოწოდება და შემდეგ მატჩზე დამაჯერებლად ჩააწოდა. 6:3, 6:7, 6:3 - ასეთია ფინალის საბოლოო ანგარიში.

„ეს განსაკუთრებული გრძნობაა. სერიოზულად ვემზადებოდი ამ ტურნირისთვის. ლონდონში ადრე ჩამოვედი, რათა უკეთ აღმედგინა ძალები ბაზელისა და პარიზის ტურნირების შემდეგ. და ახლა, ამ შრომამ ნაყოფი გამოიღო და მეექვსედ მოვიგე წლის შემაჯამებელი ტურნირი. შესანიშნავი შეგრძნებაა. ეს არის ჩემი ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა.

ვფიქრობ, კარგად ვითამაშე, თუმცა ჟოც ასევე ძალიან ძლიერად გამოიყურებოდა. შესაძლოა, უფრო იოლად მოგებაც შემეძლო, მაგრამ მაინც არ ვნანობ იმას, რომ სამი სეტის ჩატარება დამჭირდა.

ეს ჩემთვის სეზონის საოცარი ფინალია. ასე ძლიერად წელი არასოდეს დამისრულებია", - განაცხადა მატჩის შემდეგ შვეიცარიელმა.

ფედერერმა რამდენიმე სტატისტიკური მიღწევა დააფიქსირა:

- მან მსოფლიოს რეიტინგში გაუსწრო **ენდი მიუერის** და ეს სეზონი მესამე საფეხურზე დაასრულა;
- კარიერაში მეასე ფინალი ითამაშა და 70-ე ტიტული მოიპოვა;
- 807-ე მატჩი მოიგო და ამით ყველა დროის სიაში შვედ **სტეფან ედბერგს** გაასწრო;
- დაბოლოს, როჯერმა მეექვსედ იმარჯვა წლის შემაჯამებელ ტურნირში და ამ მაჩვენებლით ერთპიროვნული ლიდერი გახდა - მანამდე ფედერერი პირველ ადგილს იყოფდა ლეგენდარულ **ივან ლენდლთან**.

რეიტინგები

ATP	
1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	13 675
2(2). რაფაელ ნადალი (ესპ)	9 575
3(4). როჯერ ფედერერი (შვეიც)	8 170
4(3). ენდი მიურეი (ბრიტ)	7 380
5(5). დავიდ ფერერი (ესპ)	4 880
6(6). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)	4 335
7(7). ტომას ბერდიხი (ჩეხ)	3 700
8(8). მერდი ფიშერ (აშშ)	2 965
9(9). იანკო ტიპსარევიჩი (სერ)	2 595
10(10). ნიკოლას ალმაგრო (ესპ)	2 380
11(11). ხ-მ. დელ პოტრო (არგ)	2 315
12(12). ჟილ სიმონი (საფ)	2 165
13(13). რობინ სიოდერლინგი (შვედ)	2 120
14(14). ენდი როდიკი (აშშ)	1 940
15(15). გაელ მონფილსი (საფ)	1 935
16(16). ა. დოლგოპოლოვი (უკრ)	1 925
17(17). სტანისლას ვავრინკა (შვეიც)	1 820
18(18). ჯონ ისნერი (აშშ)	1 800
19(19). რიშარ გასკე (საფ)	1 765
20(20). ფელისიანო ლოპესი (ესპ)	1 755

ATP. ფულადი მონაგარი	
1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	11 019 803
2. რაფაელ ნადალი (ესპ)	6 668 214
3. როჯერ ფედერერი (შვეიც)	5 744 576
4. ენდი მიურეი (ბრიტ)	4 680 091
5. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)	2 848 969
6. დავიდ ფერერი (ესპ)	2 793 904
7. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ)	2 301 813
8. მარდი ფიშერ (აშშ)	1 657 091
9. იანკო ტიპსარევიჩი (სერ)	1 492 912
10. ნიკოლას ალმაგრო (ესპ)	1 326 007
11. რობინ სიოდერლინგი (შვედ)	1 323 473
12. ჟილ სიმონი (საფ)	1 222 752
13. მიკაელ ლოდრა (საფ)	1 210 799
14. ა. დოლგოპოლოვი (უკრ)	1 196 499
15. ჯონ ისნერი (აშშ)	1 170 432
16. მარინ ჩილიჩი (ხორ)	1 139 799
17. იურგენ მელცერი (ავსტრია)	1 133 482
18. მარსელ გრანოლერსი (ესპ)	1 132 893
19. გაელ მონფილსი (საფ)	1 094 353
20. ენდი როდიკი (აშშ)	1 061 404

კალათბურთი

ლეიკერსმა დევისიც და ლუისს დაუმიზნა

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში სეზონის სტარტი დაინიშნა და გუნდებმა უკვე დაიწყეს შემადგენლობის გაძლიერებაზე ფიქრი.

როგორც გაზეთი „ლოს ანჯელეს თაიმსი" წერს, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ხელმძღვანელობა განიხილავს „კლივლენდის" გამთამაშებლის **ბაირონ დევისისა** და „ვაშინგტონის" ფორვარდის **რაშარდ ლუისის** გაფორმების ვარიანტს.

ორივე მოთამაშეს მოქმედი კონტრაქტი აქვს, რომელიც კიდევ ორი წელი იმოქმედებს, მაგრამ კალიფორნიელები იმედოვნებენ, რომ კალათბურთელებს მოუწევთ თავიანთი კლუბების დატოვება „ამნისტიის" წესის გამო, რომელიც ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებაშია შეტანილი.

■ ■ ■

მცველმა **ჯამალ კროუფორდმა** კონტრაქტი გააფორმა აგენტ **ენდი მილერთან**, რომელსაც ოფისი ნიუ ჯერსიში აქვს. ჟურნალისტთა ვერსიით, თუ მოთამაშე ვერ შეძლებს „ატლანტასთან" ახალი ხელშეკრულების გაფორმებას, ის სავარაუდოდ „ნიუ იორკში" ან „ნიუ ჯერსიში" გააგრძელებს კარიერას.

გასულ სეზონში კროუფორდმა 76 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 14.2 ქულა და 3.2 შედეგიანი პასი დააგროვა.

■ ■ ■

შემადგენლობის გაძლიერება იგეგმება „ბოსტონ სელტიქსში". დღეისთვის NBA-ის გრანდის განკარგულებაში მხოლოდ ცხრა კალათბურთელია და შემადგენლობის შესავსებად გუნდის გენერალური მენეჯერი **დენი ეინჯი** აქედანვე იწყებს ზრუნვას.

„სელტიქსის" თავდაპირველი მიზანია კონტრაქტების გაფორმება თავისუფალ აგენტებთან და კლუბის ყოფილ მოთამაშეებთან - **გლენ დევისთან, დელონტე უესტთან** და **ჯეფ გრინთან**.

■ ■ ■

ბოლო არ უჩანს „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" ცენტრის **გრეგ ოდენის** პრობლემებს, რომელიც უკვე წელიწადნახევარია ტრავმას ებრძვის და ვერაფრით ახერხებს მის დამარცხებას.

გუშინ გაჩნდა ინფორმაცია, რომ ოდენი, რომელიც ცოტა ხნის წინ აცხადებდა ახალი სეზონისთვის მზადყოფნის შესახებ, ჯერ კიდევ შორს არის მოედანზე გასვლისგან.

„აღდგენითი პროცესი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. დღეს მხოლოდ ამის თქმა შემიძლია. ექიმები არ ასახელებენ მოედანზე დაბრუნების ზუსტ თარიღს. სავარაუდოდ, ეს მალე არ მოხდება, თუმცა ოდენი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ვადა მაქსიმალურად შემცირდეს", - ამბობს გრეგ ოდენის აგენტი **მაიკლ კონლი**.



რეალი რუდის არ უშვებს

ბუენოსაირესი, ლოკაუტის დასრულების შემდეგ ევროპაში გადაბარგებული NBA-ის ლეგიონერები მალე ოკეანის გაღმა დაბრუნდებიან. თუმცა მადრიდის „რეალის" ხელმძღვანელობას არ ეთმობა თავისი ლიდერი **რუდი ფერნანდესი**, რომელიც „დალას მავერიქსის" საკუთრება გახლავთ.

„რეალი" მოლაპარაკებების გამართვას აპირებს ტექსასურ კლუბთან ფერნანდესის სეზონის ბოლომდე შენარჩუნების მიზნით. თავად კალათბურთელი არ გამორიცხავს ზაფხულამდე ესპანეთში დარჩენას და აცხადებს, რომ მისი მომავალი NBA-ში დამოკიდებული იქნება „დალასის" მთავარი მწვრთნელის **რიკ კარლაილის** გეგმებსა და ტაქტიკურ სქემებზე.

რუდი ფერნანდესი

შეგახსენებთ, რომ „რეალმა" ამ სეზონის წინ სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა ესპანეთის ნაკრების წევრს.

■ ■ ■

„ნიუ ჯერსიში" დაბრუნდება მცველი **ჯორდან ფარმარი**, რომელიც ლოკაუტის პერიოდში თელ-ავივის „მაკაბიში" თამაშობდა. ებრაული წარმოშობის კალათბურთელი ამ მოკლე პერიოდში ევროპაში მოთამაშე NBA-ის ლეგიონერებიდან ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ის „მაკაბის" ლიდერი გახლავთ ევროლიგაზე ქულების, მოხსნების, პასების, ჩაჭრებისა და სათამაშო დროის მიხედვით.

გასულ უქმეებზე ადრიატიკის ლიგაში „მაკაბიმ" ზედიზედ მერვე მატჩი მოიგო და ფარმარი თავის გუნდს 15 ქულითა და 13 შედეგიანი პასით დაეხმარა. ამ მატჩის შემდეგ ჯორდანმა განაცხადა, რომ მოენატრება ის პერიოდი, რომელიც „მაკაბიში" გაატარა.

„ეს იყო გამოცდილება, რომელმაც მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა. როგორც კალათბურთელი და როგორც ადამიანი უკეთესი გავხდი. შესანიშნავი დრო გავატარე და ეს გუნდი სამუდამოდ დარჩება ჩემს გულში. ვფიქრობ, „მაკაბის" ჩემს გარეშეც დიდი წარმატება ელოდება", - განაცხადა ამერიკელმა კალათბურთელმა.

■ ■ ■

იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში სერიოზული ტრავმა მიიღო „მონტეპასკის" მცველმა **რიმანტას კაუკენასმა**. 34 წლის ლიტველმა ლეგიონერმა „კაზერტასთან" მატჩში მუხლი დაიზანა და როგორც სიენური კლუბის პრეზიდენტი და გენერალური მენეჯერი **ფერდინანდო მინუჩი** ამბობს, კაუკენასისთვის, სავარაუდოდ, წლევანდელი სეზონი დასრულებულია.

წლევანდელი ევროლიგის მატჩებში ვეტერანი მცველი საშუალოდ 25 წუთს თამაშობდა და ამ დროის განმავლობაში 14.5 ქულასა და 2.5 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა